

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი



დამტკიცებულია

აკადემიური საბჭოს სხდომაზე

2011 წლის 19 დეკემბერს

რექტორი

პროფ. ბ. მარბველაშვილი

ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის
ფაკულტეტის

საბანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

2012

წინამდებარე კატალოგში მოცემულია ინფორმაცია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის შესახებ; განთავსებულია ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ანოტაციები. წარმოდგენილია პროგრამების დასახელება მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, სწავლის შედეგები, ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა და შეფასების წესი.

კატალოგი განკუთვნილია სტუდენტებისა და ყველა იმ დაინტერესებული პირისათვის, ვისაც სურს, მიიღოს ინფორმაცია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ.

უნივერსიტეტის მისამართი:
0108, თბილისი,
რუსთაველის გამზირი № 19
ტელ.: 99 75 41
ვებ-გვერდი: <http://www.tafu.edu.ge>

საკონტაქტო პირები:

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი **თამარ ვეფხვაძე**
- ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი **ნატო გენგიური**

**ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის
ფაკულტეტი**

ფაკულტეტზე სწავლა ხორციელდება სამ საფეხურზე:

- **ბაკალავრიატი** – საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მოცულობა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს; სწავლა ხორციელდება 4 წლიანი სწავლების ვადით და კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი;
- **მაგისტრატურა** - საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მოცულობა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს; სწავლა ხორციელდება 2 წლიანი სწავლების ვადით და კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაციის მაგისტრის ხარისხი;
- **დოქტორანტურა** - საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მოცულობა მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს; სწავლა ხორციელდება 3 წლიანი სწავლების ვადით და კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაციის დოქტორის ხარისხი;

ფაკულტეტზე ხორციელდება 11 საგანმანათლებლო პროგრამა. აქედან 4 საბაკალავრო, 4 – სამაგისტრო, 3 სადოქტორო.

საბაკალავრო პროგრამები

ხელოვნების ისტორია და თეორია (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა) -----	4
მასობრივი კომუნიკაცია (ტელე – რადიო ჟურნალისტიკა) -----	13
მენეჯმენტი (ხელოვნების) -----	18
კულტურული ტურიზმი -----	23
შეფასება -----	29

სამაგისტრო პროგრამები

1. ხელოვნების ისტორია და თეორია -----	34
პროგრამული კონცენტრაციებით:	
თეატრმცოდნეობა -----	35
კინომცოდნეობა -----	39
ხელოვნებათმცოდნეობა -----	46
ეთნო-ქორეოლოგია -----	52
2. ტელემედია - თეორია და პრაქტიკა -----	54
3. კულტურული ტურიზმი -----	61
4. ხელოვნების მენეჯმენტი -----	66

სადოქტორო პროგრამები

ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევები -----	71
მედიის კვლევები -----	
ხელოვნების მენეჯმენტი -----	

I ბაკალავრიატი

1. ხელოვნების ისტორია და თეორია (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა)

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ხელოვნების ისტორია და თეორია (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა)
საფეხური	ბაკალავრიატი
პროგრამის ტიპი	აკადემიური; ძირითადი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	240 კრედიტი
სწავლის ხანგრძლივობა	8 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდები
დასაქმების სფერო	სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებები, პუბლიცისტიკა და ჟურნალისტიკის სფერო, თეატრი (ნებისმიერი პროფილის) - ექსპერტ - ანალიტიკოსი; კინემატოგრაფი - ექსპერტ - ანალიტიკოსი; ტელევიზია - რადიო - ექსპერტ - ანალიტიკოსი; მუზეუმები; სამხატვრო - სახელოვნებო გალერეები; ეროვნული ბიბლიოთეკა; სახელოვნებო პროფილის უმაღლესი, პროფესიული და ზოგადი საგანმანათლებლო სივრცე; სარედაქციო საქმიანობა; სახელოვნებო პროფილის სასწავლო - შემოქმედებითი სტუდიები; კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.
ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი	„ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა)“ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს ჰუმანიტარული მეცნიერებების საბაზისო თეორიული ცოდნით აღჭურვილ პროფესიონალ სპეციალისტს სამი პროფილით/სპეციალობით: <ol style="list-style-type: none"> 1. თეატრმცოდნეობა; 2. კინომცოდნეობა; 3. ხელოვნებათმცოდნეობა. თითოეული პროფილი/სპეციალობა შეიცავს სპეციფიურ ასპექტებს, რაც, განაპირობებს სწავლების შესაბამის თავისებურებებს, თუმცა, მათ აერთიანებთ

	<p>ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სწავლების ერთიანი პრინციპი, რომელიც ხორციელდება ყოველი სემინტისათვის ნიშანდობლივი და აუცილებელი მეთოდოლოგიით.</p> <p>„ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა)“ საბაკალავრო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, კინო-ტელე, ქორეოგრაფიული, მუსიკალური და სხვა) განვითარება და ამავე დარგების კვლევა.</p> <p>პროგრამა მიზნად ისახავს, როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთის სახელოვნებო სივრცეზე ორიენტირებული თანამედროვე თეორეტიკოს-ანალიტიკოსის აღზრდას, რომელიც აღჭურვილი იქნება ჰუმანიტარული მეცნიერებების საბაზისო თეორიული ცოდნით და მზად იქნება კრიტიკოს-ანალიტიკოსის საქმიანობისათვის როგორც (დრამატული და სხვა ნებისმიერი პროფილის) თეატრალურ სივრცეში, ასევე კინო-ტელე წარმოებაში, ხელოვნების ნიმუშების, ნებისმიერი წარმოდგენების, პერფორმანსების, ვერნისაჟებისა და სხვ. შეფასებებისა და კვლევითი პროექტების შემუშავების სფეროში და ა.შ.</p>
შედეგები	<p>პროგრამის კვალიფიკაციათა აღმწერი (დესკრიპტორი) დარგობრივი/პროფესიული კომპეტენციები:</p>
ა) ცოდნა და გაცნობიერება	<p>აქვს ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ხელოვნების შესაბამისი სფეროს თავისებურებების ფართო, საბაზისო ცოდნა. აქვს მსოფლიო კლასიკური კულტურული მემკვიდრეობის აკადემიური ცოდნა. გაცნობიერებული აქვს ხელოვნების შესაბამისი სფეროს არსი, იცნობს ხელოვნების შესაბამისი დარგის ისტორიისა და თეორიის მთავარ პრინციპებს. იცის მხატვრული ნაწარმოების შემოქმედებითი ინტერპრეტაციის შეფასების ძირითადი კანონზომიერებები. აქვს ქართული და მსოფლიო ხელოვნების შესაბამისი დარგის ისტორიის ზოგადი ცოდნა. აცნობიერებს ხელოვნების ისტორიის საფეხურების თავისებურებებს, მის კავშირს ზოგად-ისტორიულ, სოციალურ და სხვა საზოგადოებრივ-კულტურულ პროცესებთან. კურსდამთავრებული იცნობს ხელოვნების დარგების</p>

	<p>განვითარების მთავარ პრინციპებს, თეორიებს და კონცეფციებს. იცის შესაბამისი ტერმინოლოგია და ანალიზის ძირითადი პრინციპები. კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკური ნორმები. აცნობიერებს შემოქმედებითი პროცესების უმთავრეს ნიუანსებს. იცის შემოქმედებითი ნაწარმოების/პროდუქციის თეორიული ანალიზი, მსჯელობის აკადემიურ დონეზე წარმართვა. იცის, როგორ შეაფასოს შემოქმედებითი კონცეფცია, თითოეული მხატვრულ-შემოქმედებითი კომპონენტის გათვალისწინებით. იცის სამუშაო პროცესის დაგეგმვა და კოლეგებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა.</p>
<p>ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი, ლიტერატურული პირველწყაროსა და მისი შემოქმედებითი ინტერპრეტაციის - სახელოვნებო ნაწარმოების ტიპოლოგიური გააზრება და ანალიზი, აქვს ანალიტიკური თუ კრიტიკული კონცეფციის ლოგიკურად ჩამოყალიბების უნარი, აქვს საკუთარ თავზე მუშაობის უნარი, შეუძლია ქართული და მსოფლიო ხელოვნების შესაბამისი დარგის ყოველი ეპოქის, თავისებურებების შესახებ ცოდნა ან ინფორმაცია მიაწოდოს დაინტერესებულ პირს. ასევე, შესწევს უნარი, სრულფასოვნად გააანალიზოს ხელოვნების ნიმუში, როგორც სინთეზური ნაწარმოები დაშალოს შემადგენელ ნაწილებად; გააანალიზოს, შეაფასოს მისი ყოველი ასპექტი შემდეგ კი - როგორც მთლიან მხატვრულ მოვლენას, მისცეს საბოლოო, პროფესიული, არგუმენტირებული შეფასება. ამ პროცესში ის იყენებს მხატვრული ანალიზის მეთოდს, კრიტიკოსისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, ინტელექტს, სწავლის შედეგად გამომუშავებულ სპეციფიური აზროვნების უნარს. მუშაობის პროცესში მას შეუძლია მონათესავე დისციპლინების მონაცემთა გამოყენებაც. შეუძლია კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება, წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციების მიხევით. აქვს ობიექტური თვითშეფასების უნარი.</p>
<p>გ) დასკვნის უნარი</p>	<p>დაგროვილი ცოდნისა და შეძენილი ანალიტიკური უნარების საფუძველზე აქვს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისა და თეორიულ-ანალიტიკური საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი. შეუძლია ხელოვნების დარგებისთვის დამახასიათებელი (ლიტერატურული</p>

	<p>პირველწყაროს შინაარსობრივი, კონცეპტუალური მხარე, ავტორისეული ინდივიდუალობა, იკონოგრაფიული თავისებურებები, ავტორის მხატვრული ჩანაფიქრი, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და სხვ.) მონაცემების შეგროვება, განმარტება და მათი სისტემატიზაცია-კლასიფიკაცია. ასევე, აღნიშნულ კონტექსტში არსებული გამოცდილების, მიღწევების, მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. ხელოვნების შესაბამისი დარგის სტანდარტული და ახალი მეთოდების გამოყენებით, დამოუკიდებლად შეუძლია ხელოვნების კრიტიკის, თეორიისა და ისტორიის სფეროში ახალი მონაცემის ანალიზი. შეუძლია გარკვეული მონაცემების ინტერპრეტაცია. ისტორიის, თეორიისა და კრიტიკის საკითხებსა თუ პრობლემებზე ზეპირი, საჯარო მსჯელობა თუ მათზე არგუმენტირებულად წერა. მას ხელეწიფება ისტორიული და თანამედროვე, მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების, ძიებების გაანალიზება-შეფასება; ხელოვნების შესაბამისი დარგის სამომავლო განვითარების გზის სავარაუდოდ განჭვრეტა-პროგნოზირება.</p>
<p>დ) კომუნიკაციის უნარი</p>	<p>აქვს კომუნიკაციის უნარი კოლეგებთან, დარგის სპეციალისტებთან, ფართო აუდიტორიასთან, მასმედიასთან. იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით ხელოვნების სფეროში, შეუძლია მათი პროფესიულად გამოყენება, საჯარო დემონსტრირება. აქვს წერიითი და ზეპირი კომუნიკაციის საბაზო უნარ-ჩვევები როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე, აქვს საფესტივალო კომუნიკაციის გამოცდილება. შეუძლია პროფესიულ დიკუსიაში მონაწილეობა და შედეგების დეტალური, დასაბუთებული წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარმოდგენა.</p> <ul style="list-style-type: none"> - მოეთხოვება უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე. <p>იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), მათ შორის დარგობრივ სფეროში;</p> <ul style="list-style-type: none"> - შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება.
<p>ე) სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სასწავლო რესურსების სრული სპექტრი. გეგმავს და ახორციელებს საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული ზრდის პროცესს. შეუძლია</p>

	საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული განვითარების პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლისა და პროფესიული დაოსტატების საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის ობიექტურად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა.
ვ) ღირებულებები	მონაწილეობს ხელოვნების დარგების ღირებულებების ფორმირებისა და შეფასების პროცესში და თავად უწყობს ხელს ღირებულებები შექმნას: კერძოდ, აფასებს და ანალიზებს თეატრალურ წარმოდგენებს/სპექტაკლებს, სანახაობრივ პროექტებს, აუდიო-ვიზუალურ პროდუქციას, არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების დარგების შემოქმედებით პროდუქციას და სხვ. ადეკვატურად აფასებს ხელოვნების დარგების პროფესიულ ღირებულებებსა და მიღწევებს.
პროგრამის განვითარება	„ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა)“ საბაკალავრო პროგრამის განვითარება შესაძლებელია შემდგომი აკადემიური ხარისხის მოპოვებით სამაგისტრო დონეზე, თუ სტუდენტს სურვილი და მოტივაცია აქვს გააღრმავოს და განავითაროს ანალტიკურ - კვლევითი უნარები და/ან მოიპოვოს შემდგომში პედაგოგიური მუშაობის უფლება. კურსდამთავრებულის საბაკალავრო კომპეტენციები უზრუნველყოფს მის უფლებას – სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე – მაგისტრატურაში.

რამდენადაც „ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა)“ საბაკალავრო პროგრამაში სტუდენტის ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები იდენტურია სამივე სპეციალობისათვის (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა), ყოველი კონკრეტული სპეციალობის დახასიათებისას წარმოდგენილი იქნება მათ შორის განმასხვავებელი პროფესიული/დარგობრივი კომპეტენციები

ა) სპეციალობა- თეატრმცოდნეობა
სწავლის შედეგები და კომპეტენციები

თეატრმცოდნეს გაცნობიერებული აქვს სათეატრო ხელოვნების არსი, იცნობს დარგის მთავარ პრინციპებს:

- იცის მსოფლიო და ქართული თეატრის ისტორია და თეორია კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური ასპექტის გათვალისწინებით, ერკვევა

თეატრალური ხელოვნების პრობლემატიკაში, სახეებში და კვლევის მეთოდებში.

- აქვს საბაზისო ცოდნა თეატრალური კრიტიკის არსის, ძირითადი პარამეტრების და თავისებურებების შესახებ.
- იცნობს თეატრის კომპონენტებს, დრამატურგიის საფუძვლებს, ეპიზოდის ან გმირის ხასიათის, კონფლიქტის ბუნების მნიშვნელობას, მათ ადგილს სპექტაკლის მხატვრულ ქსოვილში.
- იცნობს თანამედროვე სათეატრო კრიტიკისა და ჟურნალისტიკის საფუძვლებს.
- აცნობიერებს კრიტიკისა და ჟურნალისტიკის ისტორიასა და თეორიას განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე, კონკრეტული პერიოდის ისტორიულ, სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობასა და სათეატრო ხელოვნების ურთიერთობას.
- იცნობს ამ სფეროში საქართველოს, დასავლეთ ევროპისა და სხვა ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილებას, შეფასების კრიტერიუმებსა და თანამედროვე თეორიებს.
- იცის პრობლემურ მასალაზე მუშაობა, ჟურნალისტური ინტერვიუს, რეპორტაჟის მომზადება, კრიტიკული წერილისა თუ რეცენზიის წერა და სპექტაკლის შეფასება.
- აითვისებული აქვს მხატვრულ მოვლენებსა და ფაქტებში ორიენტაციისა და შესწავლა-ანალიზის, დისკუსიაში მონაწილეობის, წერიტი და ზეპირი პრეზენტაციის უნარები;
- შეუძლია მუდმივად განაახლოს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება;
- აქვს კომუნიკაციის უნარი სადადგმო კოლექტივთან, მაყურებელთან. იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით სათეატრო ხელოვნების სფეროში.
- აქვს თვითშეფასების უნარი.

კურსდამთავრებულის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი.

ბ) სპეციალობა - კინომცოდნეობა

სწავლის შედეგები და კომპეტენციები

კინომცოდნეობის სპეციალობა გულისხმობს სტუდენტის მიერ კინოს ისტორიის და თეორიის საფუძვლების დაუფლებას, აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დარგების, კინო-ტელე-ვიდეო კრიტიკის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, კინოკრიტიკოსის ოსტატობას, მიმდინარე კინოპროცესების შეფასებისთვის მის საფუძვლიან შესწავლას.

კინომცოდნეობის სპეციალობაზე სტუდენტი სწავლობს: მსოფლიო და ქართული კინოს განვითარების გზას, მის ზოგად და კონკრეტულ საკითხებს; კინოს ისტორიისა და თეორიისათვის მნიშვნელოვანი მასალის მოძიება-გამოყენებას; კინოპროცესის, შემოქმედებითი მიმდინარეობების და სკოლების, ცალკეულ ხელოვანთა შემოქმედების, და ა.შ., შესახებ მსჯელობას, როგორც თვისობრივად, ისე დროის კონტექსტში; შესაბამისად,

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- პროფესიული ხედვით ფილმის აღქმა.
- მსოფლიო და ქართული კინოს მნიშვნელობის და მისი ადგილის განსაზღვრა მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის სივრცეში.
- ლოგიკური აზროვნება, ზეპირ-წერიტი ინტელექტუალურ-ანალიტიკური აზროვნება და ურთიერთობები.
- ლიტერატურის, ხელოვნებათმცოდნეობის, კულტურული მემკვიდრეობის, ფილოსოფიის, ესთეტიკის, ფსიქოლოგიის, და სხვა დარგებთან კავშირში აზროვნება და საკუთარი მოსაზრების გადმოცემისას ზემოჩამოთვლილი დარგების მეშვეობით აპელირება.
- საკვლევ თემაზე მასალის მოპოვება (ლიტერატურა, არქივი) და მის საჭიროებისამებრ გამოყენება.
- ფილმის რეცენზირება, სადაც შეძლებს მკითხველამდე ფილმის მხატვრული ფენომენის მიტანას, მისი ღირსებების გახსნა.
- სხვადასხვა ჟანრის პუბლიკაციის წერა (საჟურნალო და საგაზეთო რეცენზია, ესე, შინაარსი, სარეკლამო ტექსტი, ფილმზე დასკვნა და ა.შ.)
- მასალის შეგროვება, ტექსტის რედაქტირება, კინოსაკითხებში პროფესიულ ორიენტირება.

ამასთან, **კინომცოდნეს** გაცნობიერებული აქვს აუდიო-ვიზუალური ხელოვნების არსი, იცნობს კინემატოგრაფიის დარგის მთავარ პრინციპებს:

- იცის მსოფლიო და ქართული კინოს ისტორია და თეორია კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური ასპექტის გათვალისწინებით, ერკვევა კინოხელოვნების პრობლემატიკაში, სახეებში და კვლევის მეთოდებში.
- აქვს საბაზისო ცოდნა კინოკრიტიკის არსის, ძირითადი პარამეტრების და თავისებურებების შესახებ.
- იცნობს კინემატოგრაფიის კომპონენტებს, დრამატურგიის საფუძვლებს, ეპიზოდის ან გმირის ხასიათის, კონფლიქტის ბუნების მნიშვნელობას, განათების, გადაღების, კადრირების, მონტაჟის ადგილს ფილმის მხატვრულ ქსოვილში.
- იცნობს თანამედროვე კინოკრიტიკისა და ჟურნალისტიკის საფუძვლებს.
- აცნობიერებს კრიტიკისა და ჟურნალისტიკის ისტორიასა და თეორიას განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე, კონკრეტული პერიოდის ისტორიულ, სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობასა და კინოხელოვნების ურთიერთობას.
- იცნობს ამ სფეროში საქართველოს, დასავლეთ ევროპისა და სხვა ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილებას, შეფასების კრიტერიუმებსა და თანამედროვე თეორიებს.
- იცის პრობლემურ მასალაზე მუშაობა, ჟურნალისტური ინტერვიუს, რეპორტაჟის მომზადება, კრიტიკული წერილისა თუ რეცენზიის წერა და ფილმის შეფასება.
- აითვისებული აქვს მხატვრულ მოვლენებსა და ფაქტებში ორიენტაციისა და შესწავლა-ანალიზის, დისკუსიაში მონაწილეობის, წერიტი და ზეპირი პრეზენტაციის უნარები;
- შეუძლია მუდმივად განაახლოს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება;
- აქვს კომუნიკაციის უნარი შემოქმედებით კოლექტივთან, მაყურებელთან. იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით კინოხელოვნების სფეროში.
- აქვს თვითშეფასების უნარი.

კურსდამთავრებულის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი.

გ) სპეციალობა - ხელოვნებათმცოდნეობა
სწავლის შედეგები და კომპეტენციები

ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობა გულისხმობს სტუდენტის მიერ ხელოვნების ისტორიის და თეორიის საფუძვლების დაუფლებას, აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დარგების, კინო-ტელე-ვიდეო კრიტიკის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, კინოკრიტიკოსის ოსტატობას, მიმდინარე კინოპროცესების შეფასებისთვის მის საფუძვლიან შესწავლას. პროგრამის ერთიანობა უზრუნველყოფილია სასწავლო დისციპლინათა სტრატეგიული კოორდინაციით. გათვალისწინებულია ის აუცილებელი რეალობა, რომ ვიზუალური ხელოვნება, როგორც კულტურის სისტემის განუყოფელი ნაწილი თანამედროვე საზოგადოებაში მოითხოვს ისეთ სოციალურ დისციპლინებთან ურთიერთ შეჯერებულ განხილვას როგორცაა; სოციოლოგია, კულტუროლოგია, კულტურული მენეჯმენტი, მარკეტინგი. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროგრამის (რომელიც შედგენილია მომიჯნავე დარგის სპეციალისტებთან შეთანხმებით) აქტუალობა განისაზღვრება ინტერდარგობრივი სავალდებულო და არჩევითი კურსების ორგანული კავშირით.

ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობაზე სტუდენტი სწავლობს: მსოფლიო და ქართული ხელოვნების განვითარების გზას, მის ზოგად და კონკრეტულ საკითხებს; ხელოვნების ისტორიისა და თეორიისათვის მნიშვნელოვანი მასალის მოძიება-გამოყენებას; არტ-პროცესების, შემოქმედებითი მიმდინარეობების და სკოლების, ცალკეულ ხელოვანთა შემოქმედების, და ა.შ., შესახებ მსჯელობას, როგორც თვისობრივად, ისე დროის კონტექსტში; შესაბამისად,

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- პროფესიული ხედვით ხელოვნების ნიმუშის აღქმა და ანალიზი.
- მსოფლიო და ქართული ხელოვნების მნიშვნელობის და მისი ადგილის განსაზღვრა მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის სივრცეში.
- ლოგიკური აზროვნება, ზეპირ-წერიითი ინტელექტუალურ-ანალიტიკური აზროვნება და ურთიერთობები.
- ლიტერატურის, თეატრმცოდნეობის, კინომცოდნეობის, კულტურული ფილოსოფიის, ესთეტიკის, ფსიქოლოგიის, და სხვა დარგებთან კავშირში აზროვნება და საკუთარი მოსაზრების გადმოცემისას ზემოჩამოთვლილი დარგების მეშვეობით აპელირება.
- საკვლევ თემაზე მასალის მოპოვება (ლიტერატურა, არქივი) და მის საჭიროებისამებრ გამოყენება.
- ხელოვნების ნიმუშის სტილისტური ანალიზი, სადაც შეძლებს მკითხველამდე მისი მხატვრული ფენომენის მიტანას, მისი ღირსებების გახსნა.
- სხვადასხვა ჟანრის პუბლიკაციის წერა (საჟურნალო და საგაზეთო რეცენზია, ესე, შინაარსი, სარეკლამო ტექსტი, ფილმზე დასკვნა და ა.შ.).

- მასალის შეგროვება, ტექსტის რედაქტირება, ხელოვნების საკითხებში პროფესიულ ორიენტირება.

ამასთან, **ხელოვნებათმცოდნეს** გაცნობიერებული აქვს ხელოვნების სფეროს არსი, იცნობს მისი სხვადასხვა დარგის მთავარ პრინციპებს:

- იცის მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორია და თეორია კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური ასპექტის გათვალისწინებით, ერკვევა ხელოვნების პრობლემატიკაში, განვითარების ეტაპებში და კვლევის მეთოდებში.
- აქვს საბაზისო ცოდნა ხელოვნების არსის, ძირითადი პარამეტრების და თავისებურებების შესახებ.
- იცნობს თანამედროვე ხელოვნების კრიტიკისა და ჟურნალისტიკის საფუძვლებს.
- აცნობიერებს კრიტიკისა და ჟურნალისტიკის ისტორიასა და თეორიას განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე, კონკრეტული პერიოდის ისტორიულ, სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობასა და ხელოვნების დარგების ურთიერთობას.
- იცნობს ამ სფეროში საქართველოს, დასავლეთ ევროპისა და სხვა ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილებას, შეფასების კრიტერიუმებსა და თანამედროვე თეორიებს.
- იცის პრობლემურ მასალაზე მუშაობა, ჟურნალისტური ინტერვიუს, რეპორტაჟის მომზადება, კრიტიკული წერილისა თუ რეცენზიის წერა და ხელოვნების ნიმუშის შეფასება.
- აითვისებული აქვს მხატვრულ მოვლენებსა და ფაქტებში ორიენტაციისა და შესწავლა-ანალიზის, დისკუსიაში მონაწილეობის, წერითი და ზეპირი პრეზენტაციის უნარები.
- შეუძლია მუდმივად განაახლოს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება.
- აქვს კომუნიკაციის უნარი კოლეგებთან და არასპეციალისტებთან. იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით ხელოვნების სფეროში.
- აქვს თვითშეფასების უნარი.

კურსდამთავრებულის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ხელოვნებათმცოდნეობაში.

**მასობრივი კომუნიკაცია
(ტელე – რადიო ჟურნალისტიკა)**

სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური
საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მასობრივი კომუნიკაცია (ტელე–რადიო ჟურნალისტიკა)
საფეხური	ბაკალავრიატი
პროგრამის ტიპი	აკადემიური; ძირითადი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	240 კრედიტი
სწავლის ხანგრძლივობა	8 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდები
დასაქმების სფერო	ტელე – რადიო კომპანიები, სარეკლამო სააგენტოები, საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სამსახურები, პრეს-ცენტრები, საინფორმაციო სააგენტოები, პუბლიცისტიკა და ჟურნალისტიკის სფერო, მედიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, უმაღლესი, პროფესიული და ზოგადი საგანმანათლებლო სივრცე; სარედაქციო საქმიანობა; კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.
პროგრამის მიზანი	„მასობრივი კომუნიკაციის (ტელე–რადიო ჟურნალისტიკა)“ საბაკალავრო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ–ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, კინო–ტელე, ქორეოგრაფიული, მუსიკალური და სხვა) განვითარება და ამავე დარგების კვლევა. აღნიშნულ კონტექსტში „მასობრივი კომუნიკაციის (ტელე–რადიო ჟურნალისტიკა)“ საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს ხელოვნების შესაბამისი დარგების განვითარებისთვის ერთ–ერთ აუცილებელ პირობას – მოამზადოს ჟურნალისტიკის სფეროში ხელოვნების

დარგების თანამედროვე პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური შემფასებელი - პრაქტიკოს-ანალიტიკოსი ჟურნალისტი, რომელიც პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული როგორც დარგობრივი/პროფესიული, ასევე ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებზე არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით.

პროგრამის ფარგლებში სპეციალობის თავისებურებათა მიხედვით სტუდენტთა მიღება ყოველწლიურად ხდება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებისა და დაკვეთის გათვალისწინებით. კერძოდ:

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს „მასობრივი კომუნიკაციის (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა)“ სპეციალობის სტუდენტთა მიღებასა და მომზადებას ყოველწლიურად, საქართველოში მიმდინარე კულტურული პროცესების – თეატრალური ხელოვნების, კინო და ტელე ინდუსტრიისა თუ ხელოვნების სხვა დარგების ანალიზისა და მედიის საშუალებებში მათი გაშუქების მიმართულებით არსებული რეალიების, ამ დარგების პროფესიონალი ჟურნალისტ-ანალიტიკოსების რაოდენობისა და მათ მიმართ სახელმწიფო მოთხოვნებისა თუ დაკვეთების შესაბამისად. როგორც წესი, მსურველთა რაოდენობა ამ სპეციალობაზე დიდია და კონკურსიც ძალიან მაღალია, თუმცა, რამდენადაც მათზე საზოგადოებრივი დაკვეთა შედარებით მცირეა, ტელე-რადიო ჟურნალისტის სპეციალობაზე მსურველთა მიღება და მომზადება ხორციელდება შეზღუდული რაოდენობით: წელიწადში 20-25 სტუდენტი (საშუალოდ) – საზოგადოებრივი დაკვეთის საჭიროებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების მიხედვით.

ამდენად, „მასობრივი კომუნიკაციის (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა)“ საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზარსა და მოთხოვნებზე.

„მასობრივი კომუნიკაციის (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა)“ საბაკალავრო პროგრამის მიზანია – უზრუნველყოს სტუდენტები სოციალური მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებების, ჟურნალისტიკის საფუძვლებისა და ხელოვნების დარგების სპეციფიკის საფუძვლების ცოდნით, შეასწავლოს მათ თეატრის, კინოსა და ხელოვნების სხვა დარგების პროფესიული შეფასების, ანალიზისა და მედიაში გაშუქების საბაზისო უნარები, ძირითადი ელემენტები, საბაზისო ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ტელე-რადიო ჟურნალისტიკის საფუძვლებისა და ხელოვნების დარგების არსის გაცნობიერებას, ამ დარგების

	<p>მთავარი პრინციპებისა და თეორიული საფუძვლების საბაზისო ცოდნას – მედიაში მათი პროფესიული გაშუქებისა და ანალიზის მიზნით.</p>
<p>შედეგები</p>	<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება - აქვს ჟურნალისტიკის საფუძვლების, სოციალური მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და ხელოვნების შესაბამისი სფეროს თავისებურებების ფართო, საბაზისო ცოდნა. გაცნობიერებული აქვს ხელოვნების შესაბამისი სფეროს არსი, იცნობს ხელოვნების შესაბამისი დარგის ისტორიისა და თეორიის მთავარ პრინციპებს. იცის მხატვრული ნაწარმოების შემოქმედებითი ინტერპრეტაციის შეფასების ძირითადი კანონზომიერებები. აქვს ქართული და მსოფლიო ხელოვნების შესაბამისი დარგის ისტორიის ზოგადი ცოდნა. აცნობიერებს ხელოვნების ისტორიის საფეხურების თავისებურებებს, მის კავშირს ზოგად-ისტორიულ, სოციალურ და სხვა საზოგადოებრივ-კულტურულ პროცესებთან. სპეციალურ ლიტერატურაზე მუშაობის ჩვევა; კურსდამთავრებული იცნობს ხელოვნების დარგების განვითარების მთავარ პრინციპებს, თეორიებს და კონცეფციებს. იცის შესაბამისი ტერმინოლოგია და ანალიზის ძირითადი პრინციპები. კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკური ნორმები. აცნობიერებს შემოქმედებითი პროცესების უმთავრეს ნიუანსებს. იცის შემოქმედებითი ნაწარმოების/პროდუქციის თეორიული ანალიზი, მსჯელობის აკადემიურ დონეზე წარმართვა. იცის, როგორ გააშუქოს კულტურული პროცესები თუ კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქცია. იცის სამუშაო პროცესის დაგეგმვა და კოლეგებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა. აქვს პროფესიული საქმიანობის დასაწყებად მზადყოფნა; პროფესიული საკითხთებისადმი კრიტიკული მიდგომის და პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი; საკუთარი მოსაზრების საჯარო წარდგენის და დასაბუთების უნარ-ჩვევები.</p> <p>ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - შეუძლია სატელევიზიო ჟურნალისტური ნაწარმოებების: სატელევიზიო სცენარების, სიუჟეტების, რეპორტაჟების, პროგრამების, გადაცემების, შოუების მომზადება; ტელეგადაცემების წყვანა; ტელეჟურნალისტიკის ტექნოლოგიური პროცესებში გარკვევა; მოვლენის, ფაქტის, ჟურნალისტური ნაწარმოების ანალიზი და შეფასება; ინტერვიუერთან, რეჟისორთან, ოპერატორთან, პროდიუსერთან, წამყვანთან მუშაობა; თანამედროვე</p>

სატელევიზიო ჟანრების თავისებურებებში ორიენტირება; აქვს ანალიტიკური თუ კრიტიკული კონცეფციის ლოგიკურად ჩამოყალიბების უნარი, აქვს საკუთარ თავზე მუშაობის უნარი, შეუძლია ქართული და მსოფლიო ხელოვნების შესაბამისი დარგის ყოველი ეპოქის, თავისებურებების შესახებ ცოდნა ან ინფორმაცია გააშუქოს კვალიფიციურად. ასევე, შესწევს უნარი, გააანალიზოს კულტურის სფეროს მოვლენები და ხელოვნების ნიმუშები. მუშაობის პროცესში მას შეუძლია მონათესავე დისციპლინების მონაცემთა გამოყენებაც. შეუძლია კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება, წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციების მიხედვით. აქვს ობიექტური თვითშეფასების უნარი.

გ) დასკვნის უნარი - დაგროვილი ცოდნისა და შეძენილი ანალიტიკური უნარების საფუძველზე აქვს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისა და თეორიულ-ანალიტიკური საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი. დამოუკიდებლად შეუძლია ტელე-რადიო ჟურნალისტიკის სფეროში ახალი მონაცემის ანალიზი ხელოვნების დარგის სტანდარტული და ახალი მეთოდების გამოყენებით. მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების გამოყენება მოცემული საჭიროებისათვის და პრობლემის გადასაჭრელად. შეუძლია მონაცემების ინტერპრეტაცია. შეუძლია ხელოვნების დარგებისთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება, განმარტება და მათი სისტემატიზაცია-კლასიფიკაცია. ასევე, აღნიშნულ კონტექსტში არსებული გამოცდილების, მიღწევების, მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. შეუძლია ხელოვნების ისტორიის, თეორიისა და კრიტიკის საკითხებსა თუ პრობლემებზე ზეპირი, საჯარო მსჯელობა, მათზე არგუმენტირებულად წერა და მედიასაშუალებებში მათი კვალიფიციურად გაშუქება.

დ) კომუნიკაციის უნარი - აქვს კომუნიკაციის უნარი კოლეგებთან, დარგის სპეციალისტებთან, ფართო აუდიტორიასთან, მასმედიასთან. იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით მედიისა და ხელოვნების სფეროში, შეუძლია მათი პროფესიულად გამოყენება, საჯარო დემონსტრირება. აქვს წერიტი და ზეპირი კომუნიკაციის საბაზო უნარ-ჩვევები როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე, აქვს საფესტივალო კომუნიკაციის გამოცდილება. შეუძლია პროფესიულ დიკუსიაში მონაწილეობა და შედეგების დეტალური, დასაბუთებული წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარმოდგენა.

	<ul style="list-style-type: none"> - მოეთხოვება უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე. - იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), მათ შორის დარგობრივ სფეროში; შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება. <p>ე) სწავლის უნარი - შეუძლია გამოიყენოს სასწავლო რესურსების სრული სპექტრი. გეგმავს და ახორციელებს საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული ზრდის პროცესს. შეუძლია საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული განვითარების პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლისა და პროფესიული დაოსტატების საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის ობიექტურად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა.</p> <p>ვ) ღირებულებები - მონაწილეობს მასმედიისა და ხელოვნების დარგების ღირებულებების ფორმირებისა და შეფასების პროცესში და თავად უწყობს ხელს ღირებულებების შექმნას: კერძოდ, აფასებს, აანალიზებს და აშუქებს კულტურული პროცესების მიმდინარეობასა და მათ გავლენას საზოგადოების განვითარებაზე. ადეკვატურად აფასებს ხელოვნების დარგების პროფესიულ ღირებულებებსა და მიღწევებს.</p>
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>„მასობრივი კომუნიკაციის (ტელე–რადიო ჟურნალისტიკა)“ საბაკალავრო პროგრამის განვითარება შესაძლებელია შემდგომი აკადემიური ხარისხის მოპოვებით სამაგისტრო დონეზე, თუ სტუდენტს სურვილი და მოტივაცია აქვს გააღრმავოს და განავითაროს ანალტიკურ - კვლევითი უნარები და/ან მოიპოვოს შემდგომში პედაგოგიური მუშაობის უფლება. კურსდამთავრებულის საბაკალავრო კომპეტენციები უზრუნველყოფს მის უფლებას – სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე – მაგისტრატურაში.</p>
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა</p>

მენეჯმენტი (ხელოვნების)

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტში) ბაკალავრის აკადემიური
საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მენეჯმენტი (ხელოვნების)
საფეხური	ბაკალავრიატი
პროგრამის ტიპი	აკადემიური; ძირითადი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	240 კრედიტი
სწავლის ხანგრძლივობა	8 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდები
დასაქმების სფერო	კურსდამთავრებულს, რომელსაც გააჩნია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური კვალიფიკაცია (ხელოვნების მენეჯმენტში), შეიძლება დასაქმდეს ხელოვნების სფეროს ორგანიზაციების (მაგალითად, ნებისმიერი პროფილის თეატრი, კინოთეატრი, მუზეუმი, ფოლკლორის ცენტრი, გალერეა, საგამოფენო სივრცე და ა.შ.) მართვის დაბალ და საშუალო რგოლებში მენეჯერისათვის შესაფერის თანამდებობებზე, კულტურის სფეროს ადგილობრივი და უწყებრივი დაქვემდებარების ორგანიზაციებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და საზოგადოებრივ, არასამთავრობო და სამთავრობო სტრუქტურებში. მისი სამუშაო კომპეტენციაა პროფესიული შეფასებების გაკეთება და დაინტერესებული საზოგადოებისათვის და დამკვეთი მხარისთვის გადაცემა. მმართველობითი ხასიათის ინფორმაციის შეგროვება, კვლევების ჩატარება, ანალიზი და შესაბამისი დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება. ამგვარი ხასიათის სამუშაოები მას შეუძლია შეასრულოს, როგორც ინდივიდუალურად (დამოუკიდებლად), ასევე - გუნდურად (ჯგუფთან ერთად). ასევე, შეუძლია მუშაობა ექსპერტ-ანალიტიკოსად, პედაგოგად (სახელოვნებო პროფილის უმაღლესი, პროფესიული და ზოგადი საგანმანათლებლო სივრცე); შეუძლია სარედაქციო საქმიანობა.
პროგრამის მიზანი	„მენეჯმენტის (ხელოვნების)“ საბაკალავრო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა

	<p>რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, კინო-ტელე, ქორეოგრაფიული, მუსიკალური და სხვა) განვითარება და ამავე დარგების კვლევა. აღნიშნულ კონტექსტში „მენეჯმენტის (ხელოვნების)“ საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს ხელოვნების შესაბამისი დარგების განვითარებისთვის აუცილებელ პირობას – მოამზადოს ხელოვნების დარგების თანამედროვე პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური მენეჯერი/მმართველი, რომელიც პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული როგორც დარგობრივი/პროფესიული, ასევე ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებული იქნება შრომის ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებზე არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით.</p> <p>პროგრამის ფარგლებში სპეციალობის თავისებურებათა მიხედვით სტუდენტთა მიღება ყოველწლიურად ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაკვეთის გათვალისწინებით. კერძოდ:</p> <p>საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს „მენეჯმენტის (ხელოვნების)“ სპეციალობის სტუდენტთა მიღებასა და მომზადებას ყოველწლიურად, საქართველოში არსებული სხვადასხვა პროფილის თეატრების, კინო და ტელე ინდუსტრიისა თუ ხელოვნების დარგების კვლევების მიმართულებით არსებული რეალიების, ამ დარგების პროფესიონალი მენეჯერების, ექსპერტ-ანალიტიკოსების რაოდენობისა და მათ მიმართ სახელმწიფო მოთხოვნებისა თუ დაკვეთების შესაბამისად. თუმცა, რამდენადაც მათზე საზოგადოებრივი დაკვეთა შედარებით მეტია, მენეჯმენტის (ხელოვნების) სპეციალობაზე მსურველთა მიღება და მომზადება ხორციელდება შემდეგი რაოდენობით: წელიწადში 40-50 სტუდენტი (საშუალოდ) – საზოგადოებრივი დაკვეთის საჭიროებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების მიხედვით.</p> <p>ამდენად, „მენეჯმენტის (ხელოვნების)“ საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნაზე.</p>
შედეგები	<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება - კურსდამთავრებულს ინტეგრირებულად აქვს გაცნობიერებული ქართული და მსოფლიო თეატრის, კინოს ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა. გაღრმავებულად აცნობიერებს კულტურის სფეროს ორგანიზაციების (მისი ქვედანაყოფების) მართვის თეორიისა და პრაქტიკის მთავარ სირთულეებს და განვითარების შესაძლებლობებს, ამ საქმეში ფინანსური</p>

უზრუნველყოფის, პოტენციურ დონორებთან კონტაქტების დამყარების როლსა და მნიშვნელობას. კულტურის სფეროს კავშირს სოციალურ და სხვა საზოგადოებრივ კულტურულ პროცესებთან. კურსდამთავრებული ინტეგრაციულად აცნობიერებს მართვის ზოგად პრინციპებს, თეორიებს და კონცეფციებს, პროფესიულ პასუხისმგებლობასა და ეთიკურ ნორმებს. დაუფლებულია მენეჯმენტის საფუძვლებს: მართვის ფუნქციებს, მართვისადმი მიდგომებს, მართვის მეთოდებსა და პრინციპებს, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს. გაცნობიერებული აქვს კულტურის სფეროს თავისებურებები. ფლობს ცოდნას კულტურის სფეროს მიმართულებების (თეატრი, კინო, მუსიკა, სამუზეუმო და საგამომცემლო საქმე და ა.შ.) ისტორიის, განვითარების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, გაცნობიერებული აქვს კულტურის სფეროს მიმართულებების მართვის თავისებურებანი და სპეციფიკა. აქვს კულტურის სფეროსათვის დამახასიათებელი პროექტებისა და პროგრამების შედგენისა და მართვის პრინციპებისა და მეთოდოლოგიური საკითხების შესახებ ცოდნა;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - აქვს კულტურის სფეროს მიმართულებების (თეატრი, კინო, მუსიკა, სამუზეუმო და საგამომცემლო საქმე და ა.შ.) მართვასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისა და გადაჭრის გზების მოძიების უნარი (მაგალითად, დაფინანსების ახალი წყაროების მოძიება, სპონსორობის თაობაზე ბიზნეს-სტრუქტურებთან თანამშრომლობა და ა.შ.), კულტურის სფეროს ორგანიზაციების (მისი ქვედანაყოფების) მართვისათვის აუცილებელი - შიგა და გარე გარემოს მახასიათებლების ურთიერთკავშირის განსაზღვრისა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი. საბიუჯეტო, საგადასახადო და ფულად-საკრედიტო სფეროების მარეგულირებელი ორგანოების (პარლამენტი, მთავრობა, ფინანსთა სამინისტრო, ეროვნული ბანკი) მიერ შემუშავებული დოკუმენტების (მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტის ან საგადასახადო კოდექსის და ა.შ.) გაცნობის, ანალიზისა და გამოყენების უნარი. შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კულტურის სფეროსათვის დამახასიათებელი პროექტებისა და პროგრამების შედგენისა და რეალიზაციის პროცესის მართვაში. ფლობს ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარს.

გ) დასკვნის უნარი - შეუძლია კულტურის სფეროს ორგანიზაციების განვითარების მიზნით სრულფასოვნად ჩაატაროს ანალიზი და დასახოს შესაბამისი ღონისძიებანი. დარგის სტანდარტული და ახალი მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად შეუძლია კულტურის

სფეროს მართვის ამა თუ იმ საკითხის (მაგალითად, გადაწყვეტილების მიღების) შესახებ ახალი მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია, მართვის მნიშვნელოვან პრობლემებზე ზეპირი, საჯარო მსჯელობა თუ მათ შესახებ არგუმენტირებული წერილობითი დოკუმენტის მომზადება. შექმნილი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას სწორად შეაფასოს კულტურის მართვის სფეროში შექმნილი მდგომარეობა და შეიმუშაოს ადეკვატური წინადადებები და რეკომენდაციები. შეუძლია ხელოვნების შესაბამისი დარგის სამომავლო განვითარების გზის სავარაუდოდ განჭვრეტა-პროგნოზირება.

დ) კომუნიკაციის უნარი - შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება; კულტურის სფეროს მართვის ძირეულ საკითხებზე საკუთარი მოსაზრებების, როგორც წერილობით ისე ზეპირად წარდგენა; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით კონკრეტულ საკითხზე პრეზენტაციის მოწყობა. მმონაწილეობა მიიღოს დისკუსიებში და წარმოადგინოს პრობლემის დაძლევის საკუთარი ხედვა წინადადებებისა და რეკომენდაციების სახით. ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს კონტაქტი დაამყაროს უცხოელ პარტნიორებთან. აქვს კომუნიკაციის უნარი კოლეგებთან, დარგის სპეციალისტებთან, ფართო აუდიტორიასთან, მასმედიასთან. აქვს წერიტი და ზეპირი კომუნიკაციის საბაზო უნარ-ჩვევები როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე, აქვს საფესტივალო კომუნიკაციის გამოცდილება. შეუძლია პროფესიულ დიკუსიაში მონაწილეობა და შედეგების დეტალური, დასაბუთებული წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარმოდგენა.

- მოეთხოვება უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე.
- იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), მათ შორის დარგობრივ სფეროში; შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება.

ე) სწავლის უნარი - შეუძლია გამოიყენოს სასწავლო რესურსების სრული სპექტრი. გეგმავს და ახორციელებს საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული ზრდის პროცესს. შეუძლია საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული განვითარების პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლისა და პროფესიული დაოსტატების საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; აქვს სწავლისა

	<p>და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში (მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად) ან დაიწყოს საქმიანობა მართვის დაბალ ან საშუალო რგოლებში, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში მას მოუწევს სწავლის გაგრძელება ცოდნის გასაღრმავებლად, კერძოდ კი იმ სიახლეების დასაუფლებლად, რაც მსოფლიოში მისთვის საინტერესო დარგში დანერგილია ან ინერგება.</p> <p>ვ) ღირებულებები - მონაწილეობს ხელოვნების დარგების ღირებულებების ფორმირებისა და შეფასების პროცესში და თავად უწყობს ხელს ღირებულებები შექმნას: კერძოდ, ადეკვატურად აფასებს ხელოვნების დარგების პროფესიულ ღირებულებებსა და მიღწევებს. შეუძლია კულტურის სფეროში ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დამკვიდრებაში საკუთარი წვლილის შეტანა.</p>
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>„მენეჯმენტის (ხელოვნების)“ საბაკალავრო პროგრამის განვითარება შესაძლებელია შემდგომი აკადემიური ხარისხის მოპოვებით სამაგისტრო დონეზე, თუ სტუდენტს სურვილი და მოტივაცია აქვს გააღრმავოს და განავითაროს ანალტიკურ - კვლევითი უნარები და/ან მოიპოვოს შემდგომში პედაგოგიური მუშაობის უფლება. კურსდამთავრებულის საბაკალავრო კომპეტენციები უზრუნველყოფს მის უფლებას – სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე – მაგისტრატურაში.</p> <p>ამასთან, „მენეჯმენტის (ხელოვნების)“ საბაკალავრო პროგრამა ზემოაღნიშნული კომპეტენციების შედეგად განაპირობებს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას როგორც შრომის ბაზარზე, ასევე განათლების შემდგომ საფეხურზე.</p> <p>„მენეჯმენტის (ხელოვნების)“ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და, უშუალოდ, პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობენ როგორც დამსაქმებლები (რომლებიც, სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად თავად წარმოადგენენ აკადემიურ პერსონალს), ასევე აკადემიური პერსონალი, სტუდენტები (თვითმართველობა) და კურსდამთავრებულები (შემდგომში – მასწავლებლების სახით).</p>
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა</p>

კულტურული ტურიზმი

ბიზნესის ადმინისტრირების (ტურიზმში) ბაკალავრის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კულტურული ტურიზმი
საფეხური	ბაკალავრიატი
პროგრამის ტიპი	აკადემიური; ძირითადი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	240 კრედიტი
სწავლის ხანგრძლივობა	8 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდები
დასაქმების სფერო	კურსდამთავრებულს, რომელსაც გააჩნია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური კვალიფიკაცია (ტურიზმში), შეიძლება დასაქმდეს ტურისტულ სააგენტოებში; ტუროპერატორულ კომპანიებში; კურორტებისა და ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტში; ტურიზმით დაინტერესებული ბუნებადაცვით და არასამთავრობო ორგანიზაციებში. ტურიზმის სფეროს ადგილობრივი და უწყებრივი დაქვემდებარების ორგანიზაციებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და საზოგადოებრივ, არასამთავრობო და სამთავრობო სტრუქტურებში. მისი სამუშაო კომპეტენციაა ასევე ტურიზმის განხრით პროფესიული შეფასებების გაკეთება და დაინტერესებული საზოგადოებისათვის და დამკვეთი მხარისთვის გადაცემა. კულტურული ტურიზმის დარგში საინფორმაციო ხასიათის ინფორმაციის შეგროვება, კვლევების ჩატარება, ანალიზი და შესაბამისი დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება. ამგვარი ხასიათის სამუშაოები მას შეუძლია შეასრულოს, როგორც ინდივიდუალურად (დამოუკიდებლად), ასევე - გუნდურად (ჯგუფთან ერთად). ასევე, შეუძლია მუშაობა ტურიზმის დარგში სპეციალისტ-ანალიტიკოსად, პედაგოგად (სახელოვნებო პროფილის უმაღლესი, პროფესიული და ზოგადი საგანმანათლებლო სივრცე).
პროგრამის მიზანი	„კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო

უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგებში ტურისტული ღურბულებების მქონე რესურსების კვლევა. აღნიშნულ კონტექსტში **„კულტურული ტურიზმის“** საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება მისიაში ფორმულირებულ მიზნებს, რამდენადაც მისი თემატიკა განისაზღვრება კულტურული ტურიზმისათვის აუცილებელი კომპონენტებით. უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობითი და მენჯმენტის სპეციფიკათა სინთეზი უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულების განსაკუთრებულობას ტურიზმის საგანმანათლებლო სივრცეში. ამდენად, პროგრამა უზრუნველყოფს ქვეყანაში ტურიზმისა და კულტურული ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელ პირობას – მოამზადოს ტურიზმის სფეროში მომუშავე - ხელოვნების დარგების მცოდნე თანამედროვე პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტ-ანალიტიკოსი, რომელიც პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული, როგორც დარგობრივი/პროფესიული, ასევე ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებული იქნება შრომის ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებზე არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით.

პროგრამის ფარგლებში სპეციალობის თავისებურებათა მიხედვით სტუდენტთა მიღება ყოველწლიურად ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაკვეთის გათვალისწინებით. კერძოდ:

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი განახორციელებს **„კულტურული ტურიზმის“** სპეციალობის სტუდენტთა მიღებასა და მომზადებას ყოველწლიურად, საქართველოში არსებული სხვადასხვა ტურისტული კომპანიების, ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ძირითადი სტრატეგიების, სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სექტორის ტურისტული ინდუსტრიისა თუ კულტურის სფეროში ანალიტიკური კვლევების მიმართულებით არსებული რეალიების, ამ დარგების პროფესიონალი სპეციალისტების, ექსპერტ-ანალიტიკოსების რაოდენობისა და მათ მიმართ სახელმწიფო მოთხოვნებისა თუ დაკვეთების შესაბამისად. თუმცა, წინასწარი ანალიზით (EX-ANTE), რამდენადაც მათზე საზოგადოებრივი დაკვეთა შედარებით მეტია, **„კულტურული ტურიზმის“** სპეციალობაზე მსურველთა მიღება და მომზადება განხორციელდება შემდეგი რაოდენობით: წელიწადში 40-50 სტუდენტი (საშუალოდ) – საზოგადოებრივი დაკვეთის საჭიროებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების მიხედვით.

ამდენად, „კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზარზე არსებულ

	<p>მოთხოვნებზე.</p> <p>„კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამის მიზანია – უზრუნველყოს სტუდენტები ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმის მენეჯმენტის, ჰუმანიტარული მეცნიერებების საფუძვლებისა და ხელოვნების დარგების სპეციფიკის ცოდნით, შეასწავლოს მათ კულტურული ტურიზმის სფეროს პროფესიული მართვის, ანალიზისა და კვლევის საბაზისო უნარები, ძირითადი ელემენტები, საბაზისო ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ტურიზმის მენეჯმენტისა და ხელოვნების სფეროში საფუძვლების გაცნობიერებას, ამ დარგების მთავარი პრინციპებისა და თეორიული ასპექტების საბაზისო ცოდნას მათი ეფექტურად გამოყენებისა და კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის.</p>
შედეგები	<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება - კურსდამთავრებულს ანალიზის საფუძველზე აქვს: ტურიზმის მენეჯმენტის სფეროში მიმდინარე პროცესების ოპტიმალური გადაწყვეტის პრინციპით შეცნობისა და შესაბამისი მეთოდის გამოყენების საბაზო თეორიული ცოდნა; ტურისტული ინდუსტრიის მმართველობის ფორმებისა და ტურისტული კომპანიების სეგმენტური ორგანიზაციის განვითარების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მახასიათებლების ანალიტიკური მიმოხილვისა და დინამიკური პროგნოზირების მეთოდის ცოდნა. ცოდნა და კომპეტენციები - ტურიზმის მენეჯმენტში არსებული ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, ხელოვნებათმცოდნეობითი და ეკოლოგიური ფაქტორების ტურიზმზე ზეგავლენის ხარისხის ანალიზისათვის; ტურიზმში მარკეტინგული კვლევის დაგეგმვისა და რეალიზაციისათვის; კულტურული ტურიზმის სფეროსათვის დამახასიათებელი პროექტებისა და პროგრამების შედგენისა და მართვის პრინციპებისა და მეთოდოლოგიური საკითხების შესახებ.</p> <p>ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - შეუძლია: ტურიზმის სფეროში მიმდინარე პროცესების ახსნა-განზოგადება და სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური გარემოს ცვლილებათა ობიექტურად შეფასება; ტურიზმის სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე არასამთავრობო და კომერციულ ორგანიზაციათა შიდაორგანიზაციული პროცესების პირველადი ანალიზის საფუძველზე მენეჯმენტის დაბალ საფეხურზე ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება; ტურაგენტისათვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევების შექმნა და ტურპროდუქტის რეალიზაცია ბაზარზე;</p>

ტუროპერატორული კომპანიის ფორმირება ჯგუფთან ერთად, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის შერჩევითა და ტურპროდუქტის ფორმირებით; ექსტრემალურ სიტუაციებში სამაშველო-სამედიცინო ღონისძიებების განხორციელება; სამსახურებრივ უფლებამოვალეობათა გადანაწილება რანჟირების პრინციპებზე, როგორც შიდაორგანიზაციულ დონეზე, ისე ფართო საზოგადოებასთან; მონაწილეობის მიღება ტურიზმისა და კულტურული ტურიზმის სფეროსათვის დამახასიათებელი პროექტებისა და პროგრამების შედგენისა და რეალიზაციის პროცესის მართვაში. ფლობს ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარს.

გ) დასკვნის უნარი - განაპირობებს: მცირე სიმძლავრის ოპერატიული გეგმებისა და სამოქმედო პროგრამების შემუშავება-განხორციელებას; ადმინისტრაციულ-მმართველობითი და ეკონომიკური ფუნქციების საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში რეალიზაციას; ადამიანური, ინფორმაციული, ფინანსური რესურსების რაციონალურად მართვისა და ჯგუფში კომპეტენტური სპეციალისტების შერჩევას; ანალიტიკური კვლევის საფუძველზე ტურისტული რესურსების შეფასებისა და ექსპლუატაციის შესახებ კომპეტენტური დასკვნების წარმოებას. შეუძლია დარგის სამომავლო განვითარების გზის სავარაუდოდ განჭვრეტა-პროგნოზირება.

დ) კომუნიკაციის უნარი - შექმნილი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების საფუძველზე უზრუნველყოფს:

- კომუნიკაციის დამყარებას კოლეგებთან ტურიზმის სფეროში;
- აქტიურად ჩართვას ტურიზმის თემატიკასთან დაკავშირებულ დისკუსიებში;
- დაინტერესებული საზოგადოების წინაშე ტურიზმის თემატიკაზე აგებული საინტერესო მცირე სიმძლავრის პროექტების წარდგენას;
- მომიჯნავე დარგებში მიღწეული შედეგების მიზნობრივ ექსპლუატაციას;
- კოლეგების ყურადღების მიპყრობას, მათთან საუბრის წარმოებას სამეცნიერო (ტურიზმის) ტერმინოლოგიის გამოყენებით.

ამასთან, შეუძლია: ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება: საჭიროების შემთხვევაში, ტურიზმის სფეროს მართვის ფუნდამენტურ საკითხებზე ს საკუთარი მოსაზრებების წარდგენა, როგორც წერილობით ისე ზეპირად; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე ანალიტიკური კვლევის შედეგების პრეზენტაცია; მონაწილეობა მიიღოს დისკუსიებში და წარმოადგინოს პრობლემის დამლევს

	<p>საკუთარი ხედვა წინადადებებისა და რეკომენდაციების სახით; ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებულმა კონტაქტი დაამყაროს უცხოელ პარტნიორებთან; კომუნიკაცია კოლეგებთან, დარგის სპეციალისტებთან, ფართო აუდიტორიასთან, მასმედიასთან.</p> <p>იგნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით ტურიზმის სფეროში, შეუძლია მათი პროფესიულად გამოყენება, საჯარო დემონსტრირება. აქვს წერიტი და ზეპირი კომუნიკაციის საბაზო უნარ-ჩვევები როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე, აქვს ღონისძიებების მენეჯმენტში კომუნიკაციის გამოცდილება. შეუძლია პროფესიულ დიკუსიაში მონაწილეობა და შედეგების დეტალური, დასაბუთებული წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარმოდგენა.</p> <p>- მოეთხოვება უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე.</p> <p>ე) სწავლის უნარი - <i>შესწევს უნარი</i>: გამოიყენოს სასწავლო რესურსების სრული სპექტრი; დაგეგმოს და გაახორციელოს საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული ზრდის პროცესი; მისი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისთვის; შემდგომი სწავლისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების დასადგენად; საკუთარი სწავლის პროცესის მართვის დასაგეგმად რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის ობიექტურად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრისათვის; სწავლისა და ცოდნის მუდმივად განახლებისათვის; საბაკალავრო პროგრამაში შეძენილი ტურიზმის საბაზისო განათლების საფუძველზე საკუთარი ინტელექტუალური პოტენციალი წარმოაჩენოს კოლეგიალურ გარემოში. ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ <i>შეუძლია</i>: სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში (მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად) ან დაიწყოს საქმიანობა ტურიზმის მართვის დაბალ ან საშუალო რგოლებში;</p> <p>ვ) ღირებულებები - მონაწილეობს ტურიზმისა და კულტურულ ტურიზმში არსებული რესურსისა და ღირებულებების ფორმირებისა და შეფასების პროცესში და თავად უწყობს ხელს ღირებულებების შექმნას: კერძოდ, ადეკვატურად აფასებს ბუნებრივ-რეკრეაციული და კულტურულ რესურსების ტურისტული თავისებურებების გამოვლენას და <i>შეუძლია</i>: მათი ოპტიმალურად წარმოჩენა-დახასიათება; ტურისტული პროდუქტის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი და კონკურენტუნარიანი ტურის ფორმირება სამომხმარებლო ტურისტულ ბაზარზე.</p>
პროგრამის	„კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამის

<p>განვითარება</p>	<p>განვითარება შესაძლებელია შემდგომი აკადემიური ხარისხის მოპოვებით სამაგისტრო დონეზე, თუ სტუდენტს სურვილი და მოტივაცია აქვს გააღრმავოს და განავითაროს ანალტიკურ - კვლევითი უნარები და/ან მოიპოვოს შემდგომში პედაგოგიური მუშაობის უფლება. კურსდამთავრებულის საბაკალავრო კომპეტენციები უზრუნველყოფს მის უფლებას – სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე – მაგისტრატურაში.</p> <p>ამასთან, „კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამა ზემოაღნიშნული კომპეტენციების შედეგად განაპირობებს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას როგორც დასაქმების ბაზარზე, ასევე განათლების შემდგომ საფეხურზე. წინასწარი ანალიზითა (EX-ANTE) და სტატისტიკური მონაცემებით, სავარაუდოდ, პროგრამის კურსდამთავრებულთა დაახლოებით 50% დასაქმდება სპეციალობის მიხედვით, ხოლო 10-15% სწავლას გააგრძელებს მაგისტრატურაში (პროცენტის მაჩვენებლები აქ განპირობებულია იმით, რომ დარგის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, ტურიზმის მენეჯერ და სპეციალისტ-ანალიტიკოსთა შედარებით მეტ ნაწილს სურვილი აქვს ტურიზმის სფეროში პრაქტიკული მუშაობისა, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი ირჩევს შემდგომ აკადემიურ საფეხურს – შემდგომი კვლევითი თუ პედაგოგიური მუშაობის უფლების მოსაპოვებლად).</p> <p>„კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და, უშუალოდ, პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობენ როგორც დამსაქმებლები (რომლებიც, სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად თავად წარმოადგენენ აკადემიურ პერსონალს), ასევე აკადემიური პერსონალი, სტუდენტები (თვითმართველობა) და კურსდამთავრებულები (შემდგომში – მასწავლებლების სახით).</p>
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა</p>

შეფასების სისტემა

საბაკალავრო პროგრამებით გათვალისწინებული შეფასება მრავალკომპონენტანია, ტარდება საკრედიტო სისტემის შესაბამისად და მოიცავს 100% (ქულას), დადებითი ქულების რანჟირების და კრედიტების დაგროვების პრინციპით.

- შეფასების კრიტერიუმები დაკავშირებულია დისციპლინების ინდივიდუალური შესწავლის რეზულტატებთან.
- საბოლოო შეფასება ზოგადად ნაწილდება შემდეგი სქემით:

I დასწრება – აქტივობა	– მაქსიმუმ 15 ქულა
II სემინარები, დავალებები და სხვ.	– მაქსიმუმ 25 ქულა
III შუალედური შემოწმება	– მაქსიმუმ 20 ქულა
IV ფინალური გამოცდა	– მაქსიმუმ 40 ქულა
საბოლოო შეფასება	– მაქსიმუმ 100 ქულა

პედაგოგი უფლებამოსილია სასწავლო კურსისა და სწავლების კონკრეტული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, სემესტრული ქულების (60%) რანჟირება მოახდინოს საკუთარი შეხედულებისამებრ და გაწეროს შესაბამისი კურსის სილაბუსში.

- შეფასების სისტემაში ქულების განაწილების სქემა ასე გამოიყურება:

შეფასება	
დადებითი შეფასება:	
91-100	A ფრიადი
81- 90	B ძალიან კარგი
71-80	C კარგი
61-70	D დამაკმაყოფილებელი
51-60	E საკმარისი
უარყოფითი შეფასება:	
41-50	FX „ვერ ჩაბარა“, სტუდენტს ეძლევა მოცემულ დისციპლინაში საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება
0-40	F „ჩაიჭრა“, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს მოცემული დისციპლინის კურსი

შეფასების მეთოდები:

- ზეპირი განხილვა, დებატები (ზეპირი);
- გამოკითხვები წინასწარი მომზადების გარეშე (ზეპირი ან წერილობითი);
- მოკლე ტესტირება (წერილობითი);
- საკურსო შრომა (წერილობითი);
- ესე, კრიტიკული წერილი, ანალიტიკური წერილი და სხვ. (წერილობით)

- პროექტის პრეზენტაცია (ჯგუფური და/ან ინდივიდუალური პრეზენტაცია);
- ტექსტის ანალიზი (ზეპირი და წერილობითი);
- საბოლოო ტესტირება (წერილობითი);
- საბოლოო გამოცდა (ზეპირი და თეზისების წარმოდგენა);

გამოცდის ფორმები და მეთოდები ყოველი ცალკეული კურსისათვის აისახება ამ კურსის სილაბუსში.

დამამთავრებელი – საბაკალავრო საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების ძირითადი კრიტერიუმია, დარგის საფუძვლების ცოდნას, რაც აისახება შემდეგ ინდიკატორებში:

1. აქვს შესაბამისი დარგის საფუძვლების ცოდნა;
2. განსაზღვრულია ნაშრომის მიზნები და ამოცანები;
3. ჩატარებულია საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი (ბაკალავრიატის აკადემიურ დონეზე);
4. განსაზღვრულია ნაშრომის ძირითადი მიზანი, იდეა და ამოცანა;
5. სახეზეა შესაბამისი არგუმენტაცია;
6. სახეზეა კვლევითი კომპონენტი (ბაკალავრიატის აკადემიურ დონეზე);
7. სახეზეა კრიტიკული აზროვნება;
8. სახეზეა ვიზუალური კომპონენტი (პრეზენტაცია);
9. შექმნილია ერთიანი ანალიტიკური კონცეფცია;
10. აქვს საავტორო ინდივიდუალობა.

საბაკალავრო ნაშრომის წარდგენის/პრეზენტაციისა და დაცვის პარამეტრები:

- მასალის გადმოცემა გამართული ქართულით;
- მასალის გადმოცემა გასაგებად და საინტერესოდ;
- გადმოცემული მასალის შინაარსობრივი წვდომა;
- კითხვებზე არგუმენტირებული პასუხები.

საბაკალავრო/საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

#	კრიტერიუმი	მაქსიმალური შესაძლო ქულა
1	ტექნიკური მხარე	30
1.1.	ენობრივი გამართულობა	10
1.2.	სტილის დაცვა	10
1.3.	გამოყენებული წყაროების მითითების სისწორე	5
1.4.	გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება	5
2.	შინაარსობრივი მხარე	50
2.1.	შინაარსის სრულყოფილება	30
2.2.	დასკვნის (შეჯამების) სრულყოფილება	10
2.3.	კითხვებზე პასუხების დასაბუთებულობა	10
3.	პრეზენტაბელურობა	20
3.1.	პრეზენტაციის არსებობა	10
3.2.	მეტყველების კულტურა	10
	სულ:	100

მასობრივი კომუნიკაციის (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა) სპეციალობის სტუდენტთა

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

მასობრივი კომუნიკაციის (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა) სპეციალობაზე საბაკალავრო ნაშრომი შესაძლებელია იყოს ინდივიდუალურიც და ჯგუფურიც. ის შედგება ორი ნაწილისგან – პრაქტიკული სამუშაო (ტელე-რადიო გადაცემა) და თეორიული ნაშრომი.

საბაკალავრო ინდივიდუალური პროექტისადმი წაყენებული მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები

1. მოთხოვნები

1. პრაქტიკული სამუშაო (ტელე ან რადიო გადაცემა – ქრონომეტრაჟი 10-15 წთ. გადაცემის ფორმატი და ჟანრი არ არის შეზღუდული)

2. თეორიული ნაშრომი

სტანდარტი:

ა) გვერდების რაოდენობა – 20-25, ფორმატი 4.

ბ) წერითი ნაშრომის შესრულება უნდა მოხდეს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „წერით ნაშრომთა შესრულების სტანდარტები“-ს (22.11.2010) მიხედვით.

ნაშრომი უნდა ასახავდეს:

ჯგუფის მიერ მომზადებული ტელე ან რადიო გადაცემის ირგვლივ წარმოებული სამუშაოს აღწერას, რაც გულისხმობს თემის აქტუალობას, გადაცემის მიზნებს, გადაცემაზე მუშაობის პროცესში წარმოებულ კვლევებს, მოძიებული მასალების დახარისხებას.

2. შეფასება

რეცენზენტის შეფასება – 70 ქულა

1. გადაცემის თემის სიახლე და მნიშვნელობა – 10 ქულა
2. გადაცემაში დასმული პრობლემის სრულყოფილად და გასაგებად ჩვენების უნარი - 15 ქულა
3. თეორიული ნაშრომში - მასალის ფლობა და ანალიზის უნარი – 5 ქულა
4. თეორიულ ნაშრომში - წერის კულტურა, ციტირება, სქოლიოები – 5 ქულა
5. ნაშრომის გაფორმება (ბიბლიოგრაფია, მინდორი, ინტერვალები, ფრაზების, ქვეთავების ხაზგასმა-გამოყოფა, პუნქტუაცია, აბრევიატურები, სარჩევი, თავფურცელი) – 5 ქულა

პრეზენტაცია – 30 ქულა

- ზეპირი პრეზენტაციის უნარი – 10 ქულა

- კამათისა და დაცვის უნარი – 10 ქულა
- საპრეზენტაციო ტექნოლოგიის ფლობა – 10 ქულა

ხელმძღვანელის შეფასება – 30 ქულა

საბაკალავრო ჯგუფური პროექტისადმი წაყენებული მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები:

1. **პრაქტიკული სამუშაო** (ჯგუფური ტელე ან რადიო გადაცემა – ქრონომეტრაჟი 20-30 წთ. გადაცემის ფორმატი და ჟანრი არ არის შეზღუდული)
2. **თეორიული ნაშრომი**
 - ა) გვერდების რაოდენობა – 20-25, ფორმატი 4.
 - ბ) წერითი ნაშრომის შესრულება უნდა მოხდეს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „წერით ნაშრომთა შესრულების სტანდარტები“-ს (22.11.2010) მიხედვით.

ნაშრომი უნდა ასახავდეს:

ჯგუფის მიერ მომზადებული ტელე ან რადიო გადაცემის ირგვლივ წარმოებული სამუშაოს აღწერას, რაც გულისხმობს თემის აქტუალობას, გადაცემის მიზნებს, გადაცემაზე მუშაობის პროცესში წარმოებულ კვლევებს, მოძიებული მასალების დახარისხებას.

മ ഓ റ റ ടി ടി ടി ടി

ხელოვნების ისტორია და თეორია
(პროგრამული კონცენტრაციებით: თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა,
ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნო-ქორეოლოგია)

სამაგისტრო პროგრამა

ზოგადი დახასიათება

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი მისიის შესაბამისად, ჰუმანიტარული მეცნიერებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორის – ხელოვნების ისტორიისა და თეორიის გაღრმავებული სწავლება, კვლევა და ხელოვნებათმცოდნეობითი დარგების განვითარება წინამდებარე პროგრამის მიზანია. სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს ხელოვნების დარგების – თეატრის, კინოს, ქორეოგრაფიის (კერძოდ, ეთნო-ქორეოგრაფიის), სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის გაღრმავებულ სწავლებასა და მათი შემდგომი კვლევისათვის სტუდენტ-მაგისტრანტთა მომზადებას.

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სამაგისტრო პროგრამის ამოცანაა ბაკალავრიატის შემდგომი დონის კვალიფიციური კადრების მომზადება, ხელოვნების დარგების სიღრმისეული სწავლება, სტუდენტთათვის ანალიტიკურ-კვლევითი და პედაგოგიური უნარების გამომუშავება.

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს და შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან:

1. სასწავლო კომპონენტი (80 კრედიტი);
2. კვლევითი კომპონენტი (40 კრედიტი) – ეს კომპონენტი გულისხმობს კვლევითი, ანუ, სამაგისტრო ნაშრომის ეტაპობრივ შესრულებას, რომელიც უნდა მოიცავდეს არგუმენტირებულ კვლევას და მის დაცვას/საჯარო პრეზენტაციას.

“ხელოვნების ისტორიისა და თეორიის” სამაგისტრო პროგრამა მოიცავს შემდეგ პროგრამულ კონცენტრაციებს:

თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნო-ქორეოლოგია

სამაგისტრო პროგრამის თითოეული პროგრამული კონცენტრაცია სამაგისტრო აკადემიურ დონეზე ავითარებს დარგის მახასიათებელ სპეციფიურ თავისებურებებს და შეიცავს კონკრეტულ კვლევით პრობლემატიკას. თუმცა, მათ აერთიანებთ სწავლების ერთიანი პრინციპი, რომელიც ხორციელდება ყოველი პროგრამული კონცენტრაციისთვის ნიშანდობლივი და აუცილებელი მეთოდოლოგიით. შესაბამისად, პროგრამაში ქვემოთ დეტალურად არის წარმოდგენილი თითოეული პროგრამული კონცენტრაციის ვერბალური აღწერა, მიზნები, შედეგები და კომპეტენციები შესაბამისი სასწავლო გეგმებისა და შეფასების სისტემის თანხლებით.

შენიშვნა: პროგრამული კონცენტრაციები მათი მოცულობისა და მასშტაბური ვერბალური აღწერის გათვალისწინებით, სტუდენტთათვის აღქმის თვალსაზრისით რაიმე სირთულეების თავიდან ასაცილებლად, ქვემოთ ზოგჯერ მოხსენიებულია ტერმინით ”პროგრამა”.

ზოგადი ინფორმაცია	
დასახელება	პროგრამული კონცენტრაცია: თეატრმცოდნეობა
მიმართულება	ჰუმანიტარული მეცნიერებები
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	მაგისტრატურის აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი (თეატრმცოდნეობა)
პროგრამის ხელმძღვანელი	თამარ ბოკუჩავა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სრული პროფესორი ტ.93-42-34; მობ. 899-41-90-95, e-mail:tbokuchava@hotmail.com; მაია კიკნაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ტ. 899729521 გიორგი ცქიტიშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ტ. 877288708
პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა	120 კრედიტი, აქედან 40 კრედიტი – კვლევითი, 80 კრედიტი – სასწავლო. 2 წელი, 4 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრის კვალიფიკაცია (BA in Arts History). პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს შესაძლებელია ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხთან გათანაბრებული ან მეტი აკადემიური ხარისხი. ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის და სპეციალობის გამოცდის წარმატებული ჩაბარება. მაგისტრობის კანდიდატი უნდა ფლობდეს უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B2 დონეზე მაინც.
პროგრამაში ჩართული პერსონალი	<i>სრული პროფესორები:</i> მიხეილ კალანდარიშვილი, ვასილ კიკნაძე <i>ასოცირებული პროფესორები:</i> ეკა კიკნაძე, მაია გოშაძე პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო და სასწავლო თანამშრომლობას ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, აკ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სამხატვრო აკადემიასთან. რისი საფუძველიცაა მათთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების რიგი პუნქტები. დოქტორანტის საკვლევი თემიდან გამომდინარე შესაძლებელია თანახელმძღვანელად ან კონსულტანტად მოწვეულ იქნენ დარგის კონკრეტული სფეროს სპეციალისტები.
მაგისტრანტთა რაოდენობა	არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 6-10 მაგისტრანტის მიღება.
ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი	პროგრამაში წარმოდგენილ მოდულებში ასახული სამი მიმართულება – „თანამედროვე ევროპული თეატრი“, „სათეატრო კრიტიკა და თეორია“ და „ქართული თეატრის ისტორია“ - საშუალებას აძლევს მაგისტრანტებს აირჩიონ სამაგისტრო საფეხურზე თეატრმცოდნეობის

	<p>დარგის შესწავლის მათთვის სასურველი კუთხე და არჩეული მიმართულებით დაეუფლონ სამაგისტრო საფეხურის სტანდარტების მიხედვით საგანგებოდ მოდელირებულ ცოდნას. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი არჩევანი უზრუნველყოფს მაგისტრანტებს აუცილებელი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და უნარ-ჩვევებით. ისინი შეიძენენ ჰუმანიტარული მეცნიერებების (თეატრმცოდნეობა) მაგისტრისათვის აუცილებელ ანალიტიკურ, კრიტიკულ და პროფესიულ მიდგომებს, გაიდრმაგებენ ცოდნას როგორც ზოგადად სფეროს, ისე მისი კონკრეტული ასპექტების მიმართულებით.</p> <p>მოცემული მოდულებიდან სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთს. სტუდენტი ვალდებულია არჩევანი გააკეთოს I სემესტრის დასაწყისში.</p> <p>პროგრამის მიზანია მოამზადოს ჰუმანიტარული მეცნიერებების (თეატრმცოდნეობა) კვალიფიციური მაგისტრები, რომლებიც თანამედროვე სტანდარტების შესატყვის და ზემოთ მითითებული საკვალიფიკაციო მახასიათებლების დონეზე დაუეფლებიან არჩეულ სპეციალობას ანუ, როგორც აღვნიშნეთ, ექნებათ განვითარებული კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, შეეძლებათ კომპლექსური ამოცანების გადაჭრა, პროფესიული კვლევის დამოუკიდებელი წარმოება, ექნებათ პრაქტიკული გამოცდილების თეორიული გაანალიზების უნარი, სამეცნიერო სტატიის სახით ახალი ან განახლებული ცოდნის შექმნის უნარი და ა.შ. ამასთან, მათი კვალიფიკაცია საშუალებას მისცემს მაგისტრებს სიტუაციისა და ამოცანის შესაბამისად გამოიყენონ შექმნილი ცოდნა როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციის პროცესში როგორც პროფესიონალებთან, ისე არაპროფესიონალებთან ურთიერთმიმართებასა და თანამშრომლობაში. მათ ექნებათ პროფესიული თეატრმცოდნეობითი კვალიფიკაციის როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით გამოვლენისა და განვითარების უნარი და ა.შ.</p>
შედეგები	<ul style="list-style-type: none"> • პროგრამის სრული კურსის დასრულებისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ სტუდენტს მიენიჭება ჰუმანიტარული მეცნიერებების (თეატრმცოდნეობა) მაგისტრის აკადემიური ხარისხი და ექნება შესაბამისი კვალიფიკაცია. • მაგისტრის ხარისხი დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა; • თეატრმცოდნეობის მიმართულებით მაგისტრატურის დასრულების შედეგად კურსდამთავრებული ადტურვილი იქნება სათანადო ცოდნით იმისათვის რომ ხელი მიჰყოს სრულფასოვან და კვალიფიციურ პროფესიულ საქმიანობას; • პროგრამით გათვალისწინებული სამაგისტრო კურსის გავლის შედეგად, კურსდამთავრებულის სახით, მივიღებთ ისეთი პროფესიული ცოდნით და კვალიფიკაციით ადტურვილ ადამიანს, რომელიც ხელს შეუწყობს საერთო თეატრალური პროცესის გაუმჯობესებას მისი ანალიტიკური და კრიტიკული შეფასების გზით; • პროგრამის კურსდამთავრებულები შეავსებენ იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც საქართველოში თეატრალური კულტურის პროფესიულ შემფასებელთა და ხარისხის მარეგულირებელთა უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებენ; • პროგრამა ხელს შეუწყობს თეატრმცოდნეობის ძირითადი

მიმართულებების განვითარებას და თანამედროვეობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას;

- პროგრამა მიანიჭებს კურსდამთავრებულებს საკვალიფიკაციო მონაცემთა ისეთ სპექტრს, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს სათეატრო და ჰუმანიტარული საქმიანობის საკმაოდ ფართო სფეროში სცადონ თავისი შესაძლებლობები;
- პროგრამის კურსდამთავრებულები თავის ღირსეულ ადგილს დაიკავენ საქარველოს ჰუმანიტართა ფართო პროფილურ სპექტრში და ა.შ.

ცოდნა და გაცნობიერება:

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია უახლესი თეორიული და საგნის კვლევებზე დამყარებული ცოდნა, ის აცნობიერებს თეატრმცოდნეობის საგნის ბუნების თავისებურებებს და მისი შესწავლის პროცესის დიალექტიკურ მუდმივობას;

თეატრმცოდნეობის საგნის ფარგლებსა და საკვლევი საკითხების ცოდნა და მათი ერთიანობის გაცნობიერება;

თეატრალური პროცესის ისტორიული განვითარების ეტაპების ცოდნა და მათი კვლევისადმი მეთოდოლოგიურ მიდგომათა გაცნობიერება;

თანამედროვე თეატრალური პროცესის კრიტიკულ-თეორიული კვლევის ფორმათა და მეთოდთა ცოდნა და ისტორიულ პროცესთან მისი კავშირის გაცნობიერება;

სათეატრო პროცესის ზოგადდარგობრივი თვისობრიობისა და ნაციონალური თავისებურებების დიფერენციაციის საფუძველთა ცოდნა და მათი ინტეგრალური ერთიანობის გაცნობიერება;

თეატრალური პროცესის თეორიული ანალიზის ასპექტების ცოდნა და მათი თანმიმდევრული თუ შერჩევითი გამოყენების გაცნობიერების უნარი;

თეატრალური კულტურისა და სათეატრო პროცესის შემადგენელი ელემენტების ცოდნა და ახალი ელემენტების (ასეთების წარმოქმნის შემთხვევაში) გაცნობიერების უნარი;

თეატრის ეთნიკურ-ნაციონალური თუ სტილისტურ-ეპოქალური და კონცეპტუალური მიდგომებით კვლევის თავისებურებათა ცოდნა და მათი ანალიზის ფორმათა გაცნობიერებული დიფერენციაციის უნარი;

თეატრალური წარმოდგენის, თეატრალური პროცესის არსებობის განსხვავებული ფორმების ცოდნა და გაცნობიერება;

თეატრალური კულტურისა და ზოგადად მსოფლიო კულტურული პროცესის ურთიერთმიმართების ფორმათა ცოდნა და გაცნობიერება;

ეროვნული სათეატრო პროცესის ევროპულსა თუ მსოფლიო პროცესში კვლევის ცოდნა და გაცნობიერება;

აქვს სფეროს ფარგლებში არჩეული მიმართულების საფუძველიანი და სისტემური ცოდნა და მისი სპეციფიკის გაცნობიერების უნარი,

პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს დარგში მიმდინარე აქტუალური პროცესების კვალიფიკაციის მეთოდების ცოდნა და მათი გაცნობიერების კვალიფიკაცია;

თანამედროვე მულტიდისციპლინარული მიდგომების პრაქტიკაში გამოყენებისა და ადაპტაციის უნარი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

პროგრამის კურსდამთავრებული აცნობიერებს დარგში არსებულ პრობლემებსა და დილემებს და შეუძლია მათი გადაჭრა პროფესიულ პრაქტიკაში ახალი და თანამედროვე მეთოდებისა და ანალიტიკური მიდგომების გამოყენებით;

კურსდამთავრებული ფლობს დარგის შესწავლის მეთოდებს,

	<p>სისტემურსა და კომპლექსურ მიდგომებს და შეუძლია მათი დამოუკიდებელი პრაქტიკული გამოყენება დარგობრივ სფეროსთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხების/პრობლემების გადასაჭრელად;</p> <p>სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია პროფესიული ამოცანების დამოუკიდებელი პრაქტიკული დაგეგმვა, მათი შესრულების პროცესის წარმართვა და განხორციელება პროფესიულ დონეზე. შეუძლია ახალი სამეცნიერო საკითხის განსაზღვრა, კვლევის დაგეგმვა და განხორციელება;</p> <p>შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ფორმებისა და მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება და ა.შ.</p> <p>თავისი ცოდნის დარგში მიმდინარე მოვლენებზე ზემოქმედებისა და მათი კრეატიული კორექციის პრაქტიკული უნარი.</p> <p>კომუნიკაციის უნარი</p> <p>აკადემიურ და პროფესიულ წრეებთან (როგორც ადგილობრივ ისე უცხოელ), აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით, არგუმენტირებული მსჯელობის, საკუთარი პოზიციის კომუნიკაციაში გაზიარების კვალიფიკაცია;</p> <p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფორმაციული მოძიებისა და კომუნიკაციის პროცესში გამოყენების უნარი.</p> <p>დასკვნის უნარი</p> <p>რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებელი დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;</p> <p>თეატრალური სფეროს მოვლენების შედარებითი ანალიზისა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით დასაბუთებული დასკვნების ფორმულირების უნარი;</p> <p>თეატრალური სფეროს მოვლენების შეპირისპირებითი ანალიზისა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით დასაბუთებული დასკვნების ფორმულირების უნარი.</p> <p>სწავლის უნარი</p> <p>ახალი ცოდნის მიმართ გახსნილობა და მისი ათვისებისა და შესწავლის უნარი;</p> <p>სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი;</p> <p>პროფესიული თვითსრულყოფის, სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვისა და დაგეგმვის კვალიფიკაცია.</p> <p>ღირებულებები</p> <p>ღირებულებების გაცნობიერებისა და დიფერენციაციის უნარი;</p> <p>ახალი პროფესიული ღირებულებების შექმნის კვალიფიკაცია;</p> <p>ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი;</p> <p>ღირებულებების დამკვიდრებაში საკუთარი წვლილის შექმნის უნარი.</p>
დასაქმების სფეროები	კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს:

	<p>თეატრებში: თეატრის ლიტერატურული ნაწილის საქმიანობა; თეატრალური მუზეუმისა თუ თეატრებთან არებული მუზეუმების თანამშრომლად; საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებების თანამშრომლად; თეატრალური რეჟისორის თანამშემწედ; ასევე შესძლებს შეასრულოს თეატრის სტრუქტურაში სხვა სახის შემოქმედებით ადინისტრაციული საქმიანობა;</p> <p>ბეჭდვით და ელექტრონულ მედიაში: ხელოვნებასა და თეატრთან დაკავშირებული გადაცემების ავტორებად, რედაქტორებად, პროდიუსერებად და ა.შ.</p> <p>პედაგოგიური საქმიანობა: უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში თეატრმცოდნეობითი და ხელოვნებათმცოდნეობითი საგნების პედაგოგებად; დრამატული წრეების ხელმძღვანელებად;</p> <p>სამთავრობო და არსამთავრობო სექტორებში თეატრისა და ზოგადად კულტურის საკითხებთან დაკავშირებულ თანამდებობებზე – მაგ., პროექტების კოორდინატორებად, მენეჯერებად და ა.შ.</p> <p>გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში.. ყოველივეს განხორციელება შესაძლებელია შემდეგ ორგანიზაციებში:</p> <ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტი, ინსტიტუტი, კვლევითი ცენტრი; • პროფესიული სასწავლებელი; კოლეჯი და სხვ. • არასამთავრობო ორგანიზაციები; • სამთავრობო ორგანიზაციები: სამინისტროები, ქალაქისა და რაიონის თვითმმართველობის კულტურის განყოფილებები; სხავდსხვა კომერციულ დაწესებულებებთან არსებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საქველმოქმედო ცენტრები; • ტელევიზიები; მათ შორის ინტერნეტტელევიზიები; რადიოსადგურები; ჟურნალები; გაზეთები; ალმანახები; • თეატრები, როგორც დრამატული, ისე მუსიკალურ-დრამატული და ა.შ.
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.</p>

ზოგადი ინფორმაცია	
პროგრამის სახელწოდება	პროგრამული კონცენტრაცია: კინომცოდნეობა
მიმართულება	ჰუმანიტარული მეცნიერებები
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	მაგისტრატურის აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი (კინომცოდნეობა)
პროგრამის ხელმძღვანელები	<p>გიორგი გვახარია, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სრული პროფესორი. ტ. 950405; მობ. 893321110 e-mail: gvakh@hotmail.com</p> <p>ზვიად დოლიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სრული პროფესორი. ტ. 327373, მობ. 855307040 e-mail: dolz@internet.ge</p> <p>ლელა ოჩიაური, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სრული პროფესორი. ტ.; 324645. მობ. 899578174, 877288775. e-mail: teklataia@yahoo.com laochiauri@gmail.com</p>
პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა	<p>120 კრედიტი, აქედან 40 კრედიტი – კვლევითი, 80 კრედიტი – სასწავლო.</p> <p>2 წელი, 4 სემესტრი</p>
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრის კვალიფიკაცია (BA in Arts History), კინომცოდნეობის (თეატრმცოდნეობის, ხელოვნებათმცოდნეობის, ისტორიის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ფილოლოგიის) მიმართულებით; პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს შესაძლებელია ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხთან გათანაბრებული ან მეტი აკადემიური ხარისხი.</p> <p>შემოქმედებით-პედაგოგიურ, ასევე, სამეცნიერო (კვლევით-ანალიტიკური) მონაცემები; საბაზისო ცოდნა კინოს, სახვითი ხელოვნების, მუსიკის, ლიტერატურის, თეატრის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის, ქვეყნების ისტორიისა და კულტურის ისტორიის მიმართულებით; შემოქმედებითი აზროვნება და თავისუფალი ხედვა; სამეცნიერო ნაშრომსა თუ საჯარო გამოსვლების დროს აზრის გამართულად ჩამოყალიბების, იდეის რეალიზების, აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარები;</p> <p>ქართული ენის სრულყოფილად ფლობა (გამონაკლისი დაიშვება უცხოელი მაგისტრანტებისთვის) და ერთი (ინგლისური) ან რამდენიმე (გერმანული, ფრანგული და ა.შ.) უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე მაინც; ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდისა და სპეციალობის გამოცდის წარმატებული ჩაბარება;</p> <p>კომპიუტერული პროგრამების – Microsoft World, Internet Explorer, Excel ცოდნა</p>
პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი	<p>ლელა ოჩიაური, გიორგი გვახარია, ზვიად დოლიძე, თეო ხატიაშვილი, თამარ ბოკუჩავა, ნატო გენგიური, ირინე აბესაძე</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო და სასწავლო თანამშრომლობას ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, აპ. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიასთან. რისი საფუძველიცაა მათთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების რიგი პუნქტები.</p>

	<p>დოქტორანტის საკვლევი თემიდან გამომდინარე შესაძლებელია თანახელმძღვანელად ან კონსულტანტად მოწვეულ იქნენ დარგის კონკრეტული სფეროს სპეციალისტები.</p>
<p>მაგისტრანტთა რაოდენობა</p>	<p>არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 6-10 მაგისტრანტის მიღება.</p>
<p>დახასიათება/ მიზნები</p>	<p>პროგრამის კონცეფცია პროგრამა გათვლილია საბაკალავრო საფეხურის ზოგადინფორმაციული ხასიათის განათლების შემდგომ განვითარებაზე. პროგრამა ითვალისწინებს სამ სასწავლო-კვლევით მიმართულებას, შესაბამისად წარმოდგენილს სამ მოდულში:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ქართული კინოს ისტორია ეპოქებში - ხელმძღვანელი ლელა ოჩიაური 2. კინოს ენა და სტრუქტურა – ხელმძღვანელი გიორგი გვახარია 3. მსოფლიო კინოს ისტორიის ძირითადი ტენდენციები – ხელმძღვანელი ზვიად დოლიძე <p>მოცემული მოდულებიდან სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთს. სტუდენტი ვალდებულია არჩევანი გააკეთოს I სემესტრის დასაწყისში.</p> <p><i>პროგრამის მიზანია:</i></p> <ul style="list-style-type: none"> • მაგისტრებს საფუძვლიანად შეაწავლოს საქართველოსა და მსოფლიოს წამყვანი კინემატოგრაფიული ქვეყნების კინოს განვითარების პერიოდები, ტენდენციები, მიმართულებები, თავისებურებები და ა. შ.; გამოუმუშავოს კრიტიკული აზროვნების უნარი, სათანადო პროფესიულია და ეთიკური უნარ-ჩვევები; • პროგრამამ უნდა მიაწვიოს სტუდენტები ფილმის „ფორმალისტურ“ ანალიზს, დაეხმაროს მათ დაეუფლონ სემიოტიკისა და კომუნიკაციის თეორიის მეთოდებს, რომელიც ახალ რაკურსში წარმოაჩენს კინოს ისტორიას და გაზრდის ზოგიერთი დავიწყებული კინოშედეგის მნიშვნელობას; • თანამედროვე ტიპის მკვლევარი-მეცნიერის – თეორეტიკოსისა და კინოს ისტორიკოს-თეორეტიკოსის აღზრდა; • მეცნიერული ნაშრომისა და მეცნიერული სტატიის მომზადებისა და დაწერის სწავლება; • სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებაში, შესრულებაში, დაცვასა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოპოვებაში ხელშეწყობა; • აკადემიური, პედაგოგიური მოღვაწეობის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის მომზადება; • დამოუკიდებელი მეცნიერ-მკვლევარის აღზრდა, რომელიც შეძლებს ქართულ და მსოფლიო კულტურაში მიმდინარე პროცესებისა და ახალი ტენდენციების აღმოჩენასა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის მაღალ დონეზე გაზიარებას; • სამეცნიერო კვლევებისა და პედაგოგიური უნარ-ჩვევების ახალ და თანამედროვე კვლევის მეთოდებთან თანაზიარობა და ახალი სისტემების დანერგვა, როგორც თეორიულ-ანალიტიკური საქმიანობაში, ასევე პედაგოგიკისა და თანამედროვე კინოს განვითარების გზების ძიებასა და ცოდნის სხვებისთვის გადაცემისთვის მზაობის პროცესში.
<p>შედეგები</p>	<ul style="list-style-type: none"> • კურსდამთავრებული შეძლებს კინოს სოციოლოგიის, კინოფილმის, კინოხელოვნების საზოგადოებაზე ზემოქმედების უკეთ გააზრებასა და ამ საკითხებზე მუშაობის გაგრძელებას; • ექნება ქართული და მსოფლიო კინოს ისტორიის, კინოთეორიის საფუძვლიანი ცოდნა და მისი სხვისთვის გაზიარების უნარები;

- გამოიმუშავეს საკვლევი მასალის, პრობლემების მიმართ ინტერდისციპლინარულ მიდგომას;
- კარგად გაიაზრებს და გააცნობიერებს კინოს ისტორიისა და თეორიის, პოლიტიკურ-სოციალური და ისტორიული მიმართებებისა და კინოხელოვნების ურთიერთობის საკითხებს;
- ეცოდინება კინოს ისტორიისა და თეორიის მნიშვნელოვანი საკითხები და გამოიმუშავეს კინოხელოვნების ნიმუშის, ამა თუ იმ მიმდინარეობის, მოვლენის აღქმისა და განსჯის, ანალიზის უნარს;
- ექნება კინემატორგაფის ისტორიის სფეროში მიმდინარე პროცესების დრმა ცოდნა;
- ეცოდინება ის მნიშვნელოვანი, პრიორიტეტული და მეორეხარისხოვანი ფაქტები თუ მოვლენები, ტენდენციები და მიმდინარეობები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ და აქვთ კინოს ისტორიასა და თეორიაში;
- შეძლებს წერითი და ზეპირი ფორმით მხატვრული ნაწარმოების მეცნიერულ გაანალიზებასა და ცოდნის გამოყენებას ამა თუ იმ კინემატოგრაფიული მოვლენის, ფაქტის ანალიზის პროცესში;
- აიმაღლებს წერის კულტურასა და ახალ უნარ-ჩვევებს შეიძენს;
- შეძლებს ცოდნის გამოყენებას ამა თუ იმ კინემატოგრაფიული მოვლენის, ფაქტის, არტეფაქტის ანალიზის პროცესში;
- გაუჩნდება შემოქმედებითი მიდგომა კინოსა და საზოგადოდ, ხელოვნების ნაწარმოების მიმართ;
- გამოუმუშავდება უმაღლეს სასწავლებელში სალექციო კურსების მაღალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე წარმართვის უნარ-ჩვევები;
- გამოიმუშავდება კრიტიკული დამოკიდებულების უნარ-ჩვევები;
- ეცოდინება კინოს თანამედროვე კვლევები, ნაშრომები, მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც კინემატოგრაფის, ასევე ზოგადკულტუროლოგიურ, ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ მოძღვრებათა სფეროებში;
- პროგრამის სრული კურსის დასრულებისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ სტუდენტს მიენიჭება ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრის (კინომცოდნეობა) – აკადემიური ხარისხი და ექნება შესაბამისი კვალიფიკაცია.
- შეძლებს დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელებას;
- შექმნის ნაშრომს, რომელიც იქნება ახალი სამეცნიერო მეთოდოლოგიით, საკითხის მიმართ ახლებური რაკურსით, არსითა და ფორმით დაწერილი ნაშრომი კინომცოდნეობაში.

ცოდნა და გაცნობიერება მაგისტრანტს აქვს კინომცოდნეობის, როგორც როგორც ისტორიული, ასევე თეორიული, შემოქმედებითი კანონებისა და პრინციპების სისტემური ცოდნა, რაც მას საშუალებას მისცემს, ერთი მხრივ, დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა სწავლის პერიოდში მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით; ამავე დროს, ეს ცოდნა გადასცეს ახალგაზრდა მეკვლევარებს სასწავლებლების მსმენელებს). სწავლის პერიოდში მიღებული გამოცდილება მაგისტრანტს გაუღრმავებს ცოდნას კინოსა და ტელევიზიის, როგორც შემოქმედებითი მოვლენისა და როგორც ინდუსტრიის; ხელოვნების, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისგან განუყოფელი სფეროსა და შემოქმედებით-პრაქტიკულ შესაძლებლობების მქონე მოვლენაში შემოქმედებითი პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი მიღებული ცოდნა და სწავლის დროს პრაქტიკაში გამოყენებული გამოცდილება,

	<p>მაგისტრანტს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ქართული თუ მსოფლიო კინოპრობლემების, თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე პროცესების შესწავლისა და ახალი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას მისცემს.</p> <p>არგუმენტებული დასკვნის უნარი მაგისტრანტს შეეძლება არსებული რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი; შეეძლება ახალი მიდგომების სინთეზის მოხდენა, რითაც კინოხელოვნების კვლევის სფეროში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება-განვითარებას შეუწყობს ხელს; მას ექნება უნარი, პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება და საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს დამატებითი რესურსები.</p> <p>კომუნიკაციის უნარი კომუნიკაციისთვის საჭირო პრაქტიკულ-თეორიული უნარების ფლობა აუცილებელია. ამ უნარებს მაგისტრანტი გამოიყენებს როგორც მკვლევარი-მეცნიერი, როგორც პედაგოგი – აუდიტორიასთან ურთიერთობებს პროცესში; შესაძლებლობების სხვებისთვის, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნის გადაცემისას.</p> <p>ერთი ან ორი უცხო ენის ცოდნა, სპეციალისტს – თეორეტიკოსსა და პედაგოგს გამოადგება კოლეგებთან, საერთაშორისო სამეცნიერ-კონფერენციებზე, სემინარებსა თუ ვორქშოპებზე, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისას გამოადგება.</p> <p>სწავლის უნარი სასწავლო პროგრამა და სწავლის პროცესი მაგისტრანტს საშუალებას აძლევს აწარმოოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რისთვისაც იყენებს: როგორც ძირითად პროგრამულ, ასევე თანმდევ ყველა რესურსს, იქნება ეს სწავლების სალექციო ნორმებისა თუ ძირითადი საკონტაქტო საათების მიღმა დროის ორგანიზება; მას შეეძლება – სალექციო და პრაქტიკულ სამუშაოებისთვის საჭირო დროის ორგანიზება და პრაქტიკულ-თეორიული მუშაობის ბადის დაგეგმვა; თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენება და ახალი სისტემების დანერგვა, როგორც თეორიულ-ანალიტიკური მუშაობის, ასევე პედაგოგიკაში და ახალი სასწავლო-სამეცნიერო ჯგუფების (ორგანიზაციების) სტრუქტურაში მუშაობისა, თუ მათი შექმნის პროცესში; შესაბამისად, შეძლებს იგივე უნარების სხვისთვის გადაცემა-გაზიარების, მათი სასწავლო პროცესის დაგეგმვა-ორგანიზებას.</p> <p>ღირებულებები მაგისტრანტი იკვლევს კონკრეტულად, კინოხელოვნებისა და საზოგადოდ, კულტურის მნიშვნელოვან მოვლენებს და მასთან დაკავშირებულ, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას; ობიექტურად და პროფესიულად აფასებს იმ ადგილს, რომელიც კინემატოგრაფს უკავია კაცობრიობის აზროვნების ჩამოყალიბების, განვითარებისა და ცნობიერებაზე ზემოქმედების სფეროში; იკვლევს და აანალიზებს კინონაწარმოებს, მისი შექმნის წინაპირობებს რეალური გარემოებების ანალიზთან კონტექსტში და შეისწავლის კინოხელოვნებას, როგორც ხელოვნების სხვა დარგების, სოციოლოგიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, პოლიტიკის, ისტორიის განუყოფელ ნაწილს, მისი განვითარებისა და მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე.</p>
დასაქმების სფეროები	<p>პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულ მაგისტრს, საკვალიფიკაციო ნაშრომის წარმოდგენისა და დაცვის შემდეგ, შეუძლია კვლევითი საქმიანობის გაგრძელება დოქტორანტურაში, • პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა უმაღლეს სასწავლებლებში;

	<ul style="list-style-type: none"> • შესაბამის მუზეუმებსა და არქივებში კვლევითი და ადმინისტრაციული საქმიანობა (ხელმძღვანელ პოზიციაზე); • სამეცნიერო და ადმინისტრაციული საქმიანობა კვლევით-სამეცნიერო დაწესებულებებში; • სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში სახელოვნებო მიმართულებით ადმინისტრაციული ან მკვლევარ-ექსპერტის სამუშაოს შესრულება; • დამოუკიდებელი ექსპერტის, მკვლევარის, სტატუსით მუშაობა; • პროექტის დაგეგმვა, ამოცანების განსაზღვრა და განხორციელება, თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ფონდებთან; • სამეცნიერო ჯგუფში მუშაობა, როგორც კონკრეტული ამოცანის შემსრულებლის, ისე ჯგუფის ხელმძღვანელის რანგში; • მუშაობა კინოსტუდიებში, კინოკომპანიებში – კინომცოდნის, რედაქტორის, ექსპერტის რანგში; • მუშაობა ტელევიზიებში, სპეციფიკურ თუ საზოგადოებრივ ჟურნალ-გაზეთებში, კულტურის ექსპერტის, გადაცემების ავტორის, რედაქტორის პოზიციებზე.
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა</p>

ზოგადი ინფორმაცია	
პროგრამის სახელწოდება	პროგრამული კონცენტრაცია: ხელოვნებათმცოდნეობა
მიმართულება	ჰუმანიტარული მეცნიერებები
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	მაგისტრატურის აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი (ხელოვნებათმცოდნეობა)
პროგრამის ხელმძღვანელი	ნატო ბენბიშიძე , ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სრული პროფესორი. ტ. 893 24 42 78; მობ. e-mail: natogengiuri@gmail.com ირინე აბესაძე , სრული პროფესორი. ტ (+995 32) 22-34-37, მობ. 855 22-34-37. e-mail: i.abesadze@yahoo.com
პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა	120 კრედიტი, აქედან 40 კრედიტი – კვლევითი, 80 კრედიტი – სასწავლო. 2 წელი, 4 სემესტრი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის კვალიფიკაცია (BA in Arts History), სასურველია ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით. პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს შესაძლებელია ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხთან გათანაბრებული ან მეტი აკადემიური ხარისხი. ერთიენი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის და სპეციალობის გამოცდის წარმატებული ჩაბარება. მაგისტრობის კანდიდატი უნდა ფლობდეს უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B2 დონეზე მაინც.
პროგრამაში ჩართული პერსონალი	<i>სრული პროფესორები: ნატო გენგიური, ირინე აბესაძე.</i> <i>ასოცირებული პროფესორები:</i> <i>ეკა კიკნაძე, ნინო სანაღირაძე, მათა გოშაძე, თეო ხატიაშვილი</i> პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო და სასწავლო თანამშრომლობას ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, აპ. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიასთან. რისი საფუძველიცაა მათთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების რიგი პუნქტები. საკვლევი თემიდან გამომდინარე შესაძლებელია თანახელმძღვანელოდ ან კონსულტანტად მოწვეულ იქნენ დარგის კონკრეტული სფეროს სპეციალისტები.
მაგისტრანტთა რაოდენობა	არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 5-10 მაგისტრანტის მიღება.
დახასიათება და მიზნები	პროგრამის მიზანია მოამზადოს ხელოვნებათმცოდნე, რომელსაც საფუძვლიანად ეცოდინება ხელოვნების ისტორია (აქცენტით ქართულ ხელოვნებაზე), კულტურული მენეჯმენტის დაცვასა-შენარჩუნებასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხები, პროფესიული, ხელოვნებათმცოდნეობითი მეთოდები და ექნება ცოდნის განვითარებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

	<p>სამაგისტრო პროგრამა ამზადებს კვალიფიციურ ხელოვნებათმცოდნეებს, რომლებიც შეძლებენ როგორც პრაქტიკულ ხელოვნებათმცოდნეობით ან ადმინისტრაციულ საქმიანობას სახელოვნებო და კულტურული მემკვიდრეობის სფეროსთან დაკავშირებულ ორგანიზაციებში, ასევე ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კვლევას და, შესაბამისად, სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.</p> <p>პროგრამის კონცეფცია პროგრამა გათვლილია საბაკალავრო საფეხურის ზოგადინფორმაციული ხასიათის განათლების შემდგომ განვითარებაზე, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის გაღრმავებულ და ანალიტიკურ შესწავლაზე. შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებს ორ სასწავლო-კლევით მიმართულებას, რომლებიც ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა პერიოდებზეა ორიენტირებული: ერთი – XX საუკუნის ხელოვნებას და მეორე – ხელოვნების ისტორიულ, XX ს-მდე ეტაპებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამაში წარმოდგენილია ორი მოდული:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ძველი ქართული ხელოვნება – კვლევა და დაცვა ხელმძღვანელი - ნატო გენგიური, სრული პროფესორი 2. XX საუკუნის ხელოვნება ხელმძღვანელი - ირინე აბესაძე, სრული პროფესორი <p>მოცემული მოდულებიდან სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთს. სტუდენტი ვალდებულია არჩევანი გააკეთოს I სემესტრის დასაწყისში. კონკრეტული მოდულის და, შესაბამისად, მასში შემავალი დისციპლინების არჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ კვლევით საკითხებზე სურს მუშაობა მაგისტრანტს – ძველი ხელოვნების ისტორიის პრობლემებზე, თუ XX საუკუნის ხელოვნების საკითხებზე. შემოთავაზებული მოდულები საშუალებას აძლევს მაგისტრანტებს აირჩიონ სამაგისტრო საფეხურზე ხელოვნებათმცოდნეობითი დარგის შესწავლისა და კვლევისათვის მათთვის საინტერესო ეპოქა. სტუდენტები არჩეული მიმართულებით დაუფლებიან ცოდნას, აირჩევენ საკვლევ თემას და შეიძენენ უნარებს, რომლებიც საგანგებოდ სამაგისტრო საფეხურის სტანდარტების შესაბამისად არის მოდელირებული. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი არჩევანი უზრუნველყოფს მაგისტრანტებს აუცილებელი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და უნარ-ჩვევებით.</p>
შედეგები	<ul style="list-style-type: none"> • პროგრამის სრული კურსის დასრულების და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ სტუდენტს მიენიჭება ჰუმანიტარული მეცნიერებების (ხელოვნებათმცოდნეობა) მაგისტრის აკადემიური ხარისხი და ექნება შესაბამისი კვალიფიკაცია. • მაგისტრის ხარისხი დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა; მაგისტრს აქვს აღნიშნულ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის ყველა აუცილებელი უნარ-ჩვევა, რაც საშუალებას მისცემს მას უპასუხოს სადოქტორო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს. • პროგრამა მიანიჭებს კურსდამთავრებულებს საკვალიფიკაციო ცოდნისა და უნარის ფართო სპექტრს, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს სახელოვნებათმცოდნეო საქმიანობა განახორციელონ სამუზეუმო ან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში; იმუშაონ დამოუკიდებელ ექსპერტებად ან მკვლევარებად. • ჰუმანიტარული მეცნიერებების (ხელოვნებათმცოდნეობა) მაგისტრი ალტურვილი იქნება სათანადო ცოდნით იმისათვის რომ ხელი მიჰყოს სრულფასოვან და კვალიფიციურ

პროფესიულ საქმიანობას;

- ჰუმანიტარული მეცნიერებების (ხელოვნებათმცოდნეობა) მაგისტრის სახით, მივიღებთ ისეთი პროფესიული ცოდნით და კვალიფიკაციით აღჭურვილ ადამიანს, რომელიც ხელს შეუწყობს თანამედროვე სახელოვნებო პროცესის გაუმჯობესებას მისი ანალიტიკური შეფასების გზით;
- ჰუმანიტარული მეცნიერებების (ხელოვნებათმცოდნეობა) მაგისტრები შეავსებენ ხელოვნებათმცოდნეთა რიცხვს, რომლებიც საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის და ხელოვნების პროფესიულ შემფასებელთა, ექსპერტთა და ხელოვნების ზეგლთა დაცვის მარეგულირებელთა უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებენ.

1. ცოდნა და გაცნობიერება:

- სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია ხელოვნების ისტორიის და თეორიის კლასიკურ და ახალ კვლევებზე დამყარებული ღრმა და სისტემური ცოდნა;
- ის კარგად იაზრებს ხელოვნებათმცოდნეობის დარგის სპეციფიკას და ფარგლებს, საკვლევ პრობლემატიკას, ისტორიისა და თეორიის საკითხებს და აცნობიერებს მათ ერთიანობას;
- აცნობიერებს ხელოვნებათმცოდნეობის დარგობრივ თავისებურებებს და მისი შესწავლის პროცესის მუდმივობას;
- მას აქვს ხელოვნების ისტორიული ეტაპების ცოდნა, სტილისტური მახასიათებლების გამოყოფა და სტილის მნიშვნელობისა და რაობის გააზრების უნარი;
- ხელოვნების ცალკეული ნაწარმოების შესწავლა, ეპოქალურ კონტექსტში განხილვა, კვლევისთვის მეთოდოლოგიურ მიდგომათა შერჩევა;
- თანამედროვე სახელოვნებო პროცესის თეორიული კვლევის ფორმათა და მეთოდთა ცოდნა და ისტორიულ პროცესთან მისი კავშირის გაცნობიერება;
- მხატვრული პროცესების როგორც ზოგად, ისე ნაციონალურ კონტექსტში განხილვა, მათი თავისებურებების დიფერენციაციის საფუძველთა ცოდნა და მათი ინტეგრალური ერთიანობის გაცნობიერება;
- ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის ცოდნა და მათი თანმიმდევრული გამოყენების გაცნობიერება;
- სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის შემადგენელი მხატვრულ-ფუნქციური-ტექნიკური ელემენტების ცოდნა და ახალი ელემენტების გაცნობიერების, კონტექსტში განხილვის უნარი;
- ხელოვნების ისტორიის და თანამედროვეობის ეთნიკურ-ნაციონალური თუ სტილისტურ-ეპოქალური და კონცეპტუალური მიდგომებით კვლევის თავისებურებათა ცოდნა და მათი ანალიზის ფორმათა გაცნობიერებული დიფერენციაციის უნარი;
- ქართული ხელოვნების ისტორიისა და ცალკეული ნაწარმოებების ღრმა ცოდნას და მათი კვლევითი ტექნიკის პრინციპების გააზრება;
- მუზეუმს სპეციფიკას და სამუზეუმო მენეჯმენტის პრინციპების ცოდნა;
- ქართული და მასთან დაკავშირებული სხვა ქვეყნების ხელოვნებათა ურთიერთმიმართების საკითხების გაცნობიერება;
- ეცოდინება თანამედროვე პოლიტიკა კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში;
- ეცოდინება კულტურის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის პრინციპები;

- სახელოვნებო პროცესების არსებობის განსხვავებული ფორმების ცოდნა და გაცნობიერება;
- მსოფლიო კულტურული პორცესის და ხელოვნების ურთიერთმიმართების ფორმათა ცოდნა და გაცნობიერება;
- ქართული ხელოვნების ისტორიის ევროპულსა თუ მსოფლიო პროცესში კვლევის აუცილებლობის გაცნობიერება;
- აქვს სფეროს ფარგლებში არჩეული მიმართულების საფუძვლიანი და სისტემური ცოდნა და მისი სპეციფიკის გაცნობიერების უნარი,
- თანამედროვე მულტიმედიაციონარული მიდგომების პრაქტიკაში გამოყენებისა და ადაპტაციის უნარი.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- კურსდამთავრებული გააცნობიერებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს, შეეძლება ამ სფეროში სპეციფიკური დილემის გადაჭრა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.
- ფლობს სახვითი ხელოვნების და არქიტექტურული ნაწარმოებების, ასევე, მათი სინთეზით შექმნილი ხელოვნების ნიმუშების შესწავლის მეთოდებს და აქვს მათი სისტემატიზაციისთვის აუცილებელი უნარჩვევები, შეუძლია მასთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხების/პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრა, სახელოვნებათმცოდნეო კვლევის განხორციელება ექსპერტულ დონეზე. ასევე, კულტურული მემკვიდრეობის ახლადგამოვლენილი ნიმუშების შესწავლა, ამოცანების განსაზღვრა და გადაჭრა.
- შეუძლია სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის ნიმუშების შესწავლასა და დაცვასთან დაკავშირებული ამოცანების დაგეგმვა, დამოუკიდებლად წარმართვა და განხორციელება პროფესიულ დონეზე. შეუძლია ახალი სამეცნიერო საკითხის განსაზღვრა, კვლევის დაგეგმვა და განხორციელება.
- პროგრამის კურსდამთავრებული აცნობიერებს ხელოვნებათმცოდნეობაში არსებულ პრობლემებსა და დილემებს და შეუძლია მათი გადაჭრა პროფესიულ პრაქტიკაში ახალი და თანამედროვე მეთოდებისა და ანალიტიკური მიდგომების გამოყენებით;
- კურსდამთავრებული ფლობს ხელოვნების ისტორიის შესწავლის მეთოდებს, სისტემურსა და კომპლექსურ მიდგომებს და შეუძლია მათი დამოუკიდებელი პრაქტიკული გამოყენება დარგობრივ სფეროსთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხების/პრობლემების გადასაჭრელად;
- სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია პროფესიული ამოცანების დამოუკიდებელი პრაქტიკული დაგეგმვა, მათი შესრულების პროცესის წარმართვა და განხორციელება პროფესიულ დონეზე. შეუძლია ახალი სამეცნიერო საკითხის განსაზღვრა, კვლევის დაგეგმვა და განხორციელება;
- შექმნილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ფორმებისა და მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება და ა.შ.
- თავისი ცოდნის სფეროში მიმდინარე მოვლენებზე ზემოქმედებისა და მათი კრეატიული კორექციის პრაქტიკული უნარი;

- მაგისტრი შეძლებს ფონდებსა და სხვა ორგანიზაციებთან პროფესიული ურთიერთობის დამყარებას თავისი სამუშაოს მოთხოვნებიდან გამომდინარე;
- მაგისტრი შეძლებს სამუშაოს დაგეგმვას და ამოცანების განსაზღვრას, როგორც დამოუკიდებელი კვლევისას, ისე ჯგუფში მუშაობისას;
- მაგისტრი შეძლებს საჭიროების შემთხვევაში, ინტერდისციპლინარული მიდგომის გამოყენებას, ინტერპრეტაციას;
- მაგისტრი შეეძლებს ხელოვნების ნაწარმოების და სპეციალური ტექსტის ანალიზის;
- მაგისტრი ფლობს საკონფერენციო მოხსენების, სამეცნიერო სტატიის მომზადების პრინციპებს და შეეძლებს მათ პრაქტიკაში გამოყენებას;
- შეძლებს საკუთარი მოსაზრების საჯარო პრეზენტაციას და არგუმენტირებულ დასაბუთებას.

3. კომუნიკაციის უნარი

- მაგისტრს აქვს აკადემიურ და პროფესიულ წრეებთან (როგორც ადგილობრივ ისე უცხოელ) ურთიერთობის დამყარების უნარი. მას შეუძლია აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით, არგუმენტირებული მსჯელობის, საკუთარი პოზიციის კომუნიკაციაში გაზიარება;
- მაგისტრს აქვს ცოდნის სხვისთვის (ბაკალავრის, პროფესიული პროგრამების სტუდენტისთვის ან სხვა ჯგუფისთვის) ცოდნის გაზიარების უნარი;
- მაგისტრი ინფორმაციული მოძიებისა და კომუნიკაციის პროცესში იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

4. არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი

- რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;
- ხელოვნების ისტორიის ან თანამედროვე სახელოვნებო მოვლენების შედარებითი ანალიზისა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით დასაბუთებული დასკვნების ფორმულირების უნარი;
- ხელოვნების ისტორიის მხატვრულ-კულტურული საკითხის, ასევე უცნობი და შეუსწავლელი ძეგლის, ხელოვნების ნიმუშის შესწავლისას, შედარებითი ანალიზისა და სხვა შესაბამის მეთოდთა გამოყენებით მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით დასაბუთებული დასკვნების ფორმულირების უნარი.

სწავლის უნარი

ახალი ცოდნის მიმართ გახსნილობა და მისი ათვისებისა და შესწავლის უნარი;
 საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული განვითარების პროცესისი ადეკვატური შეფასების უნარი;
 სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი;
 პროფესიული თვითსრულყოფის, სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვისა და დაგეგმვის უნარი;

	<p>ღირებულებები</p> <p>აქვს შემოქმედებითი ღირებულებების გაცნობიერებისა და დიფერენციაციის უნარი;</p> <p>აქვს პროფესიული პარტნიორობის ღირებულების გაცნობიერების უნარი;</p> <p>ახალი პროფესიული ღირებულებების შექმნის;</p> <p>აქვს ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი;</p> <p>კარგად გაიაზრებს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას თანამედროვე ფასეულობათა სისტემაში და ამ საფუძველზე აცნობიერებს პროფესიულ პასუხისმგებლობას.</p> <p>აქვს საზოგადოებრივი ღირებულებების, მათ შორის მხატვრული და კულტურული ღირებულებების დამკვიდრებაში საკუთარი წვლილის შეტანის უნარი.</p>
დასაქმების სფეროები	<ul style="list-style-type: none"> • სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულ მაგისტრს, საკვალიფიკაციო ნაშრომის წარმოდგენისა და დაცვის შემდეგ, შეუძლია კვლევითი საქმიანობის გაგრძელება დოქტორანტურაში; • უნივერსიტეტი, ინსტიტუტი, კვლევითი ცენტრი; • მუზეუმები, გალერეები; • კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაციები; • კულტურის პროფილის ფონდები; • ხელოვნებისა და კულტურის სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციები; • ტურისტული სააგენტოები; • მედიის სფეროში, კულტურის მიმართულების განყოფილებებში.
პროგრამის განვითარება	შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ზოგადი ინფორმაცია	
პროგრამის სახელწოდება	პროგრამული კონცენტრაცია: ეთნო – ქორეოლოგია (ქართული ქორეოგრაფიის მკვლევარი)
მიმართულება	ჰუმანიტარული მეცნიერებები
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	მაგისტრატურის აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, ძირითადი
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი (ქორეოლოგია)
პროგრამის ხელმძღვანელი	ანანო სამსონაძე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. ტ. 95-96-64 მობ. 893-55-15-36 e-mail: ananosamsonadze@mail.ru
პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა	120 კრედიტი, აქედან 40 კრედიტი – კვლევითი, 80 კრედიტი -სასწავლო. 2 წელი, 4 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	შესაბამისი კვალიფიკაციით (ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი) ბაკალავრიატის სრული სასწავლო პროგრამის წარმატებული გავლა; პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს შესაძლებელია ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხთან გათანაბრებული ან მეტი აკადემიური ხარისხი. ერთიენი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის და სპეციალობის გამოცდის წარმატებული ჩაბარება. მაგისტრობის კანდიდატი უნდა ფლობდეს უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B2 დონეზე მაინც.
პროგრამაში ჩართული პერსონალი	თენგიზ ყურაშვილი – ასოცირებული პროფესორი ხათუნა დამჩიძე – პედაგოგი; ასოცირებული პროფესორები: გ. ცქიტიშვილი, ე. კიკნაძე; სრული პროფესორი ნ. გენგიური; პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო და სასწავლო თანამშრომლობას ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სამხატვრო აკადემიასთან. რისი საფუძველიცაა მათთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების რიგი პუნქტები. დოქტორანტის საკვლევი თემიდან გამომდინარე შესაძლებელია თანახელმძღვანელად ან კონსულტანტად მოწვეულ იქნენ დარგის კონკრეტული სფეროს სპეციალისტები.
მაგისტრანტთა რაოდენობა	არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 5-10 მაგისტრანტის მიღება.
დახასიათება და მიზნები	სამაგისტრო პროგრამა ეთნო-ქორეოლოგიაში მიზნად ისახავს ქართული საცეკვაო (აუთენტური და სასცენო) ხელოვნების მკვლევართა (ისტორიკოს – თეორეტიკოსებისა) და კრიტიკოსთა აღზრდას, რომელთა სრულფასოვანი ცოდნა დაეხმარება მათ აწარმოონ პროფესიული საქმიანობა ქორეოგრაფია-ქორეოლოგიის

	<p>დარგში.</p> <p>პროგრამის მიზანია შესძინოს მაგისტრანტს სამეცნიერო კვლევის ძირითადი უნარ-ჩვევები, რომელთა გამოყენებით იგი შეძლებს თეორიული კვლევის წარმართვას ქართულ საცეკვაო ფოლკლორში არსებული ნებისმიერი პრობლემის ირგვლივ. შეასწავლოს: ქართული საცეკვაო ნიმუშის პროფესიული ანალიზი და ქართული აუთენტური და სასცენო საცეკვაო ნიმუშის ფიქსირება (ჩაწერა პირობითი ნიშნების მეშვეობით და ლიტერატურული აღწერით); თემატური ბიბლიოგრაფიული კატალოგების შედგენა დამუშავება; საგაზეთო და საჟურნალო მასალის მომზადება (საკონცერტო პროგრამის ან კონკრეტული საცეკვაო ნომრის რეცენზირება, შემოქმედებითი პორტრეტის შედგენა, ინტერვიუს ჩაწერა და ა.შ.); თემატური სალექციო კურსის წაყვანა (მაგ., „ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიაში“) სახელოვნებო დაწესებულებებში.</p> <p>პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან: პროგრამა შეესაბამება მისიაში ფორმულირებულ მიზნებს, რამდენადაც მისი თემატიკა განისაზღვრება ხელოვნებათმცოდნეობითი (ქორეოლოგიის) საკითხებით.</p>
შედეგები	<ul style="list-style-type: none"> • ცოდნა და გაცნობიერება - აქვს ქორეოგრაფია-ქორეოლოგია სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; • ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ეთნო-ქორეოლოგიაში არსებული ცოდნის საფუძველზე, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გზით (რეფერატი, ნარკვევი, საკურსო ნაშრომი, სამეცნიერო პუბლიკაცია, საკონფერენციო მოხსენება და ა.შ.) ახალი ცოდნის შექმნა და მისი დანერგვა (გამოყენება) ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების საშემსრულებლო პრაქტიკაში. ქორეოგრაფია-ქორეოლოგიის ინტერდისციპლინარული ბუნების გათვალისწინებით კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; • დასკვნის უნარი - საკვლევი თემის ირგვლივ ქართული ქორეოგრაფიული ფოლკლორის შესახებ არსებული მასალის (არქეოლოგიური, ლიტერატურული, მუსიკალური, აუდიო, ვიდეო მასალის) შეგროვება-შესწავლის და სისტემატიზაციის გზით ლოგიკური დასკვნების გაკეთება და მათი გამოყენებით კვლევის წარმართვა. ქორეოლოგიურ მეცნიერებაში არსებული არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; • კომუნიკაციის უნარი - ქორეოგრაფია-ქორეოლოგიის თემატიკის ირგვლივ კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; • სწავლის უნარი -ქორეოგრაფია-ქორეოლოგიის სფეროში საკუთარი სამეცნიერო ინტერესების განსაზღვრა და მათთან დაკავშირებული სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის

	<p>თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;</p> <ul style="list-style-type: none"> • ღირებულებები - ქართული ტრადიციული ხელოვნების, ქორეოგრაფიული ფოლკლორული მემკვიდრეობის, როგორც ეროვნული ღირებულებების გააზრება-განსაზღვრა. ტრადიციული და ახლად შექმნილი (სასცენო-ხალხურ ქორეოგრაფიაში არსებული) ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.
დასაქმების სფეროები	<ul style="list-style-type: none"> • თემატურ (სახელოვნებო და ფოლკლორულ) კვლევით პროგრამებში მონაწილეობა, (მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საპრეზიდენტო პროგრამაში და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობა) • თემატური საგაზეთო და საჟურნალო მასალის მომზადება; • სახელოვნებო დაწესებულებებში თემატური სალექციო კურსის წაყვანა; • სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლებში მოღვაწეობა ქორეოლოგის სტატუსით (ანსამბლის ისტორიის, რეპერტუარის, ცალკეული ცეკვების ფიქსირება – კონსერვაცია); • საექსპედიციო მუშაობა (ფოლკლორის შესწავლა). • უნივერსიტეტი, ინსტიტუტი, კვლევითი ცენტრი; ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, სახელოვნებო დაწესებულება, საჯარო სკოლა, ქორეოგრაფიული ანსამბლი და ა.შ.
პროგრამის განვითარება	შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ზოგადი ინფორმაცია	
დასახელება	სამაგისტრო პროგრამა: ტილემედია - თეორია და პრაქტიკა (მედიის კვლევები)
მიმართულება	სოციალური მეცნიერებები
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	მაგისტრატურის აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელი	გიორგი ჩართოლანი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. ტ.+99532 999 606; მობ. +99577 500 326; e-mail: chartolani@gmail.com ; chartolani@hotmail.com
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	120 კრედიტი, 40 -კრედიტი კვლევითი, 80 კრედიტი -სასწავლო
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების აუცილებელი წინაპირობაა - ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდისა და საუნივერსიტეტო გამოცდების ჩაბარება სპეციალობაში. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის, მასთან გათანაბრებული ან მეტი აკადემიური ხარისხი – სასურველია, კუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში. გამოცდა ორი საფეხურისგან შედგება: წერითი სახით (სატელევიზიო ფილმზე ან გადაცემაზე რეცენზია) და კოლოკვიუმი (სადაც შემოწმდება ზოგადი განათლების დონე). პროგრამაში მისაღებად სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის. მაგისტრობის კანდიდატი უნდა ფლობდეს უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B2 დონეზე მაინც.
პროგრამაში ჩართული პერსონალი	შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი – გიორგი ჩართოლანი ; ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი – ნანა დოლიძე თელავის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი – ლაურა კუტუბიძე; შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი – რევაზ ჭიჭინაძე პროგრამა ითვალისწინებს თანამშრომლობას ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტთან უნივერსიტეტებს შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე.
მაგისტრანტთა რაოდენობა	არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 12 მაგისტრანტის მიღება. (თითოეულ მოდულზე 6 მაგისტრანტი)
დახასიათება/ მიზნები	პროგრამის კონცეფცია პროგრამა გათვლილია საბაკალავრო საფეხურის ზოგადინფორმაციული ხასიათის განათლების შემდგომ განვითარებაზე. პროგრამა ითვალისწინებს ორ სასწავლო-კვლევით მიმართულებას, შესაბამისად წარმოდგენილს ორ მოდულში: 1. სატილემედიო ქურნალისტიკა ხელმძღვანელი-ასოცირებული პროფესორი გიორგი ჩართოლანი

	<p>2. ტელემედიის მკვლევარი</p> <p>ხელმძღვანელი-ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნანა ღოლიძე</p> <p>მოცემული მოღვაწეებიდან სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთს. სტუდენტი ვალდებულია არჩევანი გააკეთოს I სემესტრის დასაწყისში.</p> <p>შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს 1. პროფესიონალი პრაქტიკოს-ანალიტიკოსი ტელეჟურნალისტები; 2. ტელემედიის სპეციალისტები, კვალიფიციური მკვლევარები, რომლებიც შეისწავლიან ტელევიზიის, როგორც პოლიფუნქციური საკომუნიკაციო სისტემის, მასობრივი ინფორმაციის, ეკრანული ხელოვნების სახესხვაობის, ადამიანთაშორისი ურთიერთობების პროცესის ფენომენს, სატელევიზიო პროდუქციის (ტელეგადაცემის, ტელეფილმის და ა.შ.) თანამედროვე კვლევის მეთოდებს. სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს ტელევიზიის განვითარების ძირითადი ტენდენციების, სატელევიზიო გადაცემების ანალიზის მეთოდების შესწავლას, ტელევიზიის სოციალური ფუნქციების, მასობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედების, მასობრივი კულტურის, იდეოლოგიის, მაუწყებლობის ფორმებისა და სატელევიზიო ინდუსტრიის თავისებურებებს. მაგისტრანტები დაეუფლებიან მიღებული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელების უნარ-ჩვევებს. თეორიული კურსის პარალელურად ისინი გაივლიან პრაქტიკულ კურსს სხვადასხვა ტელეკომპანიებში.</p> <p>პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან: პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის თეორიული ფაკულტეტის (ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და მართვის ფაკულტეტი) პროფილს. მისი თემატიკა განისაზღვრება სოციალურ მეცნიერებათა საკითხების შესწავლით.</p>
<p><i>შედეგები</i></p>	<p>პროგრამის სრული კურსის დასრულებისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ სტუდენტს მიენიჭება სოციალური მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხი და ექნება შესაბამისი კვალიფიკაცია.</p> <p>მაგისტრის ხარისხი დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა;</p> <p>სამაგისტრო პროგრამის - “სატელევიზიო ჟურნალისტიკა - თეორია და პრაქტიკა“ - კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს ზოგადპროფესიულ და პროფესიულ მომზადებას.</p> <p>მაგისტრის ზოგადპროფესიულმა მომზადებამ უნდა უზრუნველყოს მისი შესაძლებლობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ღრმად გაიგოს მედიის თეორიისა და პრაქტიკის, მედიაში არსებული ძირითადი პრობლემების არსი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა; ✓ მიიღოს პროფესიული ცოდნის მთლიანი სისტემა; ✓ გადააფასოს დაგროვილი გამოცდილება მედიის განვითარების, მეცნიერების და ცვალებადი სოციალური პრაქტიკის კუთხით, ეფექტურად გამოიყენოს თავისი პოტენციალი; ✓ ცვალოს პროფესიული მოღვაწეობის მიმართულება მედიის მეთოდოლოგიურ შესწავლაში ასევე პრაქტიკის სფეროში; <p>მაგისტრის პროფესიულმა მომზადებამ უნდა უზრუნველყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობა ტელემედიის

	<p>სფეროში, რაც გულისხმობს:</p> <ul style="list-style-type: none"> - სატელევიზიო გადაცემების მომზადებას; - სამაუწყებლო მედიაში კორესპონდენტების, რეპორტიორების მუშაობის სპეციფიკის ცოდნას; - სატელევიზიო გადაცემების პროექტების მომზადებას; - სატელევიზიო გადაცემის წაყვანის ტექნოლოგიების ცოდნას; - სატელევიზიო პროდიუსერის პროფესიული საქმიანობის სპეციფიკაში გარკვევას. <p>✓ დამოუკიდებელი ჩვენების ფლობა ანალიტიკური, საპროექტო, სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა, რომელიც მოითხოვს ფართო განათლებას მედიის და თანამედროვე კომუნიკაციის სფეროში, რაც გულისხმობს:</p> <ul style="list-style-type: none"> - იმ ამოცანების ფორმულირებას და გადაწყვეტას, რომლებიც წარმოიქმნებიან სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისას და მოითხოვენ ღრმა პროფესიულ ცოდნას; - კონკრეტული კვლევებიდან გამომდინარე ამოცანებისთვის აუცილებელი კვლევის მეთოდების შემუშავებას; - საჭიროების მიხედვით არსებული მეთოდების მოდიფიცირებას და ახალის შემუშავებას; - მიღებული რეზულტატების დამუშავებას, ანალიზს და გააზრებას არსებული ლიტერატურული მონაცემების გათვალისწინებით; - ბიბლიოგრაფიული სამუშაოს ჩატარებას თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; - შესრულებული სამუშაოს შედეგების წარდგენა-ანგარიშს სატელევიზიო ჟურნალისტური ნაწარმოების, რეფერატის, სტატიის სახით. - ამოცანების დასმას და გადაწყვეტას თავისი პროფესიული კომპეტენციის სფეროში; <p>კვალიფიკაციების აღწერი (დისკრიპტორი)</p> <p>ა) ცოდნა და გაცნობიერება – ზოგადად მედიის და კონკრეტულად ტელემედიის პრაქტიკული და თეორიული სფეროების შესწავლის საფუძველზე დამყარებული ცოდნა მედიის კვლევის სფეროში ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა. მედიის კვლევის მეთოდების მედიაპროდუქტის ანალიზის საკითხებში გამოყენება კი მედიის, როგორც საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროს სრულყოფილი შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. მსოფლიო გამოცდილება, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის თუ პუბლიკაციის გაცნობა კი აუცილებელი სტანდარტის მიხედვით სტატიების და პუბლიკაციების მომზადების საშუალებას იძლევა. ქართულ მედიის ისტორიის მანძილზე დაგროვილი და თანამედროვეობაში წარმოებული მრავალჟანრობრივი და მმრავალფეროვანი მედიაპროდუქტების თეორიული ანალიზის უნარი მათი ხელახალი გააზრების, საზოგადოებრივ მოვლენებთან მათი მიმართების და სწორად შეფასებისთვის ახალი მეთოდოლოგიის დანერგვას უწყობს ხელს.</p> <p>ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული თეორიული კვლევები და პრაქტიკული საქმიანობა წარმოებული იქნება თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით. მაგისტრატურის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა ტელემედიაში პროფესიული საქმიანობის უნარებს ჩამოუყალიბებს მომავალ ჟურნალისტებს. ასევე მედიის</p>
--	--

	<p>მომავალი მკვლევარები შეძლებენ მაღალპროფესიულ დონეზე აწარმოონ მედიაპროდუქტის ანალიზი, შეფასება, მედიის, როგორც საზოგადოებრივი და კულტუროლოგიური ინსტიტუტის საქმიანობის მეცნიერული კვლევა. მედიის ისტორიის და თეორიის საკითხებზე სამეცნიერო-თეორიული და კვლევითი ნაშრომების შექმნა.</p> <p>გ) დასკვნის უნარი - მაგისტრები გაიაზრებენ მედიის კვლევის საკითხებში ანალიზის ახალ მეთოდებს. გააკეთება შესაბამისი დასკვნები. რამენადაც ტელემედიის საქმიანობის მეცნიერული შესწავლა საკმაოდ იშიათად ხორციელდება თანამდროვე მედიის კვლევის სფეროში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კვლევის შედეგად სწორი დასკვნების გაკეთებას. ამ დასკვნებმა ხელი უნდა შეუწყოს კვლევის ახალი სისტემების, სწორი ორიენტირების განსაზღვრას დარგის შემდგომი სისტემატიზაციისთვის, პრობლემების ეფექტურად გადაჭრისთვის. მედიაპროდუქტის ისტორიული განვითარების და თანამედროვე სახის ანალიზი მოვლენის ერთიანი პროცესების გააზრების და შესაბამისი დასკვნების გაკეთების შესძლებლობას მისცემს მომავალ მაგისტრებს.</p> <p>დ) კომუნიკაციის უნარი - პროგრამა გულისხმობს სხვადასხვა მონათესავე სპეციალობებთან (ჰუმანიტარული და ხელოვნების სპეციალობები) ინტენსიურ კავშირს. მის საფუძველზე შექნილი პრაქტიკული ჟურნალისტური ნაწარმოებები თუ თეორიული ნაშრომები მომზადდება ამ სპეციალობების შემსწავლელ სამაგისტრო პროგრამების მაგისტრანტებთან პერმანენტული ურთიერთობით (რეჟისორები, ოპერატორები, პროდიუსერები). მაგისტრანტებს შესაძლებლობა ეძლევათ გამოიმუშაონ გუნდური მუშაობისთვის საჭირო პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. პროგრამის თეორიული სწავლების მოდულის მაგისტრანტები კი მიიღებენ მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და სემინარებში. რამდენადაც ქართული მედიაკვლევები არ მოიცავს ამ თემატიკისადმი მიძღვნილ ნაშრომთა დიდ რაოდენობას, მაგისტრებს ექნებათ ტელემედიის სხვადასხვა ქვეყნების კვლევებთან ურთიერთობის უნარი, გამოცდილების მიღების და გაზიარების მიზნით. ამავდროულად, ქარველი ჟურნალისტების მოღვაწეობის გაცნობა უცხოელ მეცნიერებს შესაძლებლობას მისცემს გაერკვნენ ქართულ სინამდვილეში ტელემედიაში მიმდინარე მოვლენებში, გაიაზრონ ქართული საზოგადოების მშენებლობის პროცესში მედიის როლი და მნიშვნელობა და ა.შ.</p> <p>ე) სწავლის უნარი - მედიის კვლევის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, მაგისტრანტები შესძლებენ ახალი იდეების გენერირებას და მიმდინარე პროცესებში სწორ ორიენტირებას. მიღებული ცოდნა მათ დაეხმარება არა მხოლოდ მაგისტრატურის დონეზე კვალიფიკაციის სრულყოფაში, არამედ სწავლის მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა) გადასვლისთვის მომზადებაში. მედიის კვლევების თემატიკის მქონე გამოცემებში თუ მედიასაშუალებებში პრაქტიკული საქმიანობისთვის კი მიღებული ცოდნა მკვლევარებს პროფესიულად დახვეწილი პროდუქტის შემნის შესაძლებლობას მისცემს. ისინი მედიის თეორიის და ისტორიის მკვლევარების გარდა, გახდებიან მედიაკრიტიკოსები, რაც მედიაპროდუქციის პროფესიულ და კვალიფიციურ შეფასებას გულისხმობს. სამაგისტრო პროგრამის მოდულის “ტელეჟურნალიტიკა” კურსების გავლის შემდეგ მომავალი პრაქტიკოსი ჟურნალისტების კვალიფიკაცია გულისხმობს იმგვარი სპეციალისტების არსებობას,</p>
--	--

	<p>რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან ცოდნის მუდმივ განახლებაზე, თანამედროვე ტელეპროდუქტის შექმნისთვის საჭირო ახალი ფორმების მოძიებაზე, თვითგანვითარებაზე, პროფესიულ წინსვლაზე.</p> <p>ვ) ღირებულებები - ეს მეტად მნიშვნელოვანი პუნქტია სამაგისტრო პროგრამისთვის, რამდენადაც, ნებისმიერი მედიასაშუალების საქმიანობა დაკავშირებულია საზოგადოებაში სხვადასხვა სახის ღირებულებების შექმნის, დამკვიდრების და განმტკიცებისთვის. ამ ღირებულებათა სისტემის შექმნაში განსაკუთრებული როლი აკისრია ტელემედიას და იმ პროდუქციას, რომელიც გადაიცემა სატელევიზიო ეთერში. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამა გულისხმობს იმგვარი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც ერთგულნი იქნებიან საერთაშორისო ნორმებით აღიარებული ჟურნალისტური ეთიკის და იმ ღირებულებების, რასაც ემსახურება სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, ადამიანური და პიროვნული ღირებულებები, ეროვნული, ეთიკური, მორალური ღირებულებები, განსხვავებული აზრის, ეროვნული, ეთნიკური ღირებულებების პატივისცემა, კულტურულ ფასეულობათ გაფრთხილება და დაცვა, უმცირესობათა პატივისცემა და სხვა სახის ღირებულებები, ძალადობის და საზოგადოებაზე ნეგატიური ზემოქმედების უარყოფა და ჰუმანური, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების ერთგულება.</p> <p>ღირებულებათა სისტემა განსხვავებული იყო ტელემედიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შექმნილი ჟურნალისტური ნაწარმოებები თუ თეორიული ნაშრომები სწორედ ამ ღირებულებების ჩვენებას კვლევას ისახვას მიზნად.</p> <p>მაგისტრის პასუხისმგებლობა იმგვარი ტელეპროდუქტის და თეორიული ნაშრომების შექმნა, რომლებიც არ იქნება რომელიმე გაბატონებული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ.</p>
<p><i>დასაქმების სფეროები</i></p>	<p>სწავლის დასრულების შემდეგ, ”ტელემედია – თეორია და პრაქტიკა” სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულ მაგისტრს, საკვალიფიკაციო ნაშრომის წარმოდგენისა და დაცვის შემდეგ, შეუძლია კვლევითი საქმიანობის გაგრძელება დოქტორანტურაში, ან პრაქტიკულ-შემოქმედებითი საქმიანობის დაწყება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ტელეჟურნალისტის, რედაქტორის, მედიაექსპერტის პოზიციიდან, როგორც სახელმწიფო და ასევე კერძო სექტორში. შეუძლია იმუშაოს პედაგოგად სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს სასწავლებლებში.</p>
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა</p>

კულტურული ტურიზმი

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კულტურული ტურიზმი
საფეხური	მაგისტრატურა
პროგრამის ტიპი	აკადემიური; ძირითადი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ტურიზმის მაგისტრი (კულტურულ ტურიზმში)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	120 კრედიტი
სწავლის ხანგრძლივობა	4 სემესტრი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების აუცილებელი წინაპირობაა – ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის, მასთან გათანაბრებული ან მეტი აკადემიური ხარისხი – სასურველია ჰქონდეს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. პროგრამაზე მისაღებად სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის. მაგისტრობის კანდიდატი უნდა ფლობდეს უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B 2 დონეზე მაინც.
დასაქმების სფერო	<ol style="list-style-type: none"> 1. პროფესიული კოლეჯები (ტურიზმის სპეციალობით); 2. სასწავლო ინსტიტუტები; 3. ტურისტული სააგენტოები; 4. ტუროპერატორული კომპანიები; 5. ტურიზმისა და რეკრეაციის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები; 6. კურორტებისა და ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტი; 7. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.
პროგრამის მიზანი	<p>„კულტურული ტურიზმი“ სამაგისტრო პროგრამა</p> <p>შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაში ფორმულირებულ მიზნებს, რამდენადაც მისი თემატიკა განისაზღვრება კულტურული ტურიზმის საკითხებით. უნივერსიტეტის კულტუროლოგიური, ხელოვნებათმცოდნეობითი და მენჯმენტის სპეციფიკა უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულების არსებობას.</p> <p>პროგრამის მიზანია კულტურული ტურიზმის სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება,</p>

	<p>რომლებიც ტურიზმის სტრუქტურებში მუშაობისას შეძლებენ ტურიზმის სფეროში არსებული პრობლემების გამოკვეთას და ოპტიმალურ გადაწყვეტას.</p> <p>ამ მხრივ, თანამედროვეობის უმთავრესი ამოცანაა კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლების, ქართული მართლმადიდებლური რიტუალების, ტრადიციული თავისებურებებისა და ფენომენების შენარჩუნება-კონსერვაცია, რაც საბოლოო ჯამში, ქვეყნის (რეგიონის) ტურისტულ-რეკრეაციული ინდუსტრიის განვითარებისა და სტაციონარული მენეჯმენტის საფუძველს წარმოადგენს.</p> <p>დღეს, როდესაც მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე საქართველო ცდილობს გარკვეული ადგილის დამკვიდრებას, სწორედ კულტურული ტურიზმის სეგმენტის წინწაწევა გახდება ხელშემწყობი ფაქტორი ქართული სახელმწიფოს პოპულარიზაციის საქმეში. ამიტომაც, ჩვენს ქვეყანაში არსებული მრავალფეროვანი კულტურულ ტურისტული პროდუქტის ხარისხობრივი მახასიათებლების გამოვლენა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე კვალიფიციურად გატანა ახალი ტურისტული ნაკადების შემოსვლას შეუწყობს ხელს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს ტურისტულ ბაზარზე ჩამოსულთა შორის 70 % სწორედ კულტურული ტურიზმითაა დაინტერესებული.</p> <p>პროგრამის მნიშვნელობაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო ტურისტული ბაზრის მოცემულ სეგმენტზე კულტურულ-ტურისტული პროდუქტის მცოდნე სპეციალისტების მიერ დამუშავებული კონკურენტ-უნარიანი ტურპაკეტების მიწოდება განხორციელდეს.</p> <p>ხარისხიანი ტურიზმისთვის აუცილებელი პირობაა, კარგად შენახული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა. ასევე აუცილებელია ტურისტების, ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტული კომპანიების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. იუნესკოს წარმოდგენით ხარისხიანი ტურიზმი არის ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს კულტურული მრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენახვასა და განვითარებას. აპრობებს კულტურათა შორის დიალოგს, შეაქვს თავის ღვაწლი გაეროს მიერ დასახულ ათასწლეულის განვითარების პროგრამაში, რომელშიც პრიორიტეტულია სიღარიბის დაძლევა.</p> <p>პროგრამაში „კულტურული ტურიზმი“:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მაგისტრები სიღრმისეულად გაანალიზებენ საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის ობიექტებს. მათ შორის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის ცენტრებს. ➤ გათვალისწინებულია, როგორც საეტაპო მნიშვნელობის მსოფლიოს უნიკალური მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის ძეგლების, ეთნოგრაფიული ჩანახატებისა
--	---

	<p>და ტრადიციების კულტურულ-ტურისტული თავისებურებების წარმოჩენა, ასევე ადგილობრივი ანალოგიური რესურსების ანალიზი და უცხოეთში აპრობირებული მეთოდებით მათი ტურისტულ ინდუსტრიაში დანერგვა.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ განიხილება კულტურული ტურიზმის სტრატეგიულ მენეჯმენტთან და ბაზრის მარკეტინგთან დაკავშირებული ცალკეული სპექტრის სამეცნიერო-პრაქტიკული ანალიზი. ➤ მაგისტრანტები ღებულობენ მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში, დისკუსიებსა და დებატებში. ➤ მაგისტრანტები დაეუფლებიან თეორიული და სოციოლოგიური კვლევის შედეგების კონპელაციური დამუშავების ტექნოლოგიებს და უზრუნველყოფენ მინიმუმ ერთი სამეცნიერო პუბლიკაციის წარმოებას მეცნიერ-ხელმძღვანელთან ერთად. ➤ პროგრამის განმავლობაში სტუდენტები ბაკალავრებთან სპეციალურ დისციპლინაში ჩაატარებენ თეორიულ-პრაქტიკულ ლექციას, რომელსაც შემდგომ საჯაროდ განიხილავენ. ➤ საბოლოოდ სპეციალურად შედგენილი და დამტკიცებული სახელწოდებისა და გეგმის საფუძველზე ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომს.
<p>შედეგები</p>	<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>სწავლების მეორე საფეხურის კურსდამთავრებული-მაგისტრის ცოდნის დონე უზრუნველყოფს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას და თეორიული კვლევის მიმართულებების განმტკიცებას; • საქართველოს კულტურული ტურიზმის ბაზრის სეგმენტზე ორიგინალურ იდეების დაგეგმვასა და განზოგადობას; • კულტურული ტურიზმისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური პრობლემების (სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, ეკოლოგიური და სხვ.) იდენტიფიკაციას და გადაჭრის ღონისძიებების დაგეგმვას; • კულტურული ტურიზმის ცალკეულ სფეროებში მენეჯმენტის ოპტიმალური ვარიანტების შემუშავებას. <p>ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> • კულტურული ტურიზმის რესურსების რაციონალური ათვისება და პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობა; • კულტურულ სივრცეში თვისობრივი შემეცნებით-ტურისტული მახასიათებლების გამოვლენა და ოპტიმალური რეალიზაცია; • სოციო-კულტურული გარემოს რეგულირების მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიების შემუშავება და მის პრაქტიკაში დანერგვა; • ტურისტული პროდუქტის დამუშავება, მასზე ფასის შედგენა, სარეალიზაციო ადგილის შერჩევა და პროდუქტის ბაზარზე წინ წაწევა;

- ინფრასტრუქტურის ელემენტების კულტურული ტურიზმის სისტემაში შეთავსება, პრაქტიკაში დანერგვა და ეკონომიკური სარგებლიანობის მიღწევა.

გ) დასკვნის უნარი

- აპრობირებული სამეცნიერო-პრაქტიკული მეთოდებით კულტურული ტურიზმის მიმართულებით საკვლევო სამუშაოების ჩატარება;
- კულტურული ტურიზმის კონკრეტულ სეგმენტზე დასახული ამოცანების გადაწყვეტის ალტერნატიული გზების შემოთავაზების საშუალება;
- კულტურული ტურიზმის მენეჯმენტის პროექტების შემუშავებისას კრიტიკული ანალიზისა და ინფორმაციის სინთეზის უნარების ჩამოყალიბება;
- ინოვაციური მართვის სისტემებში გამოყენებული მეთოდების დანერგვა მოპოვებული ინფორმაციების სინთეზის პროცესში.

დ) კომუნიკაციის უნარი

შეძენილი უნარ-ჩვევებისა და კომპენტენციების საფუძველზე უზრუნველყოფს:

- კულტურული ტურიზმის თემატიკაზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების პრეზენტირებას, როგორც კოლეგების წრეში, ასევე დაინტერესებულ საზოგადოებისათვის;
- კულტურული ტურიზმის სეგმენტში განხორციელებული კვლევის შედეგების არგუმენტირებული სამეცნიერო-პრაქტიკული დასაბუთება მაღალ აკადემიურ დონეზე;
- საინფორმაციო-კომუნიკაციის საშუალებებით, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ კოლეგებთან კომუნიკაციის დამყარება ტურიზმში ახლი საინფორმაციო მიღწევების გაცვლის მიზნით.
- მონათესავე სფეროებში (მომსახურებისა და ბუნებათმცოდნეობის დარგები) თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის გონივრულ წარმართვას;
- სოციალურ-ეკონომიკური და ბიზნესის ცალკეული კომპონენტების გრძელვადიანი პროგნოზირების უზრუნველყოფა;

ე) სწავლის უნარი

მაგისტრანტი სასწავლო პროგრამის ათვისების შესაბამისად დამოუკიდებლად გააცნობიერებს:

- სასწავლო დისციპლინებით გათვალისწინებული სამეცნიერო-პრაქტიკული ინფორმაციას;
- კულტურული გარემოს ტექნოგენური რესურსების ანთროპოგენური მოდიფიკაციების ეფექტურ რეალიზაციას;
- ტურისტულ-რეკრეაციული სისტემების რეგულირება-მართვის პრინციპებს;
- კულტურული ტურიზმის ინდუსტრიაში კვლევების

	<p>შედეგების საფუძველზე სწორი დასკვნების გამოტანასა და მათი დასაბუთების გამომუშავებას, განათლების მაღალი ხარისხის საფეხურის მიღწევას;</p> <ul style="list-style-type: none"> • სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის უტყუარი ალღოს გამომუშავებას, მიღებული შედეგების ობიექტურ შეფასებების მიღწევას <p>ვ) ღირებულებები</p> <p>მაგისტრის აკადემიური ხარისხის სპეციალისტი კულტურული ტურიზმის მართვის შესახებ ღრმა ცოდნის მიღების შესაბამისად შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • კულტურულ გარემოში არსებული ტურისტული რესურსების ხარისხობრივი (უნიკალური) მახასიათებლების წარმოჩენას და პოპულარიზაციას ადგილობრივ ტურისტულ ბაზრზე; • კულტურული ტურიზმის პროდუქტის შეფასებისას კოლეგების გამოცდილებების გაზიარებას და კულტურული ტურიზმის ფასეულობათა სისტემაში აპრობაცია გავლილი ღირებულებების დანერგვას.
--	--

ხელოვნების მენეჯმენტი

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ხელოვნების მენეჯმენტი
საფეხური	მაგისტრატურა
პროგრამის ტიპი	აკადემიური; ძირითადი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მენეჯმენტის მაგისტრი, (ხელოვნების მენეჯმენტი)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	120 კრედიტი
სწავლის ხანგრძლივობა	4 სემესტრი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების აუცილებელი წინაპირობაა – ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის, მასთან გათანაბრებული ან მეტი აკადემიური ხარისხი – სასურველია ჰქონდეს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. პროგრამაზე მისაღებად სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის. მაგისტრობის კანდიდატი უნდა ფლობდეს ერთ-ერთ უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B2 დონეზე.
დასაქმების სფერო	საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და შესაბამისი აკადემიური ხარისხის მიღების შემდეგ მაგისტრის საქმიანობა უპირატესად ხორციელდება კულტურისა და ხელოვნების სფეროს ორგანიზაციებში, აგრეთვე სხვა პროფილის არაკომერციულ და კომერციულ ორგანიზაციებში მაღალი და საშუალო მმართველობითი რგოლის შესაბამის თანამდებობებზე, აგრეთვე სახელმწიფო მართვის სისტემაში. მათი საქმიანობის ძირითადი სახეებია: საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური, საკონსულტაციო-ექსპერტული, სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და სხვა სახის საქმიანობა. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში ან იმუშაონ კომპეტენციების მიხედვით კულტურისა და ხელოვნების სფეროს სხვადასხვა ინსტიტუტებში.
პროგრამის მიზანი	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნების მენეჯმენტი“ შემუშავდა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე. კულტურისა და ხელოვნების სფეროს

მართვის საკითხების კვლევა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების, მათ შორის, დარგის მართვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კადრების მომზადება სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას.

სამაგისტრო პროგრამის „ხელოვნების მენეჯმენტი“

მიზანია მომზადდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება როგორც ზოგადად მართვის, ისე კულტურისა და ხელოვნების მართვის სფეროში თეორიული და პრაქტიკული საკითხების ცოდნა, დარგში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ადეკვატური შეფასებისა და სათანადო დასკვნების გაკეთების უნარ-ჩვევები, რაც ასახავს ჰპოვებს მაგისტრანტის მიერ მომზადებულ საკვალიფიკაციო ნაშრომში და გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტს საფუძვლიანად ეცოდინება არა მხოლოდ მართვის თეორია და პრაქტიკა, მსოფლიოში არსებულ უახლეს მიღწევები და გამოცდილება, არამედ, საქართველოს კულტურისა და ხელოვნების, ან მისი ამა თუ იმ მიმართულების (თეატრი, კინო, საგამომცემლო და სამუზეუმო საქმე და ა.შ.) მართვის სპეციფიკა და თავისებურებები.

პროგრამა მიზნად ისახავს მაგისტრანტში განავითაროს მეცნიერული აზროვნების, აქტუალური საკითხების გამოკვეთის, მათი კვლევისა და მართვა-რეგულირების უნარ-ჩვევები. საგანმანათლებლო პროგრამის უმნიშვნელოვანესი დანიშნულებაა კულტურისა და ხელოვნების მართვის საკითხებში კარგად გათვითცნობიერებული მენეჯერის, მეცნიერული უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელსაც შეეძლება შექმნილი ცოდნისა და გამოცდილების სხვებისათვის გაცნობა და გადაცემა.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტი შეძლებს:

- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიული სრულყოფისათვის აუცილებელი სპეციალური დისციპლინების სიდრმისეულ დაუფლებას;
- სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიათა ათვისებას;
- კულტურისა და ხელოვნების მართვის სფეროში აქტუალური პრობლემების გამოკვეთასა და სრულფასოვან ანალიზს;
- ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალურობა და მნიშვნელობა, რადგან ბაზარზე მზარდი მოთხოვნის მიუხედავად, საქართველოში კულტურისა და ხელოვნების მართვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების საგრძნობი დეფიციტია. საქართველოში კულტურისა და ხელოვნების სფეროს მართვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კადრების მომზადების აუცილებლობა განპირობებულია:

- ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მართვის საშუალო და დაბალი რგოლების

	<p>შესაბამის თანამდებობებზე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვის აუცილებლობით;</p> <ul style="list-style-type: none"> • საბაზრო ეკონომიკის პირობებში კულტურისა და ხელოვნების სფეროს როგორც არაკომერციული ისე კომერციული სექტორების განვითარების ინტერესებით; • საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებში მართვის სპეციალისტების საჭიროებით; <p>წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის წარმატებით განხორციელების განმაპირობებელი ფაქტორებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელიც საფუძვლიანად იცნობს კულტურისა და ხელოვნების დარგის განვითარების ისტორიას, თანამედროვე მდგომარეობასა და პერსპექტივებს, აგრეთვე მართვის თეორიასა და პრაქტიკას; • უნივერსიტეტში არსებული კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • საქართველოში კულტურისა და ხელოვნების დარგის /ქვედარგების/ მართვის დოქტორის ხარისხის დაუფლების მსურველთა არსებობა; • აუცილებლობის შემთხვევაში პროგრამის ზოგიერთი კომპონენტის საზღვარეთულ უნივერსიტეტებში გავლის შესაძლებლობა.
<p>შედეგები</p>	<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება:</p> <p>მაგისტრი ფლობს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მენეჯმენტის არსისა და სოციალური მნიშვნელობის, კულტურისა და ხელოვნების სფეროში მენეჯერის საქმიანობის სიღმისეულ ცოდნას; • კვლევისა და მართვის თანამედროვე მეთოდების, მარკეტინგის მენეჯმენტის, კონფლიქტებისა და რისკების მართვის, ანტიკრიზისული და ინოვაციური მენეჯმენტის, ხელმძღვანელობის სტილისა და მართვის ეფექტიანობის, არაკომერციული ორგანიზაციებისა და კულტურისა და ხელოვნების სფეროს მართვის შესახებ ღრმა ცოდნას; • სრულ ინფორმაციას მსოფლიოსა და საქართველოში კულტურისა და ხელოვნების სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებსა და მართვის სისტემებს. • მართვის, ეროვნულ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შესახებ, რაც აუცილებელია სწორი მენეჯერული გადაწყვეტილებების მისაღებად. <p>მაგისტრი გარკვეულია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს კულტურისა და ხელოვნების განვითარების ისტორიის, თანამედროვე მდგომარეობისა და პერსპექტივების, აღნიშნული სფეროს ეფექტიანი მართვის, ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის საკვანძო საკითხებში. <p>მაგისტრს გაცნობიერებული აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიული ცოდნის მთლიანი სისტემის, მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციების, სტრატეგიებისა და მიდგომების, მართვის ძირითადი ფუნქციების შინაარსი და მოთხოვნები.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

მაგისტრს შეუძლია:

- უპირატესად კულტურისა და ხელოვნების სფეროში მართვისა და ადმინისტრირების საკვანძო საკითხებთან დაკავშირებული ამოცანების დაგეგმვა და პროფესიულ დონეზე დამოუკიდებლად განხორციელება კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- აუცილებლობის შემთხვევაში, შეძენილი გამოცდილების მეცნიერების განვითარებისა და ცვალებადი სოციალური პრაქტიკის გათვალისწინებით გადაფასება, თავისი ინტელექტუალური პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება;
- კულტურისა და ხელოვნების სფეროს პროექტებისა და პროგრამების შედგენა და რეალიზების პროცესში აქტიურად მონაწილეობა;

მაგისტრი ფლობს:

- მენეჯერის, ანალიტიკური, სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო - პედაგოგიური საქმიანობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს;
- რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზის, მოსაზრებების ჩამოყალიბებისა და დაინტერესებული და უფლებამოსილი პირებისათვის კვლევის შედეგების გაცნობის უნარს.

გ) არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი:

- კულტურისა და ხელოვნების მართვის სფეროში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემების და კონკრეტული სიტუაციების, უახლესი ინფორმაციისა და მონაცემების სისტემური ანალიზის, შეფასებისა და განზოგადების საფუძველზე ლოგიკური დასკვნების გაკეთების უნარი;
- რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზის, მოსაზრებების ჩამოყალიბებისა და დაინტერესებული და უფლებამოსილი პირებისათვის კვლევის შედეგების გაცნობის უნარი.

დ) კომუნიკაციის უნარი:

- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად და შემოქმედებითად გამოყენების საფუძველზე კულტურისა და ხელოვნების მართვის საკითხებზე მოხსენებების, ანგარიშების, რეფერატების, სტატიების წერილობითი სახით მომზადების უნარი;
- კულტურისა და ხელოვნების მართვის საკითხებზე აკადემიურ წრეებსა და სპეციალისტებთან კომპეტენტურად მსჯელობის, აგრეთვე, საკუთარი მოსაზრებების როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე (ენებზე) პრეზენტაციის უნარი.

ე) სწავლის უნარი:

- სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების, მიღებული ცოდნის გაღრმავების უნარი;
- სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ბიზნესის ადმინისტრირების (ხელოვნების მენეჯმენტი) შესახებ ახალი, ზოგადი და პროფესიული ცოდნის შეძენის უნარი;

	<p>• მეცნიერისა და პედაგოგის უნარ-ჩვევები, რაც კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების და უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე (დოქტორანტურაში) სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა.</p> <p>ვ) ღირებულებები - კულტურისა და ხელოვნების მართვის სფეროში ღირებულებებისადმი თავისი და მასთან ურთიერთობაში მყოფთა დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p>
პროგრამის განვითარება	<p>სამაგისტრო პროგრამის “ხელოვნების მენეჯმენტი” განვითარება შესაძლებელია შემდგომი აკადემიური ხარისხის მოპოვებით სადოქტორო დონეზე.</p>

შეფასება

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება ორი სტანდარტით:

1. სასწავლო კომპონენტების (მოდული, კურსი) შეფასება ხდება საქართველოში მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 05.01.2007 – სწორება №785 – 21.09.2009) შესაბამისად:

დადებითი შეფასებები:

- A ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- B ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- C კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- D დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- E საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფითი შეფასებები:

FX ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

F ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

2. პროგრამის მიხედვით წარმოდგენილი თეორიული ნაშრომის (არსებობის შემთხვევაში) შეფასება ხდება შემდეგი ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნების გათვალისწინებით: „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში წერით ნაშრომთა შესრულების სტანდარტები“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით 2010 წლის 20 დეკემბერს, ოქმი №5 – იხ. ქვემოთ).

სამაგისტრო ნაშრომის თემას მაგისტრანტი შეარჩევს ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

სამაგისტრო ნაშრომის ფორმა უნდა აკმაყოფილებდეს უნივერსიტეტში დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამის მიხედვით წარმოდგენილი თეორიული ნაშრომების (რეფერატი – ანალიტიკური ესე; სამაგისტრო – საკვალიფიკაციო ნაშრომი) შეფასების სქემა:

№№	კრიტერიუმი	მაქსიმალური შექულა
1	ტექნიკური მხარე	30
1.1.	ენობრივი გამართულობა	10
1.2.	გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება	5
1.3.	გამოყენებული წყაროების მითითების სისწორე	5
1.4.	სტილის და სამეცნიერო წერის სტანდარტების დაცვა	10
2.	შინაარსობრივი მხარე	50
2.1.	შინაარსის სრულყოფილება	20
2.2.	აქტუალურობა	10
2.3.	ორიგინალობა	10
2.4.	დასკვნის (შეჯამების) სრულყოფილება	5
2.5.	კითხვებზე პასუხების დასაბუთებულობა	5
3.	პრეზენტაბელურობა	20
3.1.	თვალსაჩინოებების, სქემების, დიაგრამების, ვიზუალური მასალის არსებობა	10
3.2.	მეტყველების კულტურა	10
	სულ:	100

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ წარმოდგენილი საპრეზენტაციო პროექტის შეფასება ხდება შემდეგი სტანდარტით:

პრეზენტაცია – 30 ქულა

1. ზეპირი პრეზენტაცია – 10 ქულა (ჯგუფის თითოეული წევრი წარმოადგენს პროექტის საკუთარ ნამუშევარს)
2. პროექტის საერთო შეფასება – 10 ქულა (ყველას ემატება 10 ქულა)
3. კამათისა და დაცვის უნარი – 10 ქულა

ഭരണകൗശലം

ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევების (კონცენტრაციებით: თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ქორეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა)

სადოქტორო პროგრამის

ზოგადი დახასიათება

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი მისიის შესაბამისად, ჰუმანიტარული მეცნიერებების ერთი სფეროს – ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კვლევა და ხელოვნებათმცოდნეობითი დარგების განვითარება წინამდებარე პროგრამის მიზანია. სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს ხელოვნების დარგების – თეატრის, კინოს, ქორეოგრაფიის, სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის კვლევას და ამ სფეროში ახალი ცოდნის შექმნას.

ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევების სადოქტორო პროგრამის ამოცანაა მაგისტრატურის შემდგომი დონის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობისათვის.

სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს და შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან:

3. სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი);
4. კვლევითი კომპონენტი (120 კრედიტი) – ეს კომპონენტი გულისხმობს დისერტაციის, ანუ კვლევითი ნაშრომის შესრულებას, რომელიც უნდა ასახავდეს კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში და მის დაცვას/ საჯარო პრეზენტაციას.

“ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევების” სადოქტორო პროგრამა მოიცავს შემდეგ პროგრამულ კონცენტრაციებს:

თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ქორეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა

სადოქტორო პროგრამის თითოეული პროგრამული კონცენტრაცია ავითარებს დარგის მახასიათებელ სპეციფიურ თავისებურებებს და შეიცავს კონკრეტულ კვლევით პრობლემატიკას. თუმცა, მათ აერთიანებთ სწავლებისა და კვლევის ერთიანი პრინციპი, რომელიც ხორციელდება ყოველი პროგრამული კონცენტრაციისთვის ნიშანდობლივი და აუცილებელი მეთოდოლოგიით. შესაბამისად, პროგრამაში ქვემოთ დეტალურად არის წარმოდგენილი თითოეული პროგრამული კონცენტრაციის ვერბალური აღწერა, მიზნები, შედეგები და კომპეტენციები შესაბამისი სასწავლო გეგმებისა და შეფასების სისტემის თანხლებით.

შენიშვნა: პროგრამული კონცენტრაციები მათი მოცულობისა და მასშტაბური ვერბალური აღწერის გათვალისწინებით, სტუდენტთათვის აღქმის თვალსაზრისით რაიმე სირთულეების თავიდან ასაცილებლად, ქვემოთ მოხსენიებულია ტერმინით “პროგრამა”.

	ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევა
დასახელება	
მიმართულება	ჰუმანიტარული მეცნიერებები
უაგ-ის საფეხური/ უსპ-ს ტიპი	დოქტორანტურის აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი PhD in Arts Sciences
პროგრამის ხელმძღვანელები	<p>თამარ ბოკუჩავა, სრული პროფესორი. ტ.93-42-34; მობ. 899-41-90-95, e-mail:tbokuchava@hotmail.com</p> <p>ლელა ოჩიაური, სრული პროფესორი. ტ.; 324645. მობ. 899578174, 877288775. e-mail: teklataia@yahoo.com lelaochiauri@gmail.com</p> <p>ნატო გენგიური, სრული პროფესორი. ტ. 99 75 41; მობ. 893 24 42 78; 895 30 50 47 e-mail: natogengiuri@gmail.com</p> <p>ანანო სამსონაძე, ასოცირებული პროფესორი. ტ. 95-96-64; მობ. 893-55-15-36 e-mail- ananosamsonadze@mail.ru</p>
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	180 კრედიტი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრის კვალიფიკაცია (MA in Arts History), დოქტორანტობის კანდიდატი უნდა ფლობდეს უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B2 დონეზე მაინც და გაიაროს გასაუბრება სპეციალობაში.
ანალოგია	თეატრის, კინოს, ქორეოგრაფიის და ხელოვნების ისტორია (არქიტექტურისა და სხვითი ხელოვნების ისტორია) მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების სამეცნიერო მიმართულებათა რიგშია (იხ. დანართი). მაგრამ ამ პროგრამის ზუსტი ანალოგი, რაც გამოიხატებოდა კონკრეტულ სამეცნიერო თემატიკაში, ჩვენთვის ცნობილ სხვა უნივერსიტეტებში არ მოიპოვება. პროგრამა შემუშავებულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორების მიერ.
პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი	<p>თეატრმცოდნეობა:</p> <p>თ. ბოკუჩავა, სრული პროფესორი მ. კალამდარიშვილი, სრული პროფესორი გ. ცქიტიშვილი, ასოცირებული პროფესორი; მ. გოშაძე, ასოცირებული პროფესორი; მ. კიკნაძე, ასოცირებული პროფესორი;</p> <p>კინომცოდნეობა:</p> <p>ლ. ოჩიაური, სრული პროფესორი</p>

	<p>გ. გვახარია, სრული პროფესორი ზ. დოლიძე, სრული პროფესორი თ. ხატიაშვილი, ასოცირებული პროფესორი; ი. დემეტრაძე, ასოცირებული პროფესორი;</p> <p>ქორელოგია: ა. სამსონაძე, ასოცირებული პროფესორი; ნ. სანადირაძე, ასოცირებული პროფესორი; მ. გოშაძე, ასოცირებული პროფესორი;</p> <p>ხელოვნებათმცოდნეობა: ნ. გენგიური, სრული პროფესორი ი. აბესაძე, სრული პროფესორი ე. კიკნაძე, ასოცირებული პროფესორი მ. ტულუში, სრული პროფესორი</p> <p>მოწვეული პედაგოგები: მ. ლეკბორაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მ. ლევანიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ქ. კინწურაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მ. ტურიაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნ. ქავთარია, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი თ. ვეფხვაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი თ. ქამუშაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ზ. ცუცქირიძე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გ. მსხილაძე, ფილოსოფიის დოქტორი</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო და სასწავლო თანამშრომლობას ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სამხატვრო აკადემიასთან. რისი საფუძველიცაა მათთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების რიგი პუნქტები. დოქტორანტის საკვლევი თემიდან გამომდინარე შესაძლებელია თანახელმძღვანელად ან კონსულტანტად მოწვეულ იქნენ დარგის კონკრეტული სფეროს სპეციალისტები.</p>
<p>დოქტორანტთა რაოდენობა</p>	<p>არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 12 დოქტორანტის მიღება.</p>
<p>დახასიათება</p>	<p>პროგრამის შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი მისიის შესაბამისად, ჰუმანიტარული მეცნიერებების ერთი სფეროს – ხელოვნების ისტორიისა და კინოს კვლევა და ხელოვნებათმცოდნეობითი დარგების განვითარება წინამდებარე პროგრამის მიზანია. სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს ხელოვნების დარგების – თეატრის, კინოს, ეთნოგრაფიის, სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის კვლევას ამ სფეროში ახალი ცოდნის შექმნას.</p> <p>ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევების სადოქტორო პროგრამის განააგება მაგისტრატურის შემდგომი დონის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური</p>

ლობისათვის.

ოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს და შედგება სასწავლო კვლევითი კომპონენტებისგან:

5. სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი);
6. კვლევითი კომპონენტი (120 კრედიტი) – ეს კომპონენტი გულისხმობს დისერტაციის, ანუ კვლევითი ნაშრომის შესრულებას, რომელიც უნდა ასახავდეს კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში და მის დაცვას/ საჯარო პრეზენტაციას.

„სალონებისათვის მკვლევარის“ სალონო პროგრამა მოიცავს შემდეგ შემდეგ პროგრამულ კონცენტრაციებს:

თეატრმცოდნეობა

კინომცოდნეობა

ქორეოლოგია

ხელოვნების მცოდნეობა

სადოქტორო პროგრამის თითოეული კონცენტრაცია:

გვითარებს დარგის მახასიათებელ სპეციფიურ თავისებურებებს და შეიცავს კონკრეტულ კვლევით პრობლემატიკას. თუმცა, მათ აერთიანებთ სწავლებისა და კვლევის ერთიანი პრინციპი, რომელიც ხორციელდება ყოველი მიმართულებისთვის ნიშნდობლივი და აუცილებელი მეთოდოლოგიით. შესაბამისად, პროგრამაში ქვემოთ დეტალურად არის წარმოდგენილი თითოეული მიმართულების ვერბალური აღწერა, მიზნები, შედეგები და კომპეტენციები შესაბამისი სასწავლო გეგმებისა და შეფასების სისტემის თანხლებით.

დახასიათება კონცენტრაციების მიხედვით

პროგრამული კონცენტრაცია: თეატრმცოდნეობა

PhD in Arts Sciences (Theatre Sciences)

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი

პროგრამა ამზადებს მეცნიერ-მკვლევარებს თეატრმცოდნის ზოგადი კვალიფიკაციით, ასევე საშუალებას აძლევს დოქტორანტებს პროგრამაში გაერთიანებულ სამ მიმართულებაში წარმოდგენილი საგნების მეშვეობით, საკმაოდ ზუსტად განსაზღვროს თავისი სამეცნიერო ინტერესი თეატრის ისტორიული თუ თეორიული ასპექტების შესაწავლისა და მათი სხვადსხვა მეთოდოლოგიური მიდგომით კვლევის თვალსაზრისით. თეატრმცოდნის კვალიფიკაციის სადოქტორო დონე გულისხმობს თეატრის, როგორც ხელოვნებისა და კულტურის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი სინთეზური დარგის მეცნიერულ კვლევას. დრამისა და თეატრის ისტორიისა და თეორიის კვლევა, ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიაში უძველესი დროიდან დამკვიდრდა. თავდაპირველად, კერძოდ კი ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან, ის არსებობდა როგორც ხელოვნების ფილოსოფიისა და პოეტიკის, ასევე ლიტერატურათმცოდნეობის ნაწილი. XIX-XX საუკუნეებიდან თეატრმცოდნეობა თეატრის შემსწავლელ დამოუკიდებელ მეცნიერებად ყალიბდება, რომელიც სხვადსხვა მეთოდოლოგიური მიდგომებით იკვლევს თეატრის ისტორიას, თეორიასა და პრაქტიკას. XX საუკუნეში თეატრის შემსწავლელი მეცნიერება მდიდრდება სხვადსხვა სახის, მათ შორის ინტერდისციპლინარული მიდგომებითა და მეთოდოლოგიებით. თეატრის შემსწავლელი თანამედროვე მეცნიერება ხელოვნებათმცოდნეობის ერთ ერთი განვითარებული და მრავლგანხრიანი დარგია, სტრუქტურალისტური, პოსტრუქტურალისტური, ანთროპოლოგიური, სემიოლოგიური და სხვა მიდგომების საფუძველზე ის წარმატებით იკვლევს თეატრს, როგორც მხატვრულსა და სოციალურ ფენომენს.

პროგრამის კონცეფცია: სადოქტორო პროგრამის სტუდენტი I სემესტრის დასაწყისში ირჩევს პროგრამით შემოთავაზებული მოდულებიდან ერთ-ერთს. ყოველი კონკრეტული მოდული და მასში შემავალი დისციპლინები ეხება იმ კვლევით პრობლემებს, რომელზეც მუშაობს კონკრეტული პროფესორი და რომელი მიმართულებითაც მას სურს მიიღოს დოქტორანტები. იმავდროულად სტუდენტმა უნდა აირჩიოს სადოქტორო კვლევის თემა და ხელმძღვანელი. სტუდენტი ამზადებს დისერტაციის პროექტს და წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს არა უგვიანეს III სემესტრის დასაწყისისა.

თეატრმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს სამ ძირითად სასწავლო-კვლევით მიმართულებას:

1. მსოფლიო თეატრის **ისტორიის**, თეატრისა და დრამის თეორიისა და თანამედროვე ქართული თეატრის მოდულების სახით. ეს სამი მიმართულება ასახავს თეატრის კვლევის ზოგად შესაძლო მიმართულებებს და საშუალებას აძლევს დოქტორანტს გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი. მსოფლიო თეატრის მიმართულების სახელწოდებაა „**მსოფლიო თეატრი - ეპოქები, ეტაპები, ასპექტები**“. სახელწოდების ასეთი დეფინიცია განპირობებულია თეატრის

ისტორიის საგნის სინთეზური ბუნებით, რომელიც მოიცავს როგორც სათეატრო დრამატურგიის, ისე სათეატრო გამომსახველობის ისტორიული ცვალებადობის გზას. სათეატრო კულტურა მოიცავს თეატრის წინადრმატულ, დრამატულ და პოსტდრამატულ ეტაპებს, რიტუალის თეატრალური ასპექტებიდან დაწყებული, თანამედროვე პერფორმანსით დამთავრებული.

2. „დრამისა და თეატრის თეორიის“ მოდული. თანამედროვე ანალიზის მეთოდების ცოდნა აუცილებელი დოქტორანტიცისათვის, რათა მან ემპირიული მასალის ორგანიზება და ანალიზი აწარმოოს. „დრამისა და თეატრის თეორიის“ მოდული თეატრმცოდნეობის საგნის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს აცნობს დოქტორანტებს – დრამისა და თეატრის თეორიის წარსულისა და თანამედროვეობის კონცეპციებს.

ის ეფუძნება თეატრალური აზრის ერთ-ერთ უძველეს ტრადიციულ განხრას - დრამის თეორიას. XX საუკუნის დამდეგს, ანთროპოლოგიური, კულტუროლოგიური და სხვა ჰუმანიტარული კვლევების ზეგავლენით, დრამის თეორიამ თეატრის თეორიის მიმართულებით განიცადა განვითარება, ხოლო დრმატული თეატრი აღიარებული იქნება, როგორც თეატრის არსებობის ერთ ერთი და არა ერთადერთი ფორმა. ამასთან, ხელოვნების თანამედროვე თეორიებში დამკვიდრდა მხატვრული მოვლენის მიმართ ინტერდისციპლინარული ანალიზის პრაქტიკა. აღნიშნული მოდული თეატრმცოდნეობის სპეციალობისა და პროგრამის უმნიშვნელოვანეს განხრას წარმოადგენს. უაღრესად მნიშვნელოვანია შეიქმნას მყარი და კვალიფიცირებული თეორიული ბაზა თეატრმცოდნეობითი კვლევებისთვის, საბჭოთა იდეოლოგიურმა სისტემამ დიდი ხნით შეაფერხა ე.წ. „ბურჟუაზიული“ თუ არასასურველი სამამულო თეორიების ფუნქციონირება და კვლევის სავალდებულო მარქსისტული სისტემა დაამკვიდრა. თუმცა, ხელოვნებისა და საზოგადოებრივი კულტურის ანალიზისადმი სწორედ ამ უნიფიცირებულმა მიდგომამ მას ფორმალური ხასიათი შესძინა. შედეგად, ხელოვნების კვლევები, უმეტესწილად ემპირიულ აღწერებამდე და ხშირად, არასათანადო თეორიული საფუძველით გამყარებულ ანლიზამდე დავიდა. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, სიტუაცია თანდათან იცვლება, მაგრამ მაინც არასისტემურ და სპონტანურ ხასიათს ატარებს. შესაბამისად, „დრამისა და თეატრის თეორიის“ მოდული სწორედ ამ ვითარების გამოსწორებასა და ხელოვნების თეორიის პრაქტიკულ აღწერასთან მიმართებაში რეაბილიტაციას ისახავს მიზნად. ის თეატრმცოდნეობის შემდგომი განვითარების აუცილებელ და ფუნდამენტურ რგოლს წარმოადგენს.

3. პროგრამის მესამე მოდულია „XX ს-ის ბოლო ათწლეულის ქართული თეატრი (1990-2000)“. მოდული ორიენტირებულია მიმდინარე თეატრალური პროცესისა და პოსტსაბჭოთა ქართული თეატრის პრაქტიკის სამეცნიერო ანალიზზე. ეს ოცწლეული შემთხვევით არ გამხდარა აღნიშნული მოდულის ძირითადი აქცენტის საგანი, რადგან ის თანამედროვე საქართველოში კულტურულ პარადიგმათა თეატრალურ კულტურაში ასახული ცვლილების შესწავლას ისახავს მიზნად. პროგრამის მიზანია დოქტორანტებს მისცეს ამ მოვლენებთან კავშირში თანამედროვე თეატრში გამოვლენილ ესთეტიკურ, სტილისტურ, კონცეპტუალურ, ენობრივ და სხვ. კანონზომიერებათა თანმიმდევრული პროფესიული ხედვა და სამეცნიერო აღნუსხვისა და განზოგადების უნარი. ცოცხალ თეატრალურ პროცესზე მუშაობა სამეცნიერო თეატრმცოდნეობის ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა, რადგან თეატრალური ნაწარმოები თავისი ბუნებით სრულფასოვან ფიქსაციას არ ექვემდებარება. მეორეც, თეატრის ძლიერი კომუნიკაციური ბუნება მისი ცოცხალი პროცესის სამეცნიერო კვლევის აუცილებლობას ქმნის.

ამავე მოდულის ფარგლებში წარმოდგენილი საგანი, სახელწოდებით „ქართული თეატრი მსოფლიო პროცესში“, ამ მოდულის არჩევის მსურველ დოქტორანტებს

საშუალებას მისცემს გაეცნონ ქართული თეატრალური კულტურის განვითარების შედარებით ისტორიას. ეს დაეხმარება მათ მიმდინარე უახლესი პროცესების მსოფლიო მოვლენათა კონტექსტში დანახვაში.

იმ დოქტორანტებს, რომლებსაც სურვილი ექნებათ საკვალიფიკაციო ნაშრომის თემად აირჩიონ ქართული თეატრის ადრეული პერიოდები თუ XX საუკუნის მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული თეატრალური გამოცდილება, პროგრამა შესაძლებლობას მისცემს ამ მიმართულებითაც მიიღონ საჭირო ინფორმაცია და იმუშაონ მათთვის საინტერესო თემებსა და პერიოდებზე როგორც შედარებითი ისტორიული კვლევის, ისე უშუალოდ ქართულ სათეატრო სივრცეში გამოკვეთილი ორიგინალური და სამეცნიეროდ საინტერესო მოვლენათა და ტენდენციათა კვლევის თვალსაზრისით.

პროგრამით გათვალისწინებული სავარაუდო საკვლევი საკითხები

პროგრამით გათვალისწინებული სავარაუდო საკვლევი საკითხები:

მსოფლიო თეატრის მოდული:

მოდულიდან გამომდინარე, საკვლევი საკითხები მსოფლიო თეატრის ისტორიული გზის შესწავლით იქნება განსაზღვრული. თეატრი, როგორც თეატრის ისტორიის შესწავლის სუბიექტი, პროგრამისა და მოდულის ფარგლებში, გაგებულ იქნება დიალექტიკურად და სინთეზურად, სათეატრო კულტურის ყველა კომპონენტის გათვალისწინებით, წარმოდგენა (სპექტაკლი), დრამატურგია, სამსახიობო ხელოვნება, სათეატრო არქიტექტურა და სცენოგრაფია, სათეატრო სანახაობის ორგანიზება, მაყურებელი, თეატრის თეორიული შეფასება-ანალიზი ისტორიულ კონტექსტში და სხვ. გაზიარებული იქნება უძველესი თეატრის კულტთან, მითთან და რიტუალთან კავშირის იდეა. თეატრის ცნებაში კი გაერთინდება თეატრის როგორც წინადრამატული, ისე დრამაზე დაფუძნებული ფორმები.

თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოვლენათა და პროცესთა შესწავლა იწრამოებს:

1. სინქრონულ, დიაქრონულ ან ერთი კულტურული თუ გეოგრაფიული მომენტით ლოგიკურად შემოფარგლულ ჭრილში. სინქრონული კვლევა დაემყარება შედარებით-შეპირისპირებით მეთოდს, მაგ. „ელინისტური ეპოქის ბერძნული და ინდური თეატრი“ ან „შუა საუკუნეების თეატრი დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში – ზოგადი ნიშან-თვისებები, ნაციონალურ-კულტურული თავისებურებები“ და ა.შ.

დიაქრონული ჭრილში შეიძლება წარმოსდგეს ორი სხვადასხვა ისტორიული ეპოქის თეატრალური მოვლენების შედარებითი ანალიზი, მაგალითად ანტიკური რომისა და აღორძინების ეპოქის თეატრისა. მაგ. „რომაული კომედია და აღორძინების ეპოქის ინგლისური კომედია“.

ერთი ეპოქა შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ნაციონალური კულტურის, ისე ტიპოლოგიურად ჰომოგენური უფრო დიდი კულტურის ჭრილში, მაგალითად: „სკანდინავიური თეატრი XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს“. „აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების თეატრალური კულტურა საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ წლებში-1950-იანი წლები“ და ა.შ.

2. თეატრალური პროცესის კომპონენტების სინთეზური ან დიფერენცირებული შესწავლის თვალსაზრისით. მაგ. „ესქილეს დრამატურგიის პერფორმაციული ასპექტები“, „ფრანგული კლასიციზმური თეატრის სამსახიობო სკოლა და მისი საშემსრულებლო პრინციპები“, „კონცეპტუალური

სცენოგრაფიის საწყისებთან – ადოლფ აპია და გორდონ კრეგი“, „თანამედროვე სათეატრო ალტერნატივა – ქუჩის თეატრის ესთეტიკა“, „რიჰარდ ვაგნერის მუსიკალური დრამა და კომპოზიტორის შემოქმედებასა და თეორიულ მხედულებებში“, „XX საუკუნის ამერიკული დრამატურგია და ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზი“ (იუჯინ ონილისა და ტენესი უილიამსის მაგალითზე) და ა.შ.

3. ისტორიული პროცესის ამსახველი ან მასში ასახული სუბიექტის მიხედვით; მაგ. თეატრის ისტორია გენდერული თვალსაწიერიდან (ეპოქის, ავტორის, ავტორთა ჯგუფის, საკითხის დაკონკრეტებით), თეატრალური ალტერნატივის ისტორია ავანგარდის თეატრის ფორმირებამდე და ა.შ.

4. თეატრის ისტორია ვიწრო ესთეტიკურ და პროფესიულ ჭრილში, თეატრი გლობალურ კონტექსტსა და სოციუმთან, რელიგიასთან, კულტურასთან, მეცნიერებასთან ისტორიულ ურთიერთმოქმედებაში და ა.შ.

ეს არის თემების შერჩევისა და მათი დამუშავებისადმი სავარაუდო მიდგომების მხოლოდ ერთი ნაწილი.

მსოფლიო თეატრის მიმართულება, სხვა პერიოდების კვლევასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, აქცენტს გააკეთებს თანამედროვე მსოფლიო სათეატრო პროცესებისა და XX საუკუნის თეატრალური კულტურის შესწავლაზე, რომელიც, თავის თავში აერთიანებს როგორც მსოფლიო თეატრის ისტორიისა და თეატრალური პროცესის კვლევის ახალ მეთოდებსა და მიდგომებს, ისე უშუალოდ XX საუკუნის სათეატრო პროცესის კვლევას. აქედან, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა პროცესებს XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე.

თეატრისა და დრამის თეორიის მიმართულებით

- დრამის მორფოლოგია.
- სარეჟისორო თეორიები.
- რეჟისურის საწყისები.
- ნიცშეს ნაშრომის (“ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან”) როლი სარეჟისორო ხელოვნების განვითარებაში.
- დრამის სტრუქტურა და კომპოზიცია.

ქართული თეატრის მიმართულებით

- თანამედროვე ქართული დრამატურგიის კვლევა (როგორც ცალკეულ ავტორთა შემოქმედების, ისე გარკვეული მიმდინარეობის, ძიების პროცესის).
- თანამედროვე ქართული სარეჟისორო ხელოვნების კვლევა (როგორც ერთი კონკრეტული რეჟისორის შემოქმედების, ისე მიმდინარე პროცესის).
- თანამედროვე ქართული სამსახიობო ხელოვნების კვლევა.
- თანამედროვე ქართული სცენოგრაფიის კვლევა.
- პლასტიკური თეატრი.
- თეატრის ახალი გამომსახველობითი საშუალებების, ვიზუალური სამეცნიერო ენის, ლექსიკის ამოხსნა – გაანალიზება – შეფასება.
- სპექტაკლის კონცეპტუალური გადაწყვეტის კვლევა.
- მუსიკა დრამატულ თეატრში.
- თანამედროვე ქართულ თეატრში მიმდინარე ძიების შემოქმედებითი პროცესის კვლევა – გაანალიზება.

- სასცენო მეტაფორის როლი, წარმოდგენის საერთო იდეურ – მხატვრულ გადაწყვეტაში.

შედეგები

თეატრმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის მოსალოდნელი შედეგები შემდეგი სახისა იქნება: მომზადდება თანამედროვე სამეცნიერო კადრები ახალგაზრდა მკვლევარებისა, რომლებიც თეატრმცოდნეობის რამდენიმე მიმართულებაში შექმნიან ახალ სამეცნიერო ცოდნას. პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს ქართული ხელოვნებათმცოდნეობისა და ზოგადად ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებას. პროგრამის კურსდამთავრებული დოქტორები აღჭურვილნი იქნებიან დარგსა და მიმართულებაში არსებული ახალი და განახლებული ცოდნითა და კვლევის მეთოდოლოგიით, ისინი გააგრძელებენ კვლევითსა და პედაგოგიურ პრაქტიკას, ხელ შეუწყობენ მსოფლიო და ქართული თეატრის კვლევას, სამეცნიერო დონეზე შეაფასებენ თანამედროვე სათეატრო პროცესებს და შეისწავლიან მათ როგორც დამოუკიდებლად, ისე კულტურის კონტექსტში. ეს ხელს შეუწყობს როგორც ქართული სათეატრო მეცნიერების, ისე მთელი ქართული თეატრალური კულტურის განვითარებას.

სადოქტორო პროგრამის კვალიფიკაციის აღმწერი (დესკრიპტორი):

ა) **ცოდნა და გაცნობიერება** – სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტებს თეატრმცოდნეობის დარგის სამეცნიერო კვლევის საგნის ხედვით, მისი სინთეზური და დიალექტიკური ბუნების გაცნობიერებით, აძლევს მათ საგნისა და მისი მიმართულებების განვითარების კანონზომიერებათა დადგენის უნარს და უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო აზროვნების მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური საფუძვლებით, აწვდის დოქტორანტებს დარგში არსებულ ძირითადსა და უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, წარუდგენს მათ კვლევის ინოვაციურ, მათ შორის დარგთაშორის მეთოდებს. პროგრამა შედეგება სამი მოდულისაგან, რომელთაგან თვითეული, ზემოთმოყვანილი ზოგადი საკვალიფიკაციო მახასიათებლის გარდა, იძლევა დამატებით, კონკრეტული მიმართულებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მანკვებლებს. მსოფლიო თეატრის მიმართულება დოქტორანტს საშუალებას აძლევს დაეუფლოს თეატრალური კულტურის ისტორიულ პერსპექტივაში კვლევის, ისტორიული პერიოდიზაციის ნიშნებისა და საფუძვლების განსაზღვრის მეთოდებს, რაც საშუალებას აძლევს დოქტორანტებს მოახდინონ არსებული ცოდნის ნაწილობრივი გადაფასება და მისი განახლებული ფარგლების გაცნობიერება. ამასთან, დოქტორანტი იძენს თანამედროვე თეატრალური პროცესის ისტორიული კანონზომიერების ჭრილში ხედვისა და კვლევის უნარს, სხვადასხვა მიდგომითა და სხვადასხვა კავშირურთიერთობაში მოვლენის გააზრებისა და საკუთარი ნააზრების რეფერირებადი პუბლიკაციის სტანდარტებით სამეცნიერო ცოდნად ქცევის უნარს. „დრამისა და თეატრის თეორიის“ მიმართულების კუთხით, დოქტორანტებს დარგობრივ კვალიფიკაციას ემატება დრამისა და თეატრის კონცეპტუალურ-ფილოსოფიური თეორიებისა და დოქტრინების ცოდნის, ანალიზის, ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ ახალი თეორიული სამეცნიერო პუბლიკაციებში ასახული ცოდნის შექმნის უნარი, ხოლო „თანამედროვე ქართული თეატრის“ მიმართულება დოქტორანტს პოსტსაბჭოთა

ქართული თეატრის სფეროში არსებულ კანონზომიერებათა გამოვლენის, აღწერისა და ახალი ცოდნის შექმნის საშუალებას აძლევს.

ბ) **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ფართე შესაძლებლობებს იძლევა, დოქტორანტს შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს ინოვაციური კვლევა, გამოიყენოს მასლისადმი მიდგომის სხვადასხვა სახის მეთოდოლოგია, შეიმუშავოს რაოდენობრივი მაჩვენებლების აღწერისა და თვისობრივი განზოგადოებისა და ანალიზის უნარი, პრაქტიკული გამოცდილებიდან და დაკვირვებიდან თეორიული ცოდნის შექმნისა და მისი კვლავ პრაქტიკაში გამოყენების უნარი. თეატრმცოდნეობის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრაქტიკული გამოცდილების თეორიული განზოგადოება და პრაქტიკისა და თეორიის დიალექტიკური კავშირი სამეცნიერო საქმიანობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, დოქტორანტები აღჭურვილნი იქნებიან დედუქციური და ინდუქციური მეთოდების, შედარებითი მეთოდის გამოყენებისა და საკვლევი საკითხისადმი სხვადასხვა ინოვაციური მეთოდებით მიდგომის უნარით. მათი ცოდნისა და გამოცდილების შედეგები აისახება რეფერირებად ჟურნალებში.

გ) **დასკვნის უნარი** - სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები აღჭურვილნი იქნებიან სათანადო ცოდნითა და მიდგომებით, რაც მათ საშუალებას მისცემს რთული და წინააღმდეგობრივი, ურთიერთგამომიცხავი მონაცემების კრიტიკული ანალიზი აწარმოონ, მოძებნონ წინააღმდეგობათა ახსნის, ახალ რეგისტრში დაძლევისა და სინთეზირების გზები, შეაფასონ მოვლენები მათთვის შესატყვისი ღირეულებითი შკალით. ისინი შეძლებენ მოცემულობასთან მისადაგებულ ახალი მეთოდოლოგიების შექმნასა და ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას;

დ) **კომუნიკაციის უნარი** - სადოქტორო პროგრამით შექნილი კვალიფიკაცია საშუალებას მისცემს პროგრამის დოქტორანტებს თეატრმცოდნეობაში არსებული და ახალი ცოდნა დასაბუთებულ ურთიერთკავშირში წარმოაჩინონ, შექმნან თანმიმდევრულ კვლევასა და ანალიზზე დამყარებული ახალი ცოდნა და შესძლონ ისეთი ფორმით გადმოსცენ ის, რომ ადეკვატური გამოძახილი ჰპოვონ სამეცნიერო ურთიერთობაში, კოლეგებთან სამეცნიერო თემატურ პოლემიკაში ჩაერთონ (მათ შორი უცხო ენაზე), სამეცნიერო კომუნიკაციისათვის დამახასიათებელ ყველა წერილობითი თუ ზეპირმეტყველი ფორმით სრულფასოვნად ისარგებლონ.

ე) **სწავლის უნარი** - სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია თეატრმცოდნეობის სფეროში დოქტორანტის სწავლისა და გაგების უნარის გაფართოებასა და გაღრმავებაზე. მოვლენათა დისტანციური ჭვრეტისა და მათი კანონზომიერების შეცნობის უნარის ფორმირებაზე, უახლეს ცოდნასა და თეატრის შესახებ მეცნიერების ახალ მიღწევებზე დამყარებული სამეცნიერო კვლევა-ძიების წარმოებაზე, ახალი მეთოდოლოგიების შეცნობა-შემუშავებაზე, ცოდნის გაფართოებაზე როგორც უშუალოდ თეატრმცოდნეობის საგნის, ისე მისი შესწავლის ფორმების კვლევის მიმართულებით.

ვ) **ღირებულებები** - პროგრამა ორიენტირებულია ჩამოუყალიბოს დოქტორანტს სამეცნიერო კვლევის ღირებულებითი ასპექტების ცოდნა, დაანახოს ფაქტის, ლოგიკური მსჯელობის, სწორად შერჩეული მეთოდოლოგიის კვლევის წარმართვისა და მისი საბოლოო შედეგისათვის ღირებულებითი მნიშვნელობა, ახალი ცოდნის ღირებულების გაცნობიერება თეატრმცოდნეობის ერთიანი ცოდნის სისტემაში. სამეცნიერო კვლევის გზით მხატვრულ ღირებულებათა ოპტიმალური ნიშან-თვისებების ხედვისა და შეფასებითი ორიენტაციის უნარი, ესთეტიკური თუ თეატრის სფეროში შემავალი სხვა ღირებულებების დიფერენციაციის, სისტემური კვლევის, საკუთარი ობიექტური სამეცნიერო

პოზიციის თეორიული და სამეცნიერო ღირებულების დასაბუთებისა და დამკვიდრების უნარი. ასევე, ახალ ღირებულებათა დასმკვიდრებელი ინოვაციური მეთოდების შემუშავების უნარი.

კომპეტენციები:

1. ღარბოზრივი კომპეტენციები:

საგნის ცოდნა და გაცნობიერება (გააზრება):

- თეატრმცოდნეობის საგნის ბუნებისა და თავისებურების ცოდნა და გაცნობიერება;
- თეატრმცოდნეობის საგნის მიმართულებების დიფერენციაციისა და თვითეულის შესწავლის სფეროს ლოგიკური და გაცნობიერებული გამოჯგვის უნარი;
- თეატრმცოდნეობის სფეროს ისტორიული განვითარების გზების ცოდნისა და გაცნობიერების უნარი;
- დრამისა და თეატრის თეორიის კუთხით თეატრმცოდნეობის საგნის თავისებურებების გააზრებისა და გაცნობიერების უნარი;
- თეატრალური ხელოვნების დრამატული და იკონოგრაფიული ასპექტების დიფერენციაციისა და სინთეზირების უნარი;
- თეატრის სხვადასხვა საშემსრულებლო ასპექტის – რეჟისურის, მსახიობის ხელოვნების, სცენოგრაფიისა და სასცენო დიზაინის, ფუნქციონირების წინაპირობების, წესების, ესთეტიკისა და სხვა ფაქტორების სამეცნიერო დონეზე გაცნობიერებისა და ამის საფუძველზე განახლებული ცოდნის შექმნის უნარი;
- თეატრალური პროცესის, მოვლენის შეფასების, ანალიზისა და კვალიფიციირების უნარი;
- თეატრის სამეცნიერო შემეცნების კუთხით, საგნის ცოდნისა და გაცნობიერებაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის შექმნის უნარი;
- სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით თეატრმცოდნეობის საგნის ანალიზისა და თეორიული შესწავლის უნარი;
- თეატრის ისტორიული განვითარების გზაზე შესწავლილ და გამოვლენილ კანონზომიერებათა გაცნობიერებისა და ახალ კანონზომიერებათა შემჩნევის, გამოკვეთის და მათ ნიშან-თვისებათა ლოგიკური ახსნა-დასაბუთების უნარი;
- თეატრის ლიტერატურული, თეორიული და სადადგმო-საშემსრულებლო ასპექტების დიფერენცირებულად თი სინთეზურად შესწავლისა და გაცნობიერების უნარი;
- თანამედროვე თეატრალური პროცესის მეცნიერული ანალიზის უნარი;
- თეატრის თანამედროვე თეორიათა გააზრებული ცოდნის, გაცნობიერებისა და მათზე დაყრდნობით ახალი ცოდნის შექმნის უნარი;
- თეატრის თანამედროვე პროცესების ისტორიულ კონტექსტთან მიმართებაში ხედვის, ანალიზისა და ახალი კუთხით წარმოჩენის უნარი;
- ხელოვნების თანამედროვე თეორიათა ცოდნის, გაცნობიერებისა და თეატრის კვლევისას შემქმედებითი გამოყენების უნარი;
- შესასწავლ საკითხთა წრიდან და მისი კონკრეტული სპეციფიკიდან გამომდინარე, სწორი და ადეკვატური მეთოდოლოგიური მიდგომის შერჩევის უნარი;
- თეატრმცოდნეობის საგნის შესწავლისას სხვადასხვა ტიპის მეთოდთა სინთეზირების უნარი;

- თეატრმცოდნეობის საგნის ინტერდისციპლინარული მიდგომებით კვლევის უნარი;
- თეატრის სოციალური ასპექტების ცოდნის, გაცნობიერებისა და მათი გათვალისწინებით ახალი ცოდნის შექმნის უნარი;
- თეატრის ესთეტიკური და ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი ასპექტების ცოდნისა და გაცნობიერების უნარი;
- თეატრის წარმომავლობის სხვადასხვა თეორიის ცოდნისა და გაცნობიერების და ახალი სამაცნიერო ცოდნის შექმნის უნარი;
- თეატრალური ხელოვნების საკომუნიკაციო ასპექტების ინტეგრირებულად თუ დიფერენცირებულად კვლევის უნარი;
- თეატრის ნიუმური ბუნების კვლევისა და გაცნობიერების, ახალი ცოდნის შესაქმნელად გამოყენების უნარი.
- თეატრის ანთროპოლოგიური კვლევის სხვადასხვა სპეციფიკის სპეციფიკის კვლევისა და გაცნობიერების უნარი და სხვ.

პრაქტიკასთან დაკავშირებული კომპეტენციები:

- შექმნილი ცოდნის ორალურ სამეცნიერო საკომუნიკაციო პრაქტიკაში – კონფერენციებზე, დისკუტებზე, სემინარებზე და სხვ. დემონსტრაციის უნარი;
- შექმნილი ცოდნის, ორიგინალური სამეცნიერო თვალსაზრისის წერილობით სამეცნიერო პრაქტიკაში სხვადასხვა სახით გადმოცემის უნარი – სამეცნიერო წერილის, მონოგრაფიისა და ა.შ.;
- პრაქტიკული დაკვირვებისა და გამოცდილების ანალიზისა და სინთეზის გზით თეორიულ ცოდნად ქცევის უნარი;
- აღწერითი, სტატისტიკური, ფსიქო-სოციალური, ესთეტიკური და სხვა ხასითის მიდგომებითა და მეთოდოლოგიებით თეატრალური პროცესის პრაქტიკულ მონაცემთა და მანევრებლეთა სამეცნიერო ანალიზისათვის შეგროვებისა და კლასიფიკაციის უნარი;
- თეატრის სამეცნიერო კვლევის სფეროში შექმნილი თუ შექმნილი ცოდნის პედაგოგიურ პრაქტიკაში გაზიარების უნარი;
- სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალებთან თეატრის სფეროში პრაქტიკული კვალიფიციური კონსულტაციების წარმოების უნარი;
- თეატრის სფეროში შექმნილი ახალი ცოდნის თეატრის პრაქტიკოს-პროფესიონალთათვის პრაქტიკაში დასანერგად გადაცემის უნარი;
- თეატრალურ ლაბორატორიაში მიმდინარე ძიების პროცესების თეორიული შეფასებისა და ანალიზის უნარი;
- სახელმძღვანელოების პრაქტიკაში დასანერგად შექმნის უნარი;
- დამხმარე სახელმძღვანელოების, პროგრამების, სხვა სასწავლო რესურსების
- პედაგოგიური პრაქტიკისათვის შექმნის უნარი;

2. ზოგადი კომპეტენციები:

- სამეცნიერო კვლევა-ძიების წარმოების კომპეტენცია;
- დარგში არსებული ცოდნის ადეკვატური აღქმისა და ანალიზის უნარი;
- არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით განახლებული ან ახალი ცოდნის შექმნის უნარი;

- სამეცნიერო სტანდარტების გათვალისწინებით პუბლიკაციის მომზადების უნარი;
- ორალური და წერილობითი საშუალებებითა და ფორმებით სამეცნიერო სფეროში კომუნიკაციის უნარი;
- სამეცნიერო დისპუტებისა და დებატების წარმოების უნარი;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სამეცნიერო კვლევადიების პროცესში გამოყენების უნარი;
- სამეცნიერო კვებისათვის მასალების მოძიების პროცესში ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენების კომპეტენცია;
- ინტერდისციპლინარული მიდგომებით ჰუმანიტარული კვლევის წარმოების კომპეტენცია;
- სამეცნიერო კულტურისა და ღირებულებების გაცნობიერებული ცოდნა;
- სამეცნიერო ეთიკის ნორმების ცოდნისა და დაცვის კომპეტენცია;
- ახალი სამეცნიერო იდეების გენერირების უნარი;
- პრაქტიკაში არსებულ ტენდენციათა შემნევისა და კვლევის უნარი;
- სამეცნიერო საზოგადოებასთან ურთიერთობის უნარი;
- სოციალური და სამეცნიერო პასუხისმგებლობის გაცნობიერების უნარი;
- სამეცნიერო საქმიანობის თანმიმდევრული და მიზანმიმართული წარმოების უნარი;
- შესრულებული სამუშაოს კრიტიკული შეფასების უნარი;
- სამუშაოს სტაბილური სამეცნიერო ხარისხის შენარჩუნების უნარი;
- თანამედროვე გარემოში ადეკვატური ორიენტაციისა და კომუნიკაციის უნარი;
- ჯგუფური სამეცნიერო პროექტებისა და აქციების ინიცირების უნარი;
- ურთიერთობების დემოკრატიული და გუნდური პრინციპების დაცვის უნარი და სხვ.

პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები

პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების ძირითად სფეროდ მიგვაჩნია საქართველოში არსებული უნივერსიტეტები და ინსტიტუტები, ასევე, კულტურისა და განათლების დაგეგმვისა და მართვის სხვადასხვა ორგანოები - სამინისტროები, დეპარტამენტები და სხვ. კურსდამთავრებულებს შეუძლიათ გახდნენ კვალიფიცირებული გამომცემელ-რედაქტორები, ხელოვნებისა და კულტურის კონსულტანტები სხვადასხვა ტიპის მედიაში, ასევე დაიკავონ ადმინისტრაციული თანამდებობები თეატრებსა და კულტურასთან და თეატრთან ასოცირებულ სხვა დაწესებულებებში.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სადოქტორო პროგრამის დოქტორანტები იყენებენ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ცენტრს. ამასთანავე, უნივერსიტეტში არსებობს ფილმოთეკა, გამომცემლობა „კენტავრი“, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“, ყოველწლიური კონფერენციები. შესაძლებელია მათი მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებსა და თემატურ ფორუმებში.

უნივერსიტეტში არსებობს პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მის ფინანსურ სტაბილურობას. ფინანსური გეგმა ასახულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში.

სადოქტორო პროგრამის რეზიუმე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა თეატრმცოდნეობაში მოიცავს სამ პრიორიტეტულ კვლევით სფეროს – მსოფლიო თეატრის ისტორიას, წარმოდგენილს მოდულით „მსოფლიო თეატრი – ეპოქები, ეტაპები, ასპექტები“, რომელიც მიზნად ისახავს მეცნიერ-მკვლევარების მომზადებას თეატრის ისტორიის კვლევის მიმართულებით, ეს თეატრმცოდნეობის ერთ ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომელიც სფეროს განვითარებას მის ისტორიულ დინამიკაში სწავლობს. თეატრის ისტორიის კვლევის მეთოდოლოგიები მუდმივად ვითარდება, ითვისებს ინტერდისციპლინარულ მიდგომებს, თეატრის ისტორიის სხვადასხვა პოზიციით გააზრების ტენდენციებს, ქმნის ახალ სამეცნიერო ცოდნას უახლეს მსოფლიო თეატრალურ პროცესებზე და ა.შ.

მეორე უძველესი და მუდმივად აქტუალური სფერო დრამისა და თეატრის თეორიაა, რომელიც პროგრამაში წარმოდგენილია მოდულით „დრამისა და თეატრის თეორია“. მოდული ითვალისწინებს სემინარებს, რომლებიც ინფორმაციულად და კონცეპტუალურად მოიცავს თეატრის თეორიული შესწავლის გზას უძველესი ნიმუშებით დაწყებული, თანამედროვე თეორიებით დამთავრებული. თეატრის ისტორიასთან ერთად დრამის თეორია წარდმოაგდენს თეატრმცოდნეობის ერთ ერთ ფუნდამენტურ მიმართულებას, რომელიც დინამიკური თეატრალური პროცესის თანმხლებ თეორიულ ფენომენს წარმოადგენს.

პროგრამის მესამე მოდული - თანამედროვე ქართული თეატრი – პრიორიტეტულია როგორც თემატიკით, ისე შესასწავლი პერიოდით – 90-იანი 2000-იანი წლების სათეატრო პროცესი საქართველოში. ეს პერიოდი საქართველოს რეალობაში სრულიად ახალი ისტორიული პარადიგმის ფორმირებას მოიცავს. ცვლილებები შეეხო სოციალურ-პოლიტიკურად ისეთ მგრძობიარე ფენომენსაც, როგორც თეატრია. შეიქმნა ახალი საორგანიზაციო ფორმები, საშემსრულებლო ესთეტიკა, დრამატურგია, განვითარდა ახალი სტილისტური და ესთეტიკური პროცესები. ეს ყოველივე სამეცნიერო დონეზე შესწავლას, ანალიზსა და თეატრმცოდნეობით ცოდნად გარდაქმნას საჭიროებს. პოსტსაბჭოთა პროცესების შესწავლა უკანასკნელი 20-წლეულის განმავლობაში მრავალ სამეცნიერო დარგში შესწავლის პრიორიტეტულ საგანს წარმოადგენს.

პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდგომ დოქტორანტს ენიჭება აკადემიური ხარისხი **ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (თეატრმცოდნეობა) , PhD in Arts Sciences (Theatre Sciences)**

პროგრამული კონცენტრაცია: კინომცოდნეობა

კინოკულტურა და მხატვრულ-ისტორიული პარადიგმები

Film Culture and Feature-Historic Paradigms
Ph.D. Program in Arts Sciences (Film Sciences)

სადოქტორო პროგრამის საკვალიზიპაციო დახასიათება

ახალი ეპოქის დადგომასთან ერთად გაჩნდა ქართული და მსოფლიო კინოს ისტორიის გადახედვის აუცილებლობა და ის, რაც უკვე არაერთხელ შეფასებულა, არაერთი მკვლევარის ინტერესის სფეროში მოექცა, გადავაფასოთ, გამოვძინარე იქიდან, რომ ისტორიას თავიდან დაწერა სჭირდება, რაც ფაქტებისა და მოვლენების გადაფასებას, ახალი რაკურსით განხილვას, ახალი მეთოდოლოგიით შესწავლას გულისხმობს და თანამედროვეობის მოთხოვნილებებითაა გამოწვეული.

სადოქტორო პროგრამის მთავარი მიზანია – საკითხებისა და პრობლემების ახალი კუთხით დამუშავება და შესწავლა ახალ ჭრილში, ვინაიდან, გარდა იმისა, რომ არსებობს თანამედროვე კვლევების ახალი მეთოდები და ხერხები, რომლების ათვისება-გამოყენება აუცილებელია, ქართულ კინომცოდნეობაში (ისევე, როგორც საერთოდ ტრადიციულ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, რომელსაც თან ახალ-ახალ დარგები და მიმართულებები ემატება), ბევრი რამ, ისტორიული გარემოებებიდან გამომდინარე, ან არასწორად, ან არასაკმარისად ან საერთოდ შეუსწავლელ-დაუმუშავებელი დარჩა, ბევრი რამ მსოფლიო კულტურის საერთო განვითარების კონტექსტიდან განცალკევებით.

აუცილებელი გახდა ამ საკითხების ახალი მიდგომით განხილვა და იმის გათვალისწინება, რომ ისტორია და ხელოვნება ერთანეთის განუყრელი თანამგზავრები არიან, ამდენად, ხელოვნების დაყოფა, განცალკევება – ფაქტობრივი ისტორიული მოვლენების ამსახველ და თანამედროვე ადამიანის შესახებ შექმნილ ნაწარმოებებად, მცდარი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ დამოკიდებულება ხელოვნების ქმნილების მიმართ, როდესაც მას წლების ინტერვალის შემდეგ უყურებ, თავისთავად გულისხმობს ისტორიზმის მომენტს, თუმცა, თავისთავად, თანადროულობაც უკვე იმ ეპოქის დროის გამომხატველია, როდესაც ესა თუ ის ნაწარმოები იქმნება. ამდენად, უნდა ითქვას, რომ არ არსებობს ფილმები „თანამედროვე“ და „ისტორიული“, არამედ არსებობს ფილმები, რომლებიც ადამიანის შესახებ, მის შინაგან სამყაროსა და გარემოსთან, საზოგადოების მიმართ დამოკიდებულებაზე მოგვითხრობენ ან წარსულში ან აწმყოში.

კოლექტიური, პრაქტიკული გამოცდილება, როგორც უნდა იყოს ის, მრავალი თაობის მიერ გროვდება, ამიტომ მხოლოდ ის განიხილება, როგორც საკმარისად საიმედო.

ამდენად, მნიშვნელოვანია ქართული და მსოფლიო კინოს ისტორიის ახლებური გააზრება, ზოგიერთი, აქამდე დავიწყებული ფილმის ახალ ჭრილში აღქმა და მათი „ისტორიული კონტექსტის“ წარმოჩენა; ძველი და უკვე ტრაფარეტად ქცეული ტენდენციების, კლიშეების ახსნა.

სადოქტორო პროგრამის მიზანი:

- თანამედროვე ტიპის მკვლევარი-მეცნიერის – თეორეტიკოსისა და კინოს ისტორიკოს-თეორეტიკოსის აღზრდა;
- დოქტორანტიის ქართული და მსოფლიო კინოს ისტორიასა და კინოს თეორიაში ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის მიცემა;
- დოქტორანტიის მეცნიერული ნაშრომისა და მეცნიერული სტატიის მომზადებისა და დაწერის სწავლება;
- დოქტორანტში კრიტიკული აზროვნების უნარის, სათანადო პროფესიული ჩვევების გამომუშავება;
- დოქტორანტიის სადოქტორო დისერტაციის დამუშავებაში, შესრულებაში, დაცვასა და აკადემიური ხარისხის (PhD) მოპოვებაში ხელშეწყობა;
- დოქტორანტის უმაღლეს სასწავლებელში აკადემიური, პედაგოგიური მოღვაწეობის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის მომზადება;
- დამოუკიდებელი მეცნიერ-მკვლევარის აღზრდა, რომელიც შეძლებს ქართულ და მსოფლიო კულტურაში მიმდინარე პროცესებისა და ახალი ტენდენციების აღმოჩენასა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის მაღალ დონეზე გაზიარებას

პროგრამის კონცეფცია

კინომცოდნეობის სადოქტორო პროგრამა „კინოკულტურა და მხატვრული ისტორიული პარადიგმები“ აერთიანებს სამ ძირითად სასწავლო-კვლევით მიმართულებას:

- 1. ქართული კინო მითოლოგიურ-ფოლკლორულ ასპექტებში*
- 2. მსოფლიო კინოს ისტორია*
- 3. კინო და ცენზურა*

სადოქტორო პროგრამის სტუდენტი I სემესტრის დასაწყისში ირჩევს პროგრამით შემოთავაზებული მოდულებიდან ერთ-ერთს. თითოეული მოდული და მასში შემავალი დისციპლინები მოიცავს იმ კვლევით პრობლემებს, რომელზეც მუშაობს კონკრეტული პროფესორი და რომელი მიმართულებითაც მას სურს დოქტორანტების მიღება. ამ ეტაპზე სტუდენტი ირჩევს სადოქტორო საკვლევ თემასა და ხელმძღვანელს. შემდეგ სტუდენტი ამზადებს დისერტაციის პროექტს, ათანხმებს ხელმძღვანელთან და II სემესტრის ბოლოს ან III სემესტრის დასაწყისში სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს.

პროგრამით გათვალისწინებული სავარაუდო საკვლევო საკითხები

პროგრამის საკვლევო თემატიკა სამ კონკრეტულ მიმართულებასა და შესაბამის საკითხებს მოიცავს:

1. მსოფლიო კინოს ისტორია:

სავარაუდო საკვლევ პრობლემებად მოიაზრება მსოფლიო კინოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპი, კინოჟანრების თავისებურებები, გამოჩენილი კინორეჟისორებისა და სხვა კინემატოგრაფისტების შემოქმედება, კინოს სპეციფიკური ტენდენციები, კინოენის არსისა და ესთეტიკური კონცეფციების ანალიზი, კინემატოგრაფიული ფორმების, მხატვრულ-სტილური მოდელებისა თუ

მოდულიზაციათა განვრცობის კანონზომიერებათა ისტორიული კვლევა, კინოს ტექნოლოგიური განვითარების ზემოქმედება და გავლენა კინოესთეტიკაზე და ა. შ.

მსოფლიო კინოს ისტორიის შესწავლისათვის აუცილებელია მისი პირველი ნაბიჯების გაანალიზება, კულტურულ ცხოვრებაში მისი როლის გააზრება, ტექნიკური გამოგონებიდან ხელოვნების დარგად გადაქცევის პროცესის განხილვა და სათანადო დასკვნების გამოტანა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მის წიაღში აღმოცენებული მხატვრული მიმდინარეობების არსის განსაზღვრა, კინოს სხვადასხვა სახეობების (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, სამეცნიერო-პოპულარული, სასწავლო) არქიტექტონიკისა და ფორმების საფუძვლიანი გაანალიზება. მიზანმიმართული და საჭიროა კინოს, როგორც ფენომენის არსის განხილვა მსოფლიოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკურსა და კულტურული განვითარების ასპექტების ჭრილში, რადგან ამ გარემოებებმაც არანაკლები როლი ითამაშეს მისი წინსვლის საპასუხისმგებლო საქმეში.

ყოველივე ამის პარალელურად, მსოფლიო კინოს ისტორიისათვის აუცილებელია კინოს ზოგადთეორიული საკითხების გაცნობა-შესწავლა. ამ მიზნით სასურველია ცნობილი კინოთეორეტიკოსების ნაშრომების გაცნობა, რათა გაირკვეს თავად კინოს თეორიის გარკვეული მიზანშეწონილობა და დანიშნულება იმ დოქტორანტებისათვის, რომლებიც მსოფლიო კინოს ისტორიის მიმართულებით მუშაობენ.

2. კინო და ცენზურა

მიმართულების სასწავლო-კვლევითი პრობლემატიკა ეხება კონკრეტულ საკითხებს: კინოხელოვნების ისტორიისა და მეოცე საუკუნის ისტორიის ურთიერთმიმართება კონკრეტულ ეპოქებში და პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის ისტორიასა და ნაციზმის ისტორიაში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული კინოს ისტორია, ქართული კინოს იგავისებური ენა, რომელიც ცენზურასთან „ურთიერთობის“ ფორმად ჩამოყალიბდა.

ხელოვანი, რომელსაც მოღვაწეობა საბჭოთა ცენზურის პირობებში უხდებოდა, იძულებული იყო, ან დამორჩილებოდა გაბატონებულ იდეოლოგიას, ან ეპოვა ის გზები, ანუ ის მხატვრული ფორმები, რომელთა მეშვეობითაც იგი თავის ნამდვილ სათქმელს იტყოდა. მათი ნამუშევრების თავისებურებაც, ამ გარემოებებმა განაპირობა.

ეს პრობლემატიკა კინოს ისტორიის დარგში საკითხის მრავალი კუთხითა და მრავალი ასპექტით შესწავლას მოითხოვს და სწორედ ეს განაპირობებს დოქტორანტთა საკვლევი თემების მრავალფეროვნებას.

პროგრამა საკვლევ თემატიკას ფარგლავს კონკრეტული პერიოდით: მეოცე საუკუნის კინოს ისტორია, კინოს სოციოლოგია, ქართული და მსოფლიო კინოს ისტორიის ახლებური გააზრება. ამავე დროს, პროგრამა შესაძლებლობას იძლევა მოიცვას ისტორიული მეცნიერებები, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ლიტერატურის, თეატრის, სახვითი ხელოვნების ისტორია.

განიხილება ცენზურის ისტორია ხელოვნების სხვა დარგებში. ის, თუ რა როლს ასრულებდა დამკვეთი და როგორი იყო მისი ურთიერთობა ხელოვანთან; ცენზურის დასხვა ეპოქაში.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია მიენიჭება ისეთ საკითხებს, როგორცაა ცენზურის როლი ე.წ. უშინაარსო ხელოვნებაში – მუსიკა, არქიტექტურა და იმას, რომ ხშირად აქ „ცენზორის“ როლს არა დამკვეთი, არა სახელმწიფო, არამედ პუბლიკა ასრულებს.

ცენზურის ისტორიის საინტერესო ფურცელია XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისი, როცა სსრკ-ში იკრძალება „მიმართულებები“, „ფორმალიზმად“ და „ბურჟუაზიულ გადმონაშთად“ ცხადდება და ძალაში მოდის ერთიანი მხატვრული მეთოდი – სოციალისტური რეალიზმი, როგორც იდეოლოგიის მთავარი საყრდენი.

საკვლევ თემათა შორის შეიძლება იყოს „მთავლიტის“ თანამდებობა კინოში და მისი გავლენის, უფლებამოსილების სფეროები, უშულო ჩარევა კინოფილმის ბედში – სცენარიდან საბოლოო პროდუქტამდე – ფილმამდე და აკრძალვის ფორმების იტორი, როგორც მთლიანობაში ქართული-საბჭოთა კინოს თავისებური ისტორიის, მისი არსებობის განმსაზღვრელის ანალიზი.

საკვლევი თემების ერთ-ერთი მიმართულებაა სტალინური კინოხელოვნების მოდელები, ისტორიულ ფონზე და მეორე მხრივ, ზოგიერთ შემთხვევაში, კინოს გარკვეული გავლენა ისტორიულ მოვლენებზე.

მნიშვნელოვანია, სტალინის ეპოქის ისეთი პროდუქტის, როგორცაა – „უკონფლიქტობის ეპოქა“ და მისი არსებობის მიზეზების გაანალიზება-შესწავლა, არა მხოლოდ ისტორიული კუთხით, არამედ წმინდა თეორიული კონცეფციებითაც, ვინაიდან, ამ ეპოქაში ქართული (საბჭოთა კინო) ახალ ფორმასა და სტილს იძენს, ახალ მხატვრულ სახეებს ქმნის და ახალ ტენდენციებს აყალიბებს.

ერთ-ერთი საკვლევი თემა შესაძლებელია იყოს – საზოგადოების, როგორც ცენზორის, პრობლემის აქტუალურობა, რომელიც ამ თვისებას დღესაც არ კარგავს და არატოტალიტარულ სახელმწიფოშიც კი, ბევრი მოვლენისა თუ ფაქტის განმსაზღვრელია. ამ საკითხებზე მსჯელობა იწყება უფრო საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, როცა ხელისუფლება აღარ აკონტროლებს კინოს.

აღსანიშნავია, ამ საზოგადოების ნაწილს წარმოადგენს პროდიუსერიც, რომელიც ევროპასა თუ ამერიკაში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც, ცენზორია გარკვეული თვალსაზრისით.

რეჟისორისა და პროდიუსერის, როგორც ცენზორის, ურთიერთობის საკითხი თითქმის სრულაიდ გამოუკვლეველია კინოს თეორიაში, ისევე, როგორც გამოუკვლეველია საზოგადოების, მედიის როლი... მაგალითად, რას უკვეთავს პუბლიკა კინოს და რის წინააღმდეგ იბრძვის... რა არის თვითცენზურა? 90-იანი წლების ქართული კინო მდიდარია მაგალითებით, რომლებიც ამ თემის კვლევის საშუალებას იძლევა.

3. ქართული კინო მითოლოგიურ-ფოლკლორულ ასპექტებში

საკვლევი თემა და მასში შემავალი პრობლემატიკა შეიცავს ეროვნულ (და მსოფლიო) კინემატორგაფში მითისა და მასთან დაკავშირებული

ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის აღმოცენებისა და ტრანსფორმირების მიზეზებსა და შედეგების კვლევა-შესწავლას.

საკვლევ თემა შეიძლება იყოს მითის შექმნის მიზეზები და კინემატოგრაფში მათი ადგილის დამკვიდრების შემთხვევები, რასაც გარკვეული განსხვავებები აქვს და გამომდინარეობს იქიდან, თუ რა რეალური, თუნდაც სულიერ კავშირშია სამყარო იმ მომენტში, როდესაც ესა თუ ის მითი იქმნება. მითში ჩადებულია წინაპართა სიბრძნის რწმენა, ამიტომ გარე სამყაროს ფაქტების გაცნობიერება რწმენის საქმე ხდება, ის კი შევრძნებებს არ ექვემდებარება, არ საჭიროებს.

არჩევანი შეიძლება შეეხოს, ეროვნულ კინოში XX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანების წლების დასაწყისში გაჩენილ ტენდენციებს, ვინაიდან მითოსი შეიცავს დაფარულ საზრისს, ფანტასტიკური სახეებისა და წარმოდგენების მიღმა არსებულს. ამ საზრისის წვდომასა და გამოვლენას ისახავს მიზნად თანამედროვე მეცნიერული ანალიზიც. მაგრამ ამავე დროს, ხაზგასმით აღინიშნება, რომ თანამედროვე გონება ვერ მოიცავს ადამიანის კულტურული არსებობის ყველა ფორმას, მითოსის სტრუქტურა ვერ დახასიათდება, როგორც რაციონალური.

ასეთ ვითარებაში სათქმელის შეფარვის გზები გამართლებული იყო და მეორე მხრივ, ახალ ფორმებს იძენდა, ვინაიდან, ლეგენდა და მითი – ორივე ისტორიულ ამბებს გვამცნობს, მაგრამ მითი ბურუსით მოცულ წარსულს განეკუთვნება. აქედან ჩნდება ცნება „მითიური დრო“ ანუ დრო, როდესაც სამყარო უფრო სხვანაირად გამოიყურებოდა. ლეგენდას საქმე ისტორიულ პერსონაჟებთან აქვს, ის განეკუთვნება განსაზღვრულ ადგილს და შეიძლება დროსაც, დაკავშირებულია მოვლენის რიტუალურ ან სოციალურ მნიშვნელობასთან. ამდენად, საკვლევ ობიექტად, ეს მიმართულება (და მისი განშტოებების) არჩევაა შესაძლებელი.

ერთ-ერთი თემა შეიძლება იყოს დროისა და ახალი მითოლოგიური სისტემების დაბადება, ვინაიდან ყველა დრო საკუთარ მითებს ქმნის და თანამედროვე მითების გმირებს იმ ახალ რეალობასთან უწევთ შეგუება, როდესაც მითის თანამედროვე შემოქმედნი ცხოვრობენ და ქმნიან. ანუ ქმნიან თანამედროვე მოდელს.

თუ მხატვრული ნაწარმოები მოდელირებული სინამდვილეა, ე.ი. თუ სინამდვილე წარმოადგენს სამყაროს კანონების მიხედვით მოდელირებულ მხატვრულ ნაწარმოებს, ეს ხელს არ უშლის, რომ მხატვრული ნაწარმოები დროებით დასცილდეს მასში ასახულ სინამდვილეს და საკუთარ თავში წარმოადგინოს საკუთარი კონსტრუირების იმანენტური პრინციპი, ე.ი. იქცეს როგორც საკუთარი ცალკეული მომენტების, ასევე ყოველივე იმის მოდელად, რაც მის სფეროშიმოქცა. დოქტორანტს საკვლევ თემად ამ პრობლემების შესწავლა დამუშავებას ვთავაზობთ.

საინტერესოა და არსებითი იმ პროცესების თვალის მიდევნება და ანალიზი, როდესაც შემდეგ, ერთგვარ მითოლოგიურ „ჩვენად“ ქცეული შემოქმედი კვლავ „მეს“ ნიშნიან პერსონად იქცა და მან დაიწყო, მითოლოგიური სამყაროს პერსონაჟთა მსგავსად – ადამიანებთან შინაგანი თვისებების ამოტანა, ყველაფრის განუმეორებლის, განსაკუთრებულის ძიება, ის, რაც ახლოს იყო გამომხატველ ბუნებასთან, საკუთარ თავთან, ერის თვისებებთან. ჯერ

კომუნიზმის აჩრდილმა და შემდეგ ევროპაში (50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანების დასაწყისში) დაწყებულმა მოძრაობამ, ახლებურად შეფასებულმა სამყარომ, ახალმა იმედებმა, ახალმა ტალღამ, ქართველ ხელოვანთა და კინემატოგრაფისტთა რიგებშიც, შეიძლება პირდაპირი არა, მაგრამ უხილავი პასიონალური კავშირები დაამყარა.

რამდენად ჯდება ამ სისტემაში ქართული ეროვნული ხასიათი, ან ის გზა, რომელიც კულტურათა გზაგასაყარზე – ევროპა-აზიის აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვარზე მდგომმა საქართველომ განიცადა – მითური – უხსოვარი დროიდან დღემდე? რა ცვლილებები განიცადა ქართულმა ხასიათმა და შესაბამისად, ეროვნულმა კულტურამ საქართველოში კინემატოგრაფიული ნიმუშები დაბადა?

ამასთან, დროის ცვალებადობასთან ერთად, იცვლება დამოკიდებულება მხატვრული ნაწარმოების მიმართ, რაც მისი აღქმის თავისებურებებს განსაზღვრავს.

ამ საკითხების კვლევა იქნება პრიორიტეტული კონკრეტული მოღულის ფარგლებში.

სადოქტორო პროგრამის შედეგები

ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი და მასთან ერთად, ცვლილებები საზოგადოებრივ-კულტურულ-ეკონომიკურ სფეროებში, ინტეგრაცია მსოფლიოსთან და ცხოვრების ევროპულ წესსზე გადასვლა, ცვლილებები საგანმანათლებლო სფეროში და მეცნიერულ კვლევებში, ბუნებრივია, კინემატოგრაფზეც (როგორც ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე გახსნილ, სოციალურად აქტიურ და მობილურ დარგზე) აისახება და მუდმივად განახლებულ მიდგომას მოითხოვს. თანამედროვე (უახლესი) კინორეჟისურა და შესაბამისად, კინომცოდნეობა, ერთი მხრივ, ზედმიწევნით განათლებული და თეორიული ცოდნით შეიარაღებული პროფესიონალების არსებობას გულისხმობს, რასაც, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მსოფლიო კინობაზარზე (რეალობის მთელი სპექტრის გათვალისწინებით) მიმდინარე პროცესები კარნახობს და მეორე მხრივ, გულისხმობს კინომცოდნეს, რომელიც უახლესი და კლასიკური თეორიულ-ისტორიული ცოდნითაა აღჭურვილი.

სადოქტორო პროგრამის სრული კურსის დასრულებისა და სადოქტორო ნაშრომის მომზადების შემდეგ:

- დოქტორანტი შექმნის დისერტაციას, რომელიც იქნება ახალი სამეცნიერო მეთოდოლოგიით, საკითხის მიმართ ახლებური რაკურსით. არსითა და ფორმით დაწერილი ნაშრომი კინომცოდნეობაში,
- მიღებული ცოდნა კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს თავისი წვლილი შეიტანოს ქართული და მსოფლიო კინოს ისტორიისა და თეორიის ახლებურად შესწავლა-დაწერაში;
- კურსდამთავრებული შეძლებს კინოს სოციოლოგიის, კინოფილმის, კინოხელოვნების საზოგადოებაზე ზემოქმედების უკეთ გააზრებასა და ამ საკითხებზე მუშაობის გაგრძელებას;
- ექნება ქართული და მსოფლიო კინოს ისტორიისა და თეორიის (და თეორიის ისტორიის) საფუძვლიანი ცოდნა;

- გამოიმუშავებს საკვლევი მასალის, პრობლემების მიმართ ინტერდისციპლინარული მიდგომას;
- კარგად გაიაზრებს და გააცნობიერებს კინოს ისტორიისა და თეორიის, პოლიტიკურ-სოციალური და ისტორიული მიმართებებისა და კინოხელოვნების ურთიერთობის საკითხებს;
- ეცოდინება კინოს თეორიის მნიშვნელოვანი საკითხები და გამოიმუშავებს კინოხელოვნების ნიმუშის, ამა თუ იმ მიმდინარეობის, მოვლენის აღქმისა და განსჯის, ანალიზის უნარს;
- ექნება კინემატორგაფის, კინოთეორიისა და კინემატოგრაფის თეორიული შესწავლის სფეროში მიმდინარე პროცესების ღრმა ცოდნა;
- ეცოდინება ის მნიშვნელოვანი, პრიორიტეტული და მეორეხარისხოვანი ფაქტები თუ მოვლენები, ტენდენციები და მიმდინარეობები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ კინოს ისტორიაში;
- შეძლებს წერითი და ზეპირი ფორმით მხატვრული ნაწარმოების მეცნიერულ გაანალიზებას და თეორიული მაგალითების, ცოდნის გამოყენებას ამა თუ იმ კინემატოგრაფიული მოვლენის, ფაქტის ანალიზის პროცესში;
- აიმაღლებს წერის კულტურასა და ახალ უნარ-ჩვევებს შეიძენს;
- გაუჩნდება შემოქმედებითი მიდგომა კინოსა და საზოგადოდ ხელოვნების ნაწარმოების მიმართ;
- გამოუმუშავდება უმაღლეს სასწავლებელში სალექციო კურსების მაღალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე წარმართვის უნარ-ჩვევები;
- გამოიმუშავებს კრიტიკული დამოკიდებულების უნარ-ჩვევებს;
- ეცოდინება კინოს თანამედროვე თეორიებისა და თეორიის კლასიკოსების ნაშრომები, მნიშვნელოვანი თეორიული საკითხები, როგორც კინემატოგრაფის, ასევე ზოგადკულტუროლოგიურ, თანამედროვე ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ მოძღვრებათა სფეროებში;
- შეძლებს ცოდნის გამოყენებას ამა თუ იმ კინემატოგრაფიული მოვლენის, ფაქტის, არტეფაქტის ანალიზის პროცესში

სადოქტორო პროგრამის კვალიფიკაციის აღმწერი (დუსპრიპტორი):

ცოდნა და გაცნობიერება

სწავლების სრული კურსის გავლის შემდეგ, დოქტორანტს აქვს: კინომცოდნეობის, როგორც როგორც ისტორიული, ასევე თეორიული, შემოქმედებითი კანონებისა და პრინციპების ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც მას საშუალებას მისცემს, ერთი მხრივ, დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა სწავლის პერიოდში მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით; ამავე დროს, ეს ცოდნა გადასცეს ახალგაზრდა მეკვლევარებს (ბაკალავრიატისა თუ მაგისტრატურის საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებს, პროფესიული პროგრამების თუ სხვა ტიპის სახელოვნებო სასწავლებლების მსმენელებს); დარგის სპეციფიკის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

სწავლის პერიოდში მიღებული გამოცდილება დოქტორანტს გაუღრმავებს ცოდნას კინოსა და ტელევიზიის, როგორც შემოქმედებითი მოვლენისა და როგორც ინდუსტრიის; ხელოვნების, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისგან განუყოფელი სფეროსა და შემოქმედებით-პრაქტიკულ შესაძლებლობების მქონე მოვლენაში შემოქმედებითი პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მიღებული ცოდნა და სწავლის დროს პრაქტიკაში გამოყენებული (იქნება ეს, უშუალოდ სწავლების – სალექციო – პროცესი და მათი მიმდინარეობისას მიღებული ანალიტიკური დაკვირვება და თეორიული ანალიზი, პლუს – პარალელურ რეჟიმში მიღებული განათლება ხელოვნებისა თუ მეცნიერების სხვა დარგებში) გამოცდილება, დოქტორანტს შესაძლებლობას მისცემს, პრაქტიკულ-შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად, მის პარალელურად, აწარმოოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ქართული თუ მსოფლიო კინოპრობლემების, თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე პროცესების შესწავლისა და ახალი დასკვნების გაკეთების თვალსაზრისით, მათ საერთაშორისო სტანდარტებთან შესატყვისობაში მოყვანით და საკუთარი კვლევები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნების სტუდენტებისა და კინოს მკვლევართა, კინოში მოღვაწე სხვა ადამიანებისთვისაც საინტერესო გახადოს. ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, სამეცნიერო კვლევებისა და პედაგოგიური უნარ-ჩვევების ახალ და თანამედროვე კვლევის მეთოდებთან თანაზიარობა და ახალი სისტემების დანერგვა, როგორც თეორიულ-ანალიტიკური საქმიანობა, ასევე პედაგოგიკისა და თანამედროვე კინოს განვითარების გზების ძიება და ცოდნის სხვებისთვის გადაცემისთვის მზაობა.

არგუმენტებული დასკვნის უნარი

დოქტორანტს, სწავლის პროცესში მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარ-ჩვევების, კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით, შეეძლება არსებული რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი; შეუძლია მოახდინოს ახალი მიდგომების სინთეზი, რითაც კინოხელოვნების კვლევის სფეროში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება-განვითარებას შეუწყობს ხელს; მას ექნება უნარი, პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება და საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს დამატებითი რესურსები.

კომუნიკაციის უნარი

დოქტორანტისთვის კომუნიკაციისთვის საჭირო პრაქტიკულ-თეორიული უნარების ფლობა აუცილებელია. ამ უნარებს იგი გამოიყენებს როგორც მკვლევარი-მეცნიერი (ისტორიკოსი და თეორეტიკოსი), ასევე როგორც პედაგოგი (სწავლების სხვადასხვა საფეხურზე და სხვადასხვა აუდიტორიასთან ურთიერთობისას) და როგორც მეცნიერი-მკვლევარი საკვლევ მასალასა და სამეცნიერო საზოგადოებასთან (სამეცნიერო წრეები, გამომცემლობები, „საჭირო“ პროფესიონალთა გარემო, სხვა პედაგოგები) ურთიერთობებს პროცესში; შესაძლებლობების სხვებისთვის, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნის გადაცემისას.

ერთი ან ორი უცხო ენის ცოდნა, სულ მცირე, B 2 დონეზე, დოქტორანტსა და მომავალ სპეციალისტს – თეორეტიკოსსა და პედაგოგს გამოადგება კოლეგებთან, საერთაშორისო სამეცნიერ-კონფერენციებზე, სემინარებსა თუ ვორკშოპებზე, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისას გამოადგება.

სწავლის უნარი

სასწავლო პროგრამა და სწავლის პროცესი დოქტორანტს პირობას უქმნის აწარმოოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რისთვისაც იყენებს: როგორც ძირითად პროგრამულ, ასევე თანამდევ ყველა რესურსს, იქნება ეს სწავლების სალექციო ნორმებისა თუ ძირითადი საკონტაქტო საათების მიღმა დროის ორგანიზება (მუშაობა პრაქტიკაზე, მასალის მოძიება – მუზეუმებში, არქივებში,

ინტერნეტში, სპეციფიკური ლიტერატურის მიგნება-მოპოვება და დამუშავება); უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის გამოყენების ათვისება; მას შეეძლება – სალექციო და პრაქტიკულ სამუშაოებისთვის საჭირო დროის ორგანიზება და პრაქტიკულ-თეორიული მუშაობის ბადის დაგეგმვა; თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენება და ახალი სისტემების დანერგვა, როგორც თეორიულ-ანალიტიკური მუშაობის, ასევე პედაგოგიაში და ახალი სასწავლო-სამეცნიერო ჯგუფების (ორგანიზაციების) სტრუქტურაში მუშაობისა, თუ მათი შექმნის პროცესში; შესაბამისად, შეძლებს იგივე უნარების სხვისთვის გადაცემა-გაზიარების, მათი სასწავლო პროცესის დაგეგმვა-ორგანიზებას.

დოქტორანტი შეძლებს კინოს ისტორიასა და თანამედროვე კინოში, კლასიკურ და თანამედროვე თეორიებში მუდმივად განახლების პროცესებში ორიენტირებასა და ახალი აზროვნების დანერგვას თანამედროვე რეალობაში; თანამედროვე კინოსა და კინორეჟისურის ფუნქციებისა და ამოცანების, ფილმწარმოებისა და შემოქმედებით ჯგუფებთან, არქივებთან, ექსპერტებთან ურთიერთობის შესწავლასა და გამოყენებას; გამოიმუშავეს სამუშაო დროის დაგეგმვის, კვლევის პროცესის ორგანიზებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპების უნარს; კონკრეტული დარგის საზოგადოებრივ და სახელოვნებო მეცნიერებებთან ინტეგრირების, მსოფლიო კულტურასთან ერთიანი კონტექსტის აღმოჩენისა და კავშირების არსებობის საფუძვლიანად დასაბუთების უნარს.

ღირებულებები

იკვლევს კონკრეტულად, კინოხელოვნებისა და საზოგადოდ, კულტურის მნიშვნელოვან მოვლენებს და მასთან დაკავშირებულ, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას; ობიექტურად და პროფესიულად აფასებს იმ ადგილს, რომელიც კინემატოგრაფს უკავია კაცობრიობის აზროვნების ჩამოყალიბების, განვითარებისა და ცნობიერებაზე ზემოქმედების სფეროში: იკვლევს და აანალიზებს კინონაწარმოებს, მისი შექმნის წინაპირობებს რეალური გარემოებების ანალიზთან კონტექსტში და შეისწავლის კინოხელოვნებას, როგორც ლიტერატურის, სახვითი ხელოვნების, სოციოლოგიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, საზოგადოებრივი ცხოვრების, პოლიტიკის, ისტორიის განუყოფელ ნაწილს, მისი განვითარებისა და მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე.

სადოქტორო პროგრამის კომპეტენციები:

საგნის ცოდნა და გაცნობიერება (გააზრება):

დოქტორანტს აქვს:

- კინომცოდნეობის, როგორც როგორც ისტორიული, ასევე თეორიული, შემოქმედებითი კანონებისა და პრინციპების ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა;
- კინოს, როგორც შემოქმედებითი მოვლენისა და როგორც ინდუსტრიის; როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითრებისგან განუყოფელი სფეროსა და შემოქმედებით-პრაქტიკულ შესაძლებლობების მოვლენის შემოქმედებითი პრობლემების ცოდნა;

- კინოს თეორიის მნიშვნელოვანი საკითხების ცოდნა და გამოიმუშავებს კინოხელოვნების ნიმუშის, ამა თუ იმ მიმდინარეობის, მოვლენის აღქმისა და განსჯის, ანალიზის უნარს;
- კინემატოგრაფის, კინოთეორიისა და კინემატოგრაფის თეორიული შესწავლის სფეროში მიმდინარე პროცესების დრმა ცოდნა;
- იმ მნიშვნელოვანი, პრიორიტეტული და მეორეხარისხოვანი ფაქტებისა თუ მოვლენების, ტენდენციებისა და მიმდინარეობების ცოდნა, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ კინოს ისტორიაში;
- კინოს ისტორიისა და თეორიის კლასიკურ და უახლეს კვლევებზე დაფუძნებული დრმა და სისტემური ცოდნა;
- დარგის განვითარების, სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომების ჩამოყალიბებისა და მათი არსის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია და აცნობიერებს მათ სპეციფიკას;
- კინოს თანამედროვე თეორიებისა და თეორიის კლასიკოსების ნაშრომების, მნიშვნელოვანი თეორიული საკითხების (როგორც კინემატოგრაფის, ასევე ზოგადკულტუროლოგიურ, თანამედროვე ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ მოძღვრებათა სფეროებში) ცოდნა;
- სახელოვნებო სფერო ისტორიის, თეორიისა და მიმდინარე თანამედროვე კინოპროცესებში სწრაფი ორიენტაციის უნარი და მისი საკითხის ანალიზის პროცესში თავისუფლად გამოყენების შესაძლებლობა;
- ცოდნის სხვისთვის გადაცემა-გაზიარების უნარი;
- კარგად იაზრებს და აცნობიერებს კინოს ისტორიისა და თეორიის, პოლიტიკურ-სოციალური და ისტორიული მიმართებებისა და კინოხელოვნების ურთიერთობის საკითხებს;
- შესწავლილი და გაცნობიერებული აქვს კინემატოგრაფის ისტორია კონკრეტული თემატიკისა და ზოგადი პროცესების მიმდინარეობის ასპექტში;
- სრულყოფილად ფლობს კინომცოდნეობით სპეციფიკურ თეორიულ და კვლევით მეთოდებს.

პრაქტიკასთან დაკავშირებული კომპეტენციები:

სრული კურსის გავლის შემდეგ დოქტორანტი შეძლებს:

- დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა სწავლის პერიოდში მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით;
- მიღებული ცოდნა გადასცეს ახალგაზრდა მკვლევარებს (ბაკალავრიატისა თუ მაგისტრატურის საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებს, პროფესიული პროგრამებისა თუ სხვა ტიპის სახელოვნებო სასწავლებლების მსმენელებს); გამოიმუშავდება უმაღლეს სასწავლებელში სალექციო კურსების მაღალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე წარმართვის უნარ-ჩვევები;
- კინოს სოციოლოგიის, კინოფილმის, კინოხელოვნების საზოგადოებაზე ზემოქმედების უკეთ გააზრებასა და ამ საკითხებზე მუშაობის გაგრძელებას;
- წერითი და ზეპირი ფორმით მხატვრული ნაწარმოების მეცნიერულ გაანალიზებას და თეორიული მაგალითების, ცოდნის გამოყენებას ამა თუ იმ კინემატოგრაფიული მოვლენის, ფაქტის ანალიზის პროცესში;

- ცოდნის გამოყენებას ამა თუ იმ კინემატოგრაფიული მოვლენის, ფაქტის, არტეფაქტის ანალიზის პროცესში;
- ნაშრომის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გაფორმებას;
- აიმაღლებს წერის კულტურასა და ახალ უნარ-ჩვევებს შეიძენს;
- გაუჩნდება შემოქმედებითი მიდგომა კინოსა და საზოგადოდ ხელოვნების ნაწარმოების მიმართ;
- გამოიმუშავებს კრიტიკული დამოკიდებულების უნარ-ჩვევებს;
- მისი ნაშრომები, კვლევები დააკმაყოფილებს თანამედროვე მსოფლიო სამეცნიერო სტანდარტებს;
- გამოიმუშავებს ინტერდისციპლინარულ მიდგომას საკვლევი მასალის, პრობლემების მიმართ;
- ექნება დარგის სპეციფიკის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა;
- შექმნის დისერტაციას, რომელიც იქნება ახალი სამეცნიერო მეთოდოლოგიით, საკითხის მიმართ ახლებური რაკურსით. არსითა და ფორმით დაწერილი ნაშრომი კინომცოდნეობაში,
- მიღებული ცოდნა კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს თავისი წვლილი შეიტანოს ქართული და მსოფლიო კინოს ისტორიისა და თეორიის ახლებურად შესწავლა-დაწერაში;

ზოგადი (ანუ გადანაცვლებადი) კომპეტენციები (უნარ-ჩვევები):

დოქტორანტი შეძლებს:

- ეფექტურ და პროდუქტიულ მუშაობას ჯგუფთან ერთად;
- შემოქმედებითი სამუშაოს შესრულებისას შემოქმედებითი უნარ-ჩვევების (კრეატიულობის) გამომჟღავნებას;
- პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომჟღავნებას საკუთარი დარგობრივი სპეციალიზაციის განხრით;
- პროფესიონალიზმის გამომჟღავნებას საკუთარი დარგობრივი სპეციალიზაციის დარგში;
- კომპლექსური შემოქმედებითი, პირადი და ინტერპერსონალური პრობლემების გადაჭრას;
- საზოგადოებრივ მოვლენებში სწრაფ ორიენტირებასა და ადეკვატური თეორიული და პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღებას;
- უცხოენოვან ლიტერატურაზე მუშაობას, მონაწილეობას დისკუსიებში;

დოქტორანტს ექნება

- საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული და მათი გამოყენებისა და პოტენციალის შესახებ ცოდნის გამომჟღავნების სათანადო უნარ-ჩვევები;
- კოლეგებთან მოლაპარაკების, შეთანხმების და მათ გარემოში საკუთარი მიზნის მიღწევის უნარი როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე;
- პრეზენტაციის უნარი

პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები

- პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა უმაღლეს სასწავლებლებში;
- პედაგოგიური მოღვაწეობა საჯარო – ზოგადსაგანმანათლებლო და სახელმწიფო სკოლებში;
- შესაბამის მუხეუმებსა და არქივებში კვლევითი და ადმინისტრაციული საქმიანობა (ხელმძღვანელ პოზიციაზე);
- სამეცნიერო და ადმინისტრაციული საქმიანობა კვლევით-სამეცნიერო დაწესებულებებში;
- სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში სახელოვნებო მიმართულებით ადმინისტრაციული ან მკვლევარ-ექსპერტის სამუშაოს შესრულება;
- დამოუკიდებელი ექსპერტის, მკვლევარის, სტატუსით მუშაობა;
- პროექტის დაგეგმვა, ამოცანების განსაზღვრა და განხორციელება, თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ფონდებთან;
- სამეცნიერო ჯგუფში მუშაობა, როგორც კონკრეტული ამოცანის შემსრულებლის, ისე ჯგუფის ხელმძღვანელის რანგში;
- მუშაობა კინოსტუდიებში, კინოკომპანიებში – კინომცოდნის, რედაქტორის, ექსპერტის რანგში;
- მუშაობა ტელევიზიებში, სპეციფიკურ თუ საზოგადოებრივ ჟურნალ-გაზეთებში, კულტურის ექსპერტის, გადაცემების ავტორის, რედაქტორის პოზიციებზე.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სწავლის პროცესში სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი იყენებენ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ცენტრს; უნივერსიტეტში არსებულ კინოკაბინეტს, ფილმოთეკას, კინოაპარატურას, კინოლაბორატორიას.

უნივერსიტეტში აქვს გამოქვეყნებული „კენტავრი“; გამოსცემს პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალს „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“, რომლებიც ხელს შეუწყობს დოქტორანტის ნამუშევრების გამოქვეყნებას.

უნივერსიტეტში არსებობს სადოქტორო პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მის მატერიალურ სტაბილურობას. ფინანსური გეგმა ასახულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში.

სადოქტორო პროგრამის რეზიუმე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა კინომცოდნეობაში – **კინოკულტურა და მხატვრულ-ისტორიული პარადიგმები** – შედგება სამი კვლევითი სფეროსგან, სამი ძირითადი მოდულისგან – რომელთა მთავარი არსია – თანამედროვე და ახალი ქართული და მსოფლიო კინოს ისტორიისა და თეორიის ზოგადკულტუროლოგიურ და ისტორიულ კონტექსტში გამოკვლევა. ეს მოდულებია:

ა) ქართული კინო მითოლოგიურ-ფოლკლორულ ასპექტებში – გულისხმობს კინოს – როგორც კლასიკური ლიტერატურის, ეროვნული ფოლკლორის, ადგილობრივი და საერთაშორისო მითოლოგიის საფუძველზე დამყარებული

ხელოვნების და მისი კონკრეტული ნიმუშების, ფორმების გაანალიზებას და მითური საფუძვლების გაგენას ნაწარმოების კონცეფციაზე, არსსა და მხატვრულ ფორმაზე;

ბ) კინო და ცენზურა – ეხება კინოხელოვნების ისტორიისა და მეოცე საუკუნის ისტორიის ურთიერთმიმართებას კონკრეტულ ეპოქებში და პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის ისტორიასა და ნაციზმის ისტორიაში; ქართული კინოს ისტორიას, იგავურ ენას, რომელიც ცენზურასთან „ურთიერთობის“ ფორმად ჩამოყალიბდა.

ბ) მსოფლიო კინოს ისტორია – შეიცავს მსოფლიო კინოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპის, კინოჟანრების თავისებურებების, კინოს სპეციფიკური ტენდენციების, კინოენის არსისა და ესთეტიკური კონცეფციების შესწავლა-ანალიზს

არჩეული მოდულის პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდეგ დოქტორანტს ენიჭება აკადემიური ხარისხი **ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, PhD in Arts Sciences (Film Sciences)**

ქორეოლოგია

ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორია და თეორია Ph.D. Program in history and theory the choreography

პროგრამის დახასიათება (მიზანი, შინაარსი)

მიზანი: სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სპეციელისტები ქორეოლოგიის (ქორეოგრაფიული ხელოვნების სამეცნიერო კვლევის) დარგში, რომელთა პროფესიული ცოდნა ხელს შეუწყობს ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებას საშემსრულებლო და პედაგოგიური მიმართულებით, ასევე გაამყარებს და განავითარებს ქორეოლოგიური კვლევების ადგილს ზოგად სახელოვნებო მეცნიერებათა რიგში.

სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს ქორეოგრაფიული ხელოვნების სამეცნიერო კვლევის რამდენიმე მიმართულებას. კერძოდ, იგი განკუთვნილია საცეკვაო ფოლკლორის ისტორიული განვითარების, შემოქმედებითი ფორმების თავისებურებისა და საცეკვაო ნიმუშების ფიქსირება-კონსერვაციის შესწავლისათვის. ეთნო-ქორეოლოგიური კვლევების მნიშვნელობას ეროვნული კულტურისადმი, ისტორიულ-ეთნიკურ-ფორმული წარსულისადმი და ქართული ფოლკლორული ტრადიციებისადმი საყოველთაო ინტერესი განსაზღვრავს.

ხალხური ქორეოგრაფიის არქაული ფორმების ძიება და მათი შესწავლა არქეოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული მასალის ახლებურად გააზრების საფუძველზე ხდება. კვლევის ობიექტად საცეკვაო ფოლკლორული ნიმუშის ფუნქციურ-შინაარსობრივი და ვიზუალურ-ქმედითი ბუნება იქცევა, რომელიც ხალხური ცეკვის მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების, გამომსახველობითი საშუალებების, პირობითობა-სიმბოლოზობისა და მრავალი სხვა საკითხის შესწავლას ემსახურება.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული ქორეოგრაფიული საგანძურის, ჯერ კიდევ შემონახული საცეკვაო წეს-ჩვეულებების ფიქსირება, ამ კონტექსტში წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია დამუშავდეს, მათი შემდგომი პრაქტიკული

განხორციელებისათვის, საექსპედიციო (ქორეოგრაფიული ექსპედიციის) მუშაობის თეორიული საფუძვლები.

სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს დარგში არსებული სამაგისტრო პროგრამების გაგრძელებას და მიზნად ისახავს:

- სტუდენტებს მისცეს გადრმავებული ცოდნა თანამედროვე სახელოვნებო მეცნიერებაში კერძოდ, ქორეოგრაფიული ხელოვნების (საცეკვაო ფოლკლორის) კვლევის თანამედროვე ფორმებსა და მეთოდოლოგიაში;
- ხელი შეუწყოს დოქტორანტს სადოქტორო საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებასა, დაცვასა და აკადემიური ხარისხის მოპოვებაში;
- დოქტორანტი მოამზადოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური მოღვაწეობისათვის;
- დოქტორანტი ჩამოაყალიბოს, როგორც დამოუკიდებელი თანამედროვე მეცნიერი, მკვლევარი.

პროგრამით გათვალისწინებული სავარაუდო საკვლევი საკითხები

პროგრამით გათვალისწინებული საკვლევი საკითხები მოიცავს ქორეოგრაფიული ხელოვნების ყველა ნაირსახეობრივ (ხალხური, კლასიკური, სამეჯლისო თანამედროვე ცეკვის) ფორმას, მათ შორის პრიორიტეტულია პრობლემატიკა, რომელიც ითვალისწინებს ქართული საცეკვაო ტრადიციების შესწავლას. კერძოდ:

ისტორიულ - ეთნოგრაფიული მიმართულების საკითხები:

- ქორეოგრაფიული ხელოვნების არქეოლოგიური, ისტორიულ-ლიტერატურული და ეთნოგრაფიული წყაროების შესწავლა;
- ქორეოგრაფიული ხელოვნების გენეზისი, პერიოდიზაცია, კონკრეტული ისტორიული პერიოდის შესწავლა;
- უძველესი საცეკვაო ტრადიციების შესწავლა ფუნქციურ-შინაარსობრივი და რეგიონალური თავისებურებათა გათვალისწინებით;
- აუთენტური პირველწყაროს სასცენო ინტერპრეტირება და ა.შ.

თეორიული მიმართულების საკითხები:

- ქორეოგრაფიული ტერმინოლოგია;
- ქორეოგრაფიის სინთეზურობა;
- ქორეოგრაფიის გამომსახველობითი საშუალებანი;
- პირობითობა-სიმბოლურობა;
- სივრცე და დრო ქორეოგრაფიაში;
- ცეკვის კლასიფიკაციური სისტემები;
- ქორეოგრაფიული ხელოვნების შესწავლის პედაგოგიურ-მეთოდოლოგიური თავისებურებანი;
- საცეკვაო ნიმუშის ფიქსირება-კონსერვაცია და ა.შ.

კრიტიკის საკითხები:

- საცეკვაო ნიმუშის ქორეოგრაფიული ანალიზი;
- შემოქმედებითი პორტრეტი;
- თანამედროვე ტენდენციები და ა.შ.

შედეგები

ქორეოგრაფიის სახელოვნებო მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ფლობს საფუძვლიან და ღრმა ცოდნას ქორეოგრაფიის სახელოვნებო მეცნიერებაში, საცეკვაო ფოლკლორის კვლევის თანამედროვე ფორმებსა და მეთოდოლოგიაში;
- ფლობს უნარს მოახდინოს სახელოვნებო დარგის აქტუალური პრობლემატიკის დადგენა და შემოგვთავაზოს მისი გადაჭრის გზები;
- ფლობს უნარს მოახდინოს ხელოვნების (საცეკვაო) ნიმუშის კომპლექსური კვლევის ანალიზი: შინაარსისა და ფორმის ერთიანობის, ელემენტებად დანაწევრების და ერთიან, სინთეზურ ბუნებაში დანახვის, აბსტრაგირებისა და სხვა, მომიჯნავე დარგებთან ურთიერთკავშირების დადგენის უნარი.
- აღნიშნულ თეორიულ ცოდნას გამოიყენებს პრაქტიკულ საშემსრულებლო სფეროში, რითაც მოახდენს ხელოვნების (ქორეოგრაფიის) პრაქტიკული განვითარების სრულყოფას;
- ფლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სალექციო კურსების მაღალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე წარმართვის უნარ-ჩვევებს;
- დაიცვას სადოქტორო საკვალიფიკაციო ნაშრომს და მოიპოვოს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

სადოქტორო პროგრამის კვალიფიკაციის აღმწერი (დესკრიპტორი):

ცოდნა და გაცნობიერება

დოქტორანტს აქვს ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა ქორეოგრაფიული ხელოვნების სამეცნიერო შესწავლის (ქორეოლოგიის) ყველა მიმართულებით:

- ქორეოგრაფიის ისტორიული განვითარებისა და გენეზისის საფუძვლიანი ცოდნა;
- ქორეოგრაფიული ხელოვნების შემოქმედებითი ფორმის თავისებურების, სინთეზურობის, გამომსახველობითი საშუალებების, კლასიფიკაციური სისტემების, სადადგმო ხელოვნებისა და ქორეო-პედაგოგიკის საკითხების საფუძვლიანი ცოდნა;
- ქორეოგრაფიული ნიმუშის კრიტიკული ანალიზის უნარი; რომელიც ქორეოგრაფია– ქორეოლოგიის დარგში რეფერირებად საერთაშორისო პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა.

შეუძლია ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში არსებული ეთიკური დილემების ანალიზი, მართვა და მათი გადაჭრა. სრულად ფლობს ქორეოგრაფია – ქორეოლოგიის სპეციფიკურ (თეორიულ და კვლევით) მეთოდებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

დოქტორანტს შეუძლია შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები ქორეოგრაფია– ქორეოლოგიაში არსებული პრობლემური საკითხების მიმართ, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.

შეუძლია ახალი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება ქორეოგრაფიული ხელოვნების როგორც შემოქმედებითი, ასევე სამეცნიერო მიმართულებით. აქვს

უნარი ქორეოგრაფიის საშემსრულებლო, პედაგოგიურ და თეორიულ სფეროში ახლებური მეთოდების დანერგვის.

დამოუკიდებლად გაგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობს როგორც ინოვაციურ ქორეოლოგიურ კვლევას, ასევე ჩატარებული კვლევის შედეგების პრაქტიკულ ქორეოგრაფიაში გამოყენებას.

დასკვნის უნარი

დოქტორანტს ფაქტობრივი მასალისა და მრავალგვარი ინფორმაციული წყაროს შეჯერების საფუძველზე შეუძლია არგუმენტირებული, ლოგიკურად გამართული და შინაარსობრივად მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება ქორეოგრაფია – ქორეოლოგიაში არსებული საკითხების ირგვლივ.

კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი. შეუძლია ახალი მიდგომების სინთეზი, რითაც ქორეოგრაფია – ქორეოლოგიის სფეროში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება / განვითარებას უწყობს ხელს.

აქვს უნარი პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება და დოქტორანტს შეუძლია რთული და სადავო ინფორმაციის გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი რესურსების გამოყენება.

კომუნიკაციის უნარი

იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT) და შეუძლია მათი შემოქმედებითი და კრიტიკული გამოყენება ქორეოგრაფია – ქორეოლოგიის დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში პროფესიულ (ქორეოგრაფიულ) საზოგადოებაში საკუთარი მოსაზრებების დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა. საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან ქორეოგრაფიული თემატიკის პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე. შეუძლია ინფორმაციის გადაცემა ქორეოგრაფიულ სფეროში მომუშავე სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ამ უკანასკნელთა მომზადების ხარისხის გათვალისწინებით.

სწავლის უნარი

დოქტორანტი ადეკვატურად აფასებს, გეგმავს და ახორციელებს საკუთარი სწავლის პროცესს და იყენებს სასწავლო რესურსების სრულ სპექტრს; შეუძლია სხვების სწავლის პროცესის დაგეგმვა და მართვა.

ღირებულებები

იკვლევს კონკრეტულად, ქორეოგრაფიისა და საზოგადოდ, კულტურის მნიშვნელოვან მოვლენებს და მასთან დაკავშირებულ, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას; ობიექტურად და პროფესიულად აფასებს იმ ადგილს, რომელიც ქორეოგრაფიას უკავია კაცობრიობის აზროვნების ჩამოყალიბების, განვითარებისა და ცნობიერებაზე ზემოქმედების სფეროში. ესმის ქორეოგრაფიის კულტურული ღირებულება და ეძებს აღნიშნული ღირებულების საზოგადოებაში დამკვიდრების ახალ გზებს.

სადოქტორო პროგრამის კომპეტენციები:

დოქტორანტს:

- აქვს ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა ქორეოგრაფიული ხელოვნების სამეცნიერო შესწავლის (ქორეოლოგიის) ყველა მიმართულებით;
- ქორეოგრაფიის ისტორიული განვითარებისა და გენეზისის საფუძვლიანი ცოდნა;
- ქორეოგრაფიული ხელოვნების შემოქმედებითი ფორმის თავისებურების, სინთეზურობის, გამომსახველობითი საშუალებების, კლასიფიკაციური სისტემების, სადადგმო ხელოვნებისა და ქორეო-პედაგოგიკის საკითხების საფუძვლიანი ცოდნა;
- ქორეოგრაფიული ნიმუშის კრიტიკული ანალიზის უნარი,
- რომელიც ქორეოგრაფია – ქორეოლოგიის დარგში რეფერირებად საერთაშორისო პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა.
- შეუძლია ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში არსებული ეთიკური დილემების ანალიზი, მართვა და მათი გადაჭრა.
- სრულად ფლობს ქორეოგრაფია – ქორეოლოგიის სპეციფიკურ (პრაქტიკულ, თეორიულ და კვლევით) მეთოდებს.
- შეუძლია შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები ქორეოგრაფია– ქორეოლოგიაში არსებული პრობლემური საკითხების მიმართ, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული.
- შეუძლია ახალი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება ქორეოგრაფიული ხელოვნების როგორც შემოქმედებითი, ასევე სამეცნიერო მიმართულებით. აქვს უნარი ქორეოგრაფიის საშემსრულებლო, პედაგოგიურ და თეორიულ სფეროში ახლებური მეთოდების დანერგვის.
- დამოუკიდებლად გაგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობს როგორც ინოვაციურ ქორეოლოგიურ კვლევას, ასევე ჩატარებული კვლევის შედეგების პრაქტიკულ ქორეოგრაფიაში გამოყენებას.
- ფაქტობრივი მასალისა და მრავალგვარი ინფორმაციული წყაროს შეჯერების საფუძველზე შეუძლია არგუმენტირებული, ლოგიკურად გამართული და შინაარსობრივად მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება ქორეოგრაფია – ქორეოლოგიაში არსებული საკითხების ირგვლივ.
- კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი. შეუძლია ახალი მიდგომების სინთეზი, რითაც ქორეოგრაფია – ქორეოლოგიის სფეროში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება / განვითარებას უწყობს ხელს.
- აქვს უნარი პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად მიიღოს სწორი დამატებითი რესურსები.
- შეუძლია რთული და სადავო ინფორმაციის ეფექტური გადაცემა ქორეოგრაფიულ სფეროში მომუშავე სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის
- უცხო ენის ცოდნა სულ მცირე C 1 დონეზე
- იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და შეუძლია მათი შემოქმედებითი და კრიტიკული გამოყენება ქორეოგრაფია – ქორეოლოგიის დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში

პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ გააგრძელონ თავიანთი მოღვაწეობა:

- პედაგოგიაში (უმაღლეს, პროფესიულ, სახელოვნებო სკოლებში და სასწავლო ცენტრებში);
- სახელოვნებო, ჰუმანიტარულ და ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ კვლევით დაწესებულებებში;
- პროფესიულ ქორეოგრაფიულ ანსამბლებსა და სტუდიებში;
- კულტურის განყოფილებებში და სამინისტროში;
- აწარმოოს დამოუკიდებელი კვლევები ჯგუფური და ინდივიდუალური საგრანტო პროგრამების ფარგლებში;
- ბეჭდვით და ელექტრო მედიაში.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სადოქტორო პროგრამის დოქტორანტები იყენებენ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ცენტრს. ამასთანავე, უნივერსიტეტში არსებობს ფილმოთეკა, გამომცემლობა „კენტავრი“, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“, ყოველწლიური კონფერენციები. შესაძლებელია მათი მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებზე, თემატურ ფორუმებზე.

უნივერსიტეტში არსებობს პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მის ფინანსურ სტაბილურობას. ფინანსური გეგმა ასახულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში.

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა

სწავლების ხანგრძლივობა – საქართველოს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ” ადგენს სულ მცირე 3 წლის ვადას. რიგ შემთხვევაში დოქტორანტს მიეცემა დამატებითი ვადა კვლევის დასრულებისათვის.

პროგრამის აკადემიური შინაარსი

ა) სადოქტორო პროგრამის მოცულობა და სასწავლო კომპონენტი

აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროგრამით განსაზღვრულია სამეცნიერო და სასწავლო კომპონენტების თანხვედრა კრედიტების შეფარდებით 120-60, სადაც 120 სამეცნიერო კომპონენტია, 60 – სასწავლო.

I სასწავლო კომპონენტი

სასწავლო კომპონენტი მოიცავს:

1. სპეციალურ სემინარების, რომლებიც ემსახურება ხელოვნების ისტორიის (ქართული, მსოფლიო) სფეროში ცოდნის გაფართოვებას და გაღრმავებას, კვლევის თანამედროვე მეთოდებში გარკვევა-ათვისებას.
2. პედაგოგიურ პრაქტიკას, რაც გამოიხატება პროფესორის ასისტენტირებაში, მსგავს საქმიანობაში (ლექციის მომზადება) და გამიზნულია სასწავლო-პედაგოგიური უნარ-ჩვევების განსავითარებლად.

3. სემინარებს, რომლებიც ემსახურება დოქტორანტის ტრანსფერული უნარების განვითარებას, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში და განათლების მართვაში კომუნიკაციასა და მენეჯმენტში გარკვევას.
4. არჩევითი ბლოკი

II სამეცნიერო კომპონენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი და დოქტორანტი შეიმუშავებენ ინდივიდუალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც წარიმართება კვლევა.

პროგრამის სამეცნიერო კომპონენტი ითვალისწინებს დოქტორანტის კოლოკიუმს, კოლოკიუმზე ხდება დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაოს პრეზენტაცია მიმართულებაზე, დისკუსია, თემაზე არსებული ახალი სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა, დოქტორანტის წლიური ნაშრომის წარდგენა და განხილვა. ხელშეწყობა თმცოდნეობის მიმართულებით კოლოკიუმში ტარდება სემესტრში მინიმუმ ორჯერ (გარდა I სემესტრისა).

პროგრამის აკადემიური შინაარსის დეტალური აღწერა ქვემოთ დართულ სპეცილურ სემინართა მოდულების ცხრილსა და პროგრამის ზოგად ბაღეშია მოცემული.

ქორეობრაფიული ხელოვნების ისტორია და თეორია სწავლების გეგმა (180: 120-60 ECTS)

N ^o	I სემესტრი	ECTS	N ^o	II სემესტრი	ECTS
1	სპეც.სემინარი – ქორეოგრაფიის სინთეზურობა (ინტერდისციპლინარული კვლევა) 60 ს.სთ.	10	1	სპეც. სემინარი – საცეკვაო ფოლკლორის შესწავლის თანამედროვე ფორმები და მეთოდოლოგია 30 ს.სთ.	5
2	საკვლევი თემის შესაბამის წყაროებზე მუშაობა	5	2	ასისტენტირება, საგანი -----	5
3	კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია	5	3	საკვლევი თემის შესაბამისი უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმანის წარმოდგენა	10
4	სასწავლო მეთოდოლოგია (პროგრამის დაგეგმვა, სილაბუსი და სხვ.)	5	4	წლიური ნაშრომი (დისერტაციის პროექტი)	10
5	სემინარი პედაგოგიკაში	5			
	სულ	30		სულ	30
N ^o	III სემესტრი	ECTS	N ^o	IV სემესტრი	ECTS
1	სპეც. სემინარი – ქორეოგრაფიული დრამატურგია და მისი ანალიზი	5	1	არჩევითი დისციპლინა 30 ს.სთ.	5

	30 ს.სთ.;				
2	სემინარი – კომუნიკაცია, პრეზენტაცია	5	2	საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარება	5
3	სპეც.სემინარი – ქორეოგრაფიული ანთროპოლოგია 30 ს.სთ	5	3	ასისტენტირება, საგანი ----	5
4	სამეცნიერო მუშაობა	15	4	წლიური ნაშრომი	15
	სულ	30		სულ	30
№ V	სემესტრი	ECTS	№ VI	სემესტრი	ECTS
1	სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობა	30	1	სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობა	30
	სულ	30		სულ	30

I-II სემესტრი

სასწავლო – 30 კრ. :

2 სპეც. სემინარი და ასისტენტირება	20
სასწავლო მეთოდოლოგია (პროგრამის დაგეგმვა, სილაბუსი და სხვ.)	5
სემინარი პედაგოგიკაში	5
სულ	30

სამეცნიერო – 30 კრ. :

საკვლევი თემის შესაბამის წყაროებზე მუშაობა,	10
უცხოენოვანი ლიტერატურის დამუშავება, თარგმანის წარმოდგენა	10
წლიური ნაშრომი (პროექტი)	10
სულ	30

III-IV სემესტრი

სასწავლო – 30 კრ. :

სემინარი სპეციალურ დისციპლინაში	10
სემინარი – კომუნიკაცია, პრეზენტაცია	5
საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარება	5
ასისტენტირება	5
არჩევითი სემინარი	5

სამეცნიერო – 30 კრ. :

სამეცნიერო მუშაობა	15
წლიური ნაშრომი	15

V-VI სემესტრი

სამეცნიერო – 60 კრ. :

სადისერტაციო ნაშრომი	60
----------------------	----

- **შენიშვნა:** კურსი: “სპეც.სემინარი და ასისტენტირება” გულისხმობს სემინარს სპეციალობის კონკრეტულ დისციპლინაში და პროგრამის ხელმძღვანელ პედაგოგთან დოქტორანტის ასისტენტირებას სამაგისტრო ან საბაკალავრო დონეზე. მისი შეფასება ხდება ორი კომპონენტით: სასწავლო/სემინარი და პრაქტიკული/ასისტენტირება და აისახება შესაბამის უწყისებში.

სემინარები სპეციალურ დისციპლინაში

- I სემესტრი** – ქორეოგრაფიის სინთეზურობა (ინტერდისციპლინარული კვლევა) – 10 ECTS
- II სემესტრი** – საცეკვაო ფოლკლორის შესწავლის თანამედროვე ფორმები და მეთოდოლოგია – 10 ECTS
- III სემესტრი** – ქორეოგრაფიული დრამატურგია და მისი ანალიზი – 5 ECTS
- IV სემესტრი** – ქორეოგრაფიული ანთროპოლოგია – 5 ECTS

არჩევითი დისციპლინების ბლოკი

1	დრამის სტრუქტურა	5 ECTS
2	შემოქმედების ფსიქოლოგია	5 ECTS
3	სიმბოლო – კულტურის ფენომენი	5 ECTS
4	თამაშის თეორია	5 ECTS
5	პროექტის მენეჯმენტი	5 ECTS
6	მარკეტინგული კვლევა კულტურაში	5 ECTS
7	მარკეტინგული კვლევა კულტურაში	5 ECTS
8	კულტურის მენეჯმენტი	5 ECTS

კულტურის პრაქტიკული მენეჯმენტი – კულტურის მენეჯმენტის ლექცია-სემინარები და პრაქტიკული საქმიანობა კულტურის სფეროში მომავალი ლიდერების მომზადების აუცილებელი კომპონენტია. ამ მიმართულებით, უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების გარდა, დოქტორებმა შეიძლება იმუშაონ სხვა პროფესიულ სივრცეში – კულტურისა და ხელოვნების სფეროში. შესაბამისად, მათ უნდა იცოდნენ ხელოვნებისა და კულტურის დარგების თავისებურებები და მართვის ეფექტური და თანამედროვე

საშუალებები, უნდა შეექმნათ როგორც კოლეგებთან, ასევე სხვა პროფესიის ადამიანებთან ურთიერთობა და მათი ეფექტური მართვა, მნიშვნელოვანი ინტერდისციპლინური პროექტების ხელძღვანელობა.

სასწავლო კურსების (სპეციალური სემინარების) ანოტაციები

PhD სასწავლო კურსი

I. ქორეოგრაფიის სინთეზურობა (ინტერდარგობრივი კვლევა)

სასწავლო კურსი „ქორეოგრაფიის სინთეზურობა (ინტერდარგობრივი კვლევა)“ წარმოადგენს სპეციალურ დისციპლინას ქორეოგრაფიული მიმართულების სადოქტორო პროგრამისათვის. იგი მიზნად ისახავს ქორეოგრაფიული ხელოვნების შესწავლას საცეკვაო ნიმუშის სინთეზური ბუნების გათვალისწინებით. ხელოვნების სხვადასხვა დარგის გამომსახველობითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც ქორეოგრაფიული ნიმუშის სინკრეტულობას განაპირობებს, კვლევის პროცესში მოითხოვს ინტერდარგობრივი კავშირების დადგენას, მათ შესწავლასა და ანალიზს.

აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი იკვლევს საკითხებს ქორეოგრაფიული ხელოვნების და მუსიკის, ქორეოგრაფიისა და სახვითი ხელოვნების, ქორეოგრაფიისა და თეატრისა და კინოს, ასევე, ქორეოგრაფიისა და ლიტერატურის ურთიერთკავშირების შესახებ.

სასწავლო კურსი მოიცავს როგორც თეორიული შესწავლის ფორმებს, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სალექციო თემატიკის მიხედვით სტუდენტი ახდენს ქორეოგრაფიული ნიმუშის ანალიზს ინტერდისციპლინარული კავშირების გათვალისწინებით.

აღნიშნული სასწავლო კურსი ემყარება სტუდენტის მიერ ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიისა (ქართული ქორეოგრაფიის ისტორია, ბალეტის ისტორია, მსოფლიო ქორეოგრაფიის ისტორია) და ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორიის (ქორეოგრაფიის ტერმინოლოგია, გამომსახველობითი ხერხები, სივრცე და დრო ქორეოგრაფიაში, პირობითობა და სიმბოლურობა ქორეოგრაფიაში, ცეკვის კლასიფიკაციური სისტემები, სადადგმო ხელოვნების საკითხები, ქორეო-პედეგოგიკის საკითხები) სრულფასოვან ცოდნას; ქორეოგრაფიული ნიმუშის კრიტიკული შეფასებისა და ანალიზის უნარს; ხელოვნების სხვადასხვა დარგის (მუსიკის, სახვითი ხელოვნების, ლიტერატურის, თეატრის) ისტორიული განვითარებისა და თეორიული საფუძვლების ცოდნას და ანალიზის უნარს.

სასწავლო კურსის დასრულებისთანავე დოქტორანტს შეეძლება ხელოვნების დარგთაშორისი ურთიერთკავშირების კვლევა და ამ პრობლემატიკის ირგვლივ ახალი თეორიების შემუშავება, მათი პრაქტიკაში შემდგომი დანერგვის მიზნით.

სპეციალური სემინარების ანოტაციები

II. საცეკვაო ფოლკლორის შესწავლის თანამედროვე ფორმები და მეთოდოლოგია

ქართული ტრადიციული ხელოვნებისადმი საყოველთაო ინტერესმა და ქართული საცეკვაო ხელოვნების საშემსრულებლო პრაქტიკის დინამიურმა

განვითარებამ განაპირობა ეროვნული ქორეოგრაფიის მეცნიერული კვლევისა და ქართული ცეკვის საშემსრულებლო ხელოვნების პროფესიული შეფასება-ანალიზის აუცილებლობა და აქტუალობა.

სასწავლო კურსი „საცეკვაო ფოლკლორის შესწავლის თანამედროვე ფორმები და მეთოდოლოგია“ წარმოადგენს სპეციალურ დისციპლინას ქორეოგრაფიული მიმართულების სადოქტორო პროგრამისათვის.

წარმოდგენილი სასწავლო კურსი მიზნად ისახავს საცეკვაო ფოლკლორის, ქართული საცეკვაო ტრადიციების შესწავლის ფორმებისა და მეთოდების გაცნობას, მათი შემდგომი პრაქტიკული განხორციელებისათვის. დოქტორანტიები გაეცნობიან ლიტერატურას მსოფლიო ეთნო-ქორეოლოგიაში არსებული ნაციონალური (ეთნიკური) ცეკვების მოძიების, შესწავლისა და მათი ფიქსირება-კონსერვაციის შესახებ.

ამ სასწავლო კურსის ფარგლებში მოხდება ქართული აუთენტური ცეკვების სრული ბიბლიოგრაფიული (ანბანური და რეგიონალური) კატალოგიზაცია, რაც განაპირობებს ამ საცეკვაო ნიმუშების მოძიება-კონსერვაციის სწორ წარმართვას საექსპედიციო მუშაობის დროს. აღნიშნული პრობლემატიკა ეხმიანება სახელმწიფო პოლიტიკას ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისა და მათი პოპულარიზაციის საქმეში, რომელიც ასევე პრიორიტეტულია ფოლკლორის ეროვნული ცენტრის სამომავლო გეგმებში.

წარმოდგემილი სასწავლო კურსის გავლის შედეგად და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით დოქტორანტი გაიდრმაგებს ცოდნას აუთენტური საცეკვაო ნიმუშების შესწავლის შესახებ (ბიბლიოგრაფიული კატალოგიზაციის, საექსპედიციო მუშაობის, ქორეოგრაფიული ნიმუშის მოძიება, ფიქსირება-კონსერვაციის შესახებ), შეძლებს ამ პრობლემატიკის ირგვლივ ახალი თეორიების შემუშავებას, მათი პრაქტიკაში შემდგომი დანერგვის მიზნით.

III. ქორეოგრაფიული დრამატურგია და მისი ანალიზი

სასწავლო კურსი „ქორეოგრაფიული დრამატურგია და მისი ანალიზი“ ქორეოგრაფიული ხელოვნების მიმართულების სადოქტორო პროგრამის მაპროფილბელ სასწავლო დისციპლინას წარმოადგენს. მოცემული სასწავლო კურსი მიზნად ისახავს ქორეოგრაფიული ნიმუშის კომპოზიციური სტრუქტურის პროფესიული ანალიზის ისეთი უნარ-ჩვევების შემუშავებას, რომელიც ცეკვის დრამატურგიულ წყობას ემყარება და განიხილავს მას ცეკვის ყველა სტრუქტურული ერთეულის დრამატურგიის კონტექსტში. აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი ეცნობა სპეციალურ ლიტერატურას (ქართულსა და უცხოურს) და ახდენს ფუნდამენტური ნაშრომების ანალიზს (რეფერატის სახით);

შეისწავლის ინტერდარგობრივი კვლევის ფორმებს, (ცეკვისა და მუსიკის, ცეკვისა და ლიტერატურის და ა.შ. დრამატურგიის ურთიერთკავშირებს).

სასწავლო კურსის თემატიკა მოიცავს შემდეგ საკითხებს: ქორეოგრაფიის სინთეზურობა და ცეკვის ინტერდარგობრივი კვლევის ფორმები; ლიტერატურული ანალიზი, როგორც ცეკვის დრამატურგიული ანალიზის საფუძველი; დროის ფილოსოფიური კატეგორია და მისი გავლენა ქორეოგრაფიული ნიმუშის დრამატურგიულ წყობაზე; ცეკვის იდეურ-თემატური ანალიზი დრამატურგიის კანონების საფუძველზე; ცეკვის მუსიკალური გაფორმების ანალიზი დრამატურგიის კანონების საფუძველზე; ცეკვის კომპოზიციური სტრუქტურის ანალიზი დრამატურგიის კანონების საფუძველზე (ქორეოგრაფიული ნიმუშის ნახაზისა და საცეკვაო ლექსიკის დრამატურგიული

წყობა); ცეკვის საშემსრულებლო ოსტატობის ანალიზი (საშემსრულებლო ტექნიკა და არტისტიზმი) დრამატურგიის კანონების გათვალისწინებით.

აღნიშნული სასწავლო კურსის დასრულებისთანავე დაქტორანტი სრულად ფლობს პროფესიული შეფასების და სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევებს, რომელთა გამოყენებით მას შეუძლია საცეკვაო ნიმუშის ქორეოგრაფიული ანალიზი დრამატურგიის კანონების საფუძველზე. შექმნილი უნარ-ჩვევები დოქტორანტს შეუძლია გამოიყენოს საშემსრულებლო და პედაგოგიურ პრაქტიკაში.

IV. ქორეოგრაფიული ანთროპოლოგია

სასწავლო კურსი „ქორეოგრაფიული ანთროპოლოგია“ ქორეოგრაფიული ხელოვნების მიმართულების სადოქტორო პროგრამის მაპროფილელ სასწავლო დისციპლინას წარმოადგენს. მოცემული სასწავლო კურსი მიზნად ისახავს ქორეოლოგიური პრობლემატიკის გაფართოებას და მკვლევართა ყურადღების კონცენტრირებას ადამიანის ბუნებაზე, როგორც ცეკვის შემქმნელ-შემსრულებელზე. ანთროპოლოგიური კვლევა ქორეოგრაფიულ ხელოვნებასთან მიმართებაში მოიცავს საკითხთა რიგ ჩამონათვალს, რომელთა შესწავლა გაადრძავებს დოქტორანტის ცოდნას და დაეხმარება მას პროფესიულ დაოსტატებაში. ადამიანის სხეული, როგორც ქორეოგრაფიული ნიმუშის შემქმნის ძირითადი მასალა და მისი ფსიქო-შემოქმედებითი უნარები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ნიმუშის ესთეტიკურ ღირებულებას კვლევის ობიექტად იქცევა, რაც ცეკვის შესწავლის ინოვაციურ მიდგომას წარმოადგენს.

სასწავლო კურსის დასრულებისთანავე დოქტორანტს შეეძლება ხელოვნების დარგთაშორისი ურთიერთკავშირების კვლევა და ამ პრობლემატიკის ირგვლივ ახალი თეორიების შემუშავება, მათი პრაქტიკაში შემდგომი დანერგვის მიზნით.

ზოგადსაზნეობრივი კურსები

- **კომუნიკაცია და პრეზენტაციის უნარ-ჩვევები** – კომუნიკაციისა და პრეზენტაციის ლექცია-სემინარები მომავალი პროფესიონალი კადრების მომზადების აუცილებელი კომპონენტია. გარდა აკადემიური წრეებისა (უნივერსიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები...), პროფესიული საქმიანობის ნებისმიერ სივრცეში დოქტორებმა უნდა შექმნონ ეფექტური კომუნიკაცია როგორც კოლეგებთან, ასევე ფართო აუდიტორიასთან: თვითპრეზენტაცია, შემოქმედებითი თუ სხვა ტიპის პროექტების წარდგენა, საჯარო გამოსვლები და სხვ. შესაბამისად, მათ უნდა შეეძლოთ როგორც კოლეგებთან, ასევე სხვა პროფესიის ადამიანებთან საქმიანი ურთიერთობა, ასევე მნიშვნელოვანი ინტერდისციპლინური პროექტების წარდგენა. კურსის შეფასებისთვის სავალდებულოა:
- **საჩვენებელი ლექცია-მიმოხილვა/პრეზენტაცია** – მიმოხილვაში სხვადასხვა საკითხის, თემის, საკვლევი მასალის სპეციფიკური კინემატოგრაფიული, ისტორიული, სოციალური და პოლიტიკური ვითარებებისა და თვალსაზრისების გათვალისწინებითა და ჩართულობით (**power-point** პრეზენტაციის თანხლებით).
- **პედაგოგია** – პროგრამის მიზანია დოქტორანტებს მისცეს ღრმა, მეცნიერულ ანალიზზე დაფუძნებული ცოდნა პედაგოგიაში, გააცნოს როგორც ქართული, ასევე უცხო ენოვანი სპეციალური ლიტერატურა; დოქტორანტს შეეძლება ინფორმაციის ფართო სპექტრის მოძიება,

მოპოვება და გაანალიზება. ვინაიდან, გარდა „პედაგოგიკის“ თეორიული კურსისა, დოქტორანტი მიიღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის სფეროში: პერიოდულად მოამზადებენ და წაიკითხავენ ლექციებს ამავე და მომიჯნავე (კინორეჟისორები, კულტურის მენეჯერები, ხელოვნებათმცოდნეები და ა.შ.) დარგის მაგისტრანტებთან; რეგულარულად დაესწრებიან ხელმძღვანელის ლექციებს მაგისტრანტებთან, როგორც ასისტენტები.

- **საგანმანათლებლო-სასწავლო მეთოდოლოგია** – კანონმდებლობა განათლების სფეროში – ნორმატიული აქტების, სილაბუსებისა და მოდულების შედგენა. დოქტორმა უნდა იცოდეს, თუ როგორ ასწავლოს – დისციპლინა, კვლევა, პრეზენტაცია და ა.შ.; უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისა და განათლების მართვის შესწავლა. საჩვენებელი ლექცია-პრეზენტაცია გულისხმობს: დოქტორანტის მიერ სპეცკურსისთვის სილაბუსის შედგენას და ლექციის ჩატარებას, საგნისთვის სილაბუსის შედგენას, მოდულის შედგენას და საკუთარი სილაბუსით ლექციის ჩატარებას.

შეფასება

I. სასწავლო კომპონენტში შემავალი სემინარებისთვის ცოდნის შეფასება ემყარება 100 ქულიან სისტემას:

(A) 91-100 ფრიადი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ ჩაბარების უფლება.

(F) 0-40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი.

II პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო-სამეცნიერო კომპონენტები „ასისტენტირება“ და „ლექციის მომზადება-ჩატარება“ ფასდება ზემოთ მოყვანილი 100 ქულიანი სისტემითა და შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) **ასისტენტირება:** 1. საბაკალავრო ან სამაგისტრო დონეზე ხელმძღვანელის ლექციებზე დასწრება და პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული დავალებების სისტემატური შესრულება (**80 ქულა**);

2. ხელმძღვანელის ასისტენტირება სამეცნიერო სფეროში (**20 ქულა**);

ბ) ლექციის მომზადება- ჩატარება:

1. ლექციის თემატიკის გარშემო მასალის წინასწარი დამუშავების სისრულე (**40 ქულა**)

2. ლექციის პრეზენტაბელურობა (სულ **60 ქულა**):

მიწოდებული მასალის შინაარსობრივი სიღრმე (20 ქულა)
 ლექციის თემასთან ადეკვატური მასალის სრულად წარდგენა (20 ქულა)
 მასალის საინტერესოდ გადმოცემა (20 ქულა)

III. დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სისტემა:

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

N ^o N ^o	კრიტერიუმი	მაქსიმალური საძლო ქულა
1	ტექნიკური მხარე	30
1.1.	ენობრივი გამართულობა	10
1.2.	გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება	5
1.3.	გამოყენებული წყაროების მითითების სისწორე	5
1.4.	სტილის და სამეცნიერო წერის სტანდარტ დაცვა	10
2.	შინაარსობრივი მხარე	50
2.1.	შინაარსის სრულყოფილება	20
2.2.	აქტუალობა	10
2.3.	ორიგინალობა	10
2.4.	დასკვნის (შეჯამების) სრულყოფილება	5
2.5.	კითხვებზე პასუხების დასაბუთებულობა	5
3.	პრეზენტაბელობა	20
3.1.	თვალსაჩინოებების, სქემების, დიაგრამების, ვიზუალური მასალის არსებობა	10
3.2.	მეტყველების კულტურა	10
	სულ:	100

ამასთან, დოქტორანტს ევალება მინიმუმ სამი პუბლიკაცია რეფერირებულ ჟურნალებში:

იმპაქტ-ფაქტორიანი ჟურნალები:

იხ. ტომსონის სია:

<http://www.thomsonscientific.com/cgi-bin/jrnlst/jlsubcatg.cgi?PC=H>
<http://www.thomsonscientific.com/cgi-bin/jrnlst/jlresults.cgi?PC=MASTER>

რეფერირებული ჟურნალები:

1. სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი;
2. კავკასიის მაცნე;
3. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე;
4. მეცნიერებათა აკადემიის მაცნე;
5. საქართველოს სიძველენი;
6. თსუ-ს სამეცნიერო შრომების კრებული;
7. სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სხვა გამოცემებში.

სადოქტორო პროგრამის რეზიუმე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა **ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში** მოიცავს ორ პრიორიტეტულ კვლევით სფეროს – ქართული ქორეოგრაფიის ისტორიას და ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორიას.

პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდგომ დოქტორანტს ენიჭება აკადემიური ხარისხი **ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (ქორეოლოგია)**, PhD in Arts Sciences (choreography).

პროგრამული კონცენტრაცია: ხელოვნებათმცოდნეობა

ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში

The History of Georgian Art in the Context of World Art Ph.D. Program

საკვალიფიკაციო ღახასიათება (მიზანი, შინაარსი, მნიშვნელობა)

სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს ხელოვნებათმცოდნე, რომელიც საფუძვლიანად ფლობს ხელოვნების ისტორიის დარგში დაგროვილ ცოდნასა და კვლევის მეთოდებს; რომელსაც ექნება უნარი დამოუკიდებლად ჩაატაროს კვლევა, სიდრმისეულად გაიაზროს, კრიტიკულად მიუდგეს არსებულ იდეებს, გაანალიზოს ახალი მასალა, გამოიტანოს ლოგიკური, დასაბუთებული დასკვნები და ხელოვნების ისტორიის სფეროში შექმნას ახალი ცოდნა, რომელსაც ექნება არა მხოლოდ ლოკალური, ადგილობრივი მნიშვნელობა, არამედ თავის წვლილს შეიტანს ხელოვნებათმცოდნეობით მეცნიერებაში.

პროგრამის ამოცანაა შეუქმნას დოქტორანტს პირობები ინტელექტუალური ზრდისთვის, კვლევითი პოტენციალის გააქტიურებისთვის. ხელოვნების ისტორიული და თანამედროვე მოვლენების გააზრებას როგორც ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი დამოკიდებულებების (საზოგადოებასთან, სამყაროსა და გარემოსთან) გამომხატველი სფეროსი, როგორც წარსულში, ისე აწმყოში. პროგრამა გამოიზრუნავს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ეროვნული და საერთაშორისო კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული და თანამედროვე სახელოვნებო პროცესების კვლევას და ამით თავისი წვლილი შეიტანოს ადამიანისა და სამყაროს ფუნდამენტური მიმართებების წარმოჩენაში.

პროგრამის კონცეფცია: საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა „ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში“ ითვალისწინებს სამ ძირითად სასწავლო-კვლევით მიმართულებას: **ქართული ხელოვნების ისტორია, ახალი ქართული ხელოვნება და თანამედროვე ვიზუალური ხელოვნებისა და სცენოგრაფიის ანალიზი და ძირითად მეთოდად იყენებს კომპარატივისტული კვლევის მეთოდს.**

ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი I სემესტრის დასაწყისში ირჩევს პროგრამით შემოთავაზებული მოდულებიდან ერთ-ერთს. ყოველი კონკრეტული მოდული და მასში შემავალი დისციპლინები ეხება იმ კვლევით პრობლემებს, რომელზეც მუშაობს კონკრეტული პროფესორი და რომელი მიმართულებითაც მას სურს მიიღოს დოქტორანტები. იმავედროულად სტუდენტმა უნდა აირჩიოს სადოქტორო კვლევის თემა და ხელმძღვანელი. სტუდენტი ამზადებს დისერტაციის პროექტს და წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს არა უგვიანეს III სემესტრის დასაწყისისა.

პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან: პროგრამა შეესაბამება მისიაში ფორმულირებულ მიზნებს იკვლევს რა ხელოვნებათმცოდნეობით საკითხებს, რომლებიც უკავშირდება საქართველოსა და მსოფლიო ხელოვნებას.

პროგრამის კონკრეტული მიზანია სამეცნიერო ინტერესის საგნად გაიხადოს პრობლემური სფეროს გამოკვლევა: ქართული ხელოვნების და სხვა კულტურული წრეების ურთიერთმიმართება. ყოველივეს წარმოიჩინა და დადგენა უნდა მოხდეს ხელოვნების ისტორიის ამა თუ იმ ეტაპისთვის ნიშნული პრობლემური საკითხის, ან/და კონკრეტული, სახელოვნებო ასპექტის გამოკვლევის გზით; როგორცაა მაგალითად, ჯერ კიდევ ბუნდოვანი და შეუსწავლელი მხატვრული მოვლენების კვლევა, საზღვარგარეთ არსებული ქართული ხელოვნების ნიმუშების კვლევა, საქართველოში არსებული სხვა ხალხების ხელოვნების ნიმუშთა კვლევა. ანდა, მაგალითად, სცენოგრაფიასთან დაკავშირებული სამეცნიერო პრობლემატიკა, რომელიც თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სპეციფიკური კვლევითი მიმართულებაა ხელოვნებათმცოდნეობის ფარგლებში.

საქართველომ – ქვეყანამ, რომელიც ევროპისა და აზიის გზათშესაყარზე იმყოფებოდა, საუკუნეების მანძილზე შექმნა განუმეორებელი და ორიგინალური ხელოვნება, რომელიც თავის თავში აერთიანებდა მრავალ ასპექტს და განუმეორებელ ესთეტიკურ კონცეფციებს. აქამდე წარმოებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ქართული ხელოვნების ისტორია გვიჩვენებს საუკუნიდან საუკუნეში გარდამავალ, მყარ მხატვრულ ფორმებს, რაც აერთიანებს ყველა დროისა და ეპოქის ქართულ ხელოვნებას და განაპირობებს მის განსახვდურულ ადგილს მსოფლიო კულტურაში.

პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა შეუქმნას დოქტორანტს პირობები, რათა ხელოვნების ისტორიის და დარგის ძირითადი იდეები საფუძვლიანად გაიაზროს და გაითავისოს, ამით ჩვენ შევინარჩუნებთ ხელოვნებათმცოდნეობის დარგში ცოდნის უწყვეტობას, სიცოცხლისუნარიანობას;

პროგრამით დასახული მიზნების განხორციელების გზაზე მორიგი ამოცანაა მომავალი დოქტორის მიერ გააზრება იმისა, თუ როგორ თავსდება ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევების სფერო საერთო ინტელექტუალურ სივრცეში. დოქტორანტურაში სწავლის და კვლევის პროცესი მიმართული უნდა იყოს თანამშრომლობის უნარის განვითარებაზეც: დოქტორმა უნდა იცოდეს როგორ ითანამშრომლოს მონათესავე ჰუმანიტარული, სოციალური და სხვა დარგების სპეციალისტებთან ინტერდისციპლინარული კვლევის დროს.

პროგრამის კიდევ ერთი ძირითადი ამოცანაა განუვითაროს დოქტორანტს ცოდნის ტრანსფორმირების უნარი. მას უნდა შეეძლოს მასალის გასაგები ფორმით პრეზენტირება, ცოდნის გადაცემა, სწავლება. მას უნდა შეეძლოს ცოდნის მიწოდება ყველა დაინერესებული პირისათვის: ნებისმიერ დონეზე (პროფესიული წრე, ფართო საზოგადოება).

პროგრამის აქტუალობა და მნიშვნელობა განპირობებულია მისი მიზნით – წინ წამოწიოს ისეთი საკითხების გამოკვლევა, რომლებიც ქართულ ხელოვნებას წარმოაჩენს როგორც მსოფლიო ხელოვნების ნაწილს, აჩვენებს მისი კავშირ-ურთიერთობების რაგვარობას სხვა ხალხების ხელოვნებასთან, ქართული ხელოვნების ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მიმდინარე პროცესებს განიხილავს მსოფლიო მხატვრულ მოვლენებთან მიმართებით, საერთაშორისო კონტექსტში და ამ გზით შექმნის ახალ ცოდნას ხელოვნების ისტორიის სფეროში.

საკითხის აღნიშნული ფორმით დასმა მოითხოვს ქართული ხელოვნების ისტორიაში დადგენილი ფაქტების, მხატვრული მოვლენების აღნიშნული კავშირების მსგავსება-განსხვავებების კუთხით გადააზრებს, ასევე, ახალი, აქამდე უცნობი,

შეუსწავლელი ანდა ნაკლებ შესწავლილი მხატვრული მოვლენების თავისებურებების გამოყოფას, ამა თუ იმ ისტორიულ ეტაპზე აღმოცენებული მხატვრულ-სტილისტური მოდელების და მოდიფიკაციების ბუნებაში გარკვევას და სიღრმისეულად კვლევას, ისტორიულ ანალიზს, კრიტიკული კითხვების დასმას და ამ კითხვებზე პასუხის ძიებას.

ეს პრობლემატიკა ხელოვნებათმცოდნეობის დარგში საკითხის მრავალი კუთხითა და მრავალი ასპექტით შესწავლას მოითხოვს და სწორედ ეს განაპირობებს დოქტორანტთა საკვლევო თემების მრავალფეროვნებას.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება მიეცემათ არა მხოლოდ ახალი მეთოდების გამოყენების, არამედ მონაწილე გახდებიან მოვლენათა ანალიზის საფუძველზე კვლევის უახლესი მეთოდების ძიების და შემუშავების. თამაშდროვე ხელოვნების/კულტურის კომპლექსური ცოდნა და მეთოდოლოგიური კვლევის გამოცდილება ჩამოაყალიბებს სპეციალისტებს, რომელთა ნაკლებობა დღეს შესამჩნევია სასწავლო, სამეცნიერო და სამაუწყებლო დაწესებულებებში.

პროგრამის შინაარსი ესადაგება ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებაზე ამჟამად მიმდინარე სამეცნიერო საგრანტო პროექტს, რომლის I ეტაპი დაფინანსებულია რუსთაველის ფონდის მიერ და მიზნად ისახავს ხელოვნების ტერმინთა ლექსიკონის შექმნას. ლექსიკონის ძირითადი სიახლე ის იქნება, რომ ქართული ხელოვნების ისტორიაში არსებული მხატვრული მოვლენები აისახება საერთაშორისო ტერმინოლოგიის პარალელურად და დაუკავშირდება მსოფლიო ხელოვნებას, ხოლო მსოფლიო ხელოვნებაში არსებული მხატვრულ მოვლენებს დაემატება ქართული მასალაც.

დოქტორანტებს საშუალება ექნებათ პროექტის ფარგლებშიც გაწიონ ასისტენტობა, შეიძინონ ჯგუფში სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება და თავისი წვლილი შეიტანონ პროექტის განხორციელებაში.

პროგრამით გათვალისწინებული სავარაუდო საკვლევო საკითხები

პროგრამის საკვლევო თემატიკა სამ კონკრეტულ მიმართულებას მოიცავს:

1 კველი ქართული ხელოვნების ისტორიის (ძირითადად, შუა საუკუნეების პერიოდი) საკითხები, რომელიც ძველ ქართული ხელოვნებისა და თანადროული მსოფლიო ან კავკასიის რეგიონის ხელოვნების, შედარებით კვლევას გულისხმობს. მისი ინტერესის საგანია მსოფლიო ხელოვნებათმცოდნეობაში დღეს არსებული თეორიული შეხედულებებისა და ხელოვნების ისტორიის კვლევის მეთოდების შესწავლა, ქართული მასალის კვლევისთვის მისაღები ასპექტების გამოკვეთა.

მიმართულება შესაძლებლობას იძლევა ხელოვნების სხვადასხვა სფეროების (არქიტექტურა, რელიეფები, მხატვრობა, ოქრომჭედლობა) შესწავლის კუთხით განვითარდეს, სადისერტაციო თემა შემოიფარგლოს როგორც კონკრეტული დარგით ანდა კონკრეტული ძეგლებით, ისე რომელიმე სამეცნიერო პრობლემით, რომელიც სხვადასხვა სფეროთა კვლევას გულისხმობს და მოითხოვს ინტერდისციპლინარულ მიდგომას, ერთი კულტურის შიგნით სხვადასხვა სფეროების კავშირის რაგვარობის დადგენას. სხვა საკვლევო თემები შეიძლება გახდეს: დღემდე შეუსწავლელი კონკრეტული ძეგლი ან ძეგლების ჯგუფი; საქართველოში შემოსული ბიზანტიური, ისლამური, ევროპული და ა. შ. მხატვრული ტენდენციების ტრანსფორმირების და გავლენის საკითხები, ქართული ხელოვნების სხვა ქვეყნებსა და კულტურულ წრეებზე ზემოქმედების საკითხები. შემდეგი საკვლევო პრობლემაა კავკასიის, როგორც კულტურულ-

სახელოვნებო რეგიონის კვლევა და მასში ქართული ხელოვნების და ურთიერთზემოქმედების ხარისხისა და როლის გამოკვეთა. გარდა ზემოჩამოთვლილი ძირითადი პრობლემატიკისა, დოქტორანტს შესაძლებლობა ექნება ხელოვნების ისტორიასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხების შესწავლისა და კვლევისა.

2. ახალი ქართული ხელოვნება, რომელიც ორიენტირებულია თანამედროვე ეტაპსა და მის საწივებზე (ძირითადად, XIX-XX სს.) და აინტერესებს თეორიულ-ესთეტიკური შეხედულებები, რომლებმაც განსაზღვრეს ახალი და უახლეს ეპოქათა ხელოვნების შინაგანი წინააღმდეგობრივი ხასიათი. თავისუფლების იდეების და დასავლური ლიბერალური ღირებულებების შემოღწევა საქართველოში და მათი შემოქმედებითი ინტერპრეტაციები; XIX-XX სს. მიჯნაზე საქართველოში ევროპიდან შემოღწეულ მიმართულებათა თავისებურებანი. შემოქმედებითი გათავისება, თუ ეპიგონობა;

ე.წ. „მხატვრული ქართულობის ძიებათა სირთულეები. ეროვნული და ზეეროვნული; ტრადიცია და ნოვატორობა. საქართველოში მოქმედი სამხატვრო-საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შემოქმედებითი პრაქტიკული მოღვაწეობა ეროვნული კულტურის ფაქტორის გათვალისწინებით, საერთაშორისო მხატვრული ტენდენციების ფონზე.

XIX-XX სს. სამხატვრო კრიტიკის ჩამოყალიბება საქართველოში. საზოგადოებრივი მოთხოვნების და დაკვეთების ფორმირების თავისებურებანი საქართველოში. არტ-პროდუქტის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის, შეფასების კრიტერიუმების შკალა თანამედროვე საქართველოში.

ქართული სახვითი ხელოვნება ემიგრაციაში ემიგრაციული ნაკადების ტიპოლოგიური დახასიათების ფონზე. შემოქმედის ინსპირაცია უცხო გარემოში სოციალურ-კულტურული ადაპტაციის პროცესში.

პოსტმოდერნისტული ხელოვნების თავისებურებანი საქართველოში, საექსპოზიციო ხელოვნების ტრადიციული ფორმები და განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ტექნოლოგიები და არტ-პროდუქტი. დიჯიტალური ხელოვნება.

გარდა ზემოჩამოთვლილი ძირითადი პრობლემატიკისა, დოქტორანტს შესაძლებლობა ექნება დიფერენცირებულად შეისწავლოს თანამედროვე ხელოვნების ჟანრობრივი მრავალფეროვნება, მათი სპეციფიკა, სახვითი ენის თავისებურებანი, მხატვრობის ესთეტიკური კონცეფციების ზემოქმედება მხატვრული ფორმების მოდიფიკაციებზე და სხვ.

3. თანამედროვე ვიზუალური ხელოვნებისა და სცენოგრაფიის ანალიზის მიმართულებით საკვლევი საკითხების თემატიკა განისაზღვრება როგორც თანამედროვე მხატვრული პროცესების კვლევით, ისე სცენოგრაფიის ისტორიის სფეროში დღეს არსებული მდგომარეობით:

სცენოგრაფია მე-20 საუკუნის ქართული ხელოვნების ერთ-ერთი ყველზე წარმატებული დარგია. მიუხედავად განვითარების მაღალი დონისა და მდიდარი ისტორიისა, ის სათანადოდ არ არის შესწავლილი. გამოსაკვლევი პრობლემები მრავალია და მრავალმხრივი: ქართული და მსოფლიო სცენოგრაფიის ისტორიის საკითხები, პერიოდები, ცალკეული მხატვრები, მიმდინარეობები, რომლებმაც ასახვა პოვეს ამ დარგში, ზოგადი ხასიათის თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები, და სხვა.

სადოქტორო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია:

სადოქტორო პროგრამის სასწავლო მეთოდოლოგია გულისხმობს სწავლების სხვადასხვა მეთოდთა გამოყენებას. პრიორიტეტი ენიჭება ინტენსიურ სასემინარო სწავლებასა და პრაქტიკა-ასისტენტირებას. წსავლებისას, როცა ეს საჭიროა, შესაძლებელია გამოვიყენოთ მეთოდთა შერწყმის გზა. განსაკუთრებით ეს ეხება სწავლების ინდუქციურ და დედუქციურ მეთოდებს, რომელთა სინთეზირება კონკრეტული დისციპლინის ფარგლებშიც შესაძლებელია განხორციელდეს. სწავლების პროცესში, სილაბუსით განსაზღვრული სასემინარო თემატიკა და ამოცანა, პედაგოგის ხელმძღვანელობით, შესაძლებელია განვითარდეს როგორც კერძო ფაქტების განზოგადებკენ, ისე თავდაპირველად ზოგადი მახასიათებლის გამოკვეთასა და შემდგომ კონკრეტული გამოვლინებების შესწავლისკენ. დედუქციური მეთოდი განსაკუთრებით მისაღებია სასემინარო მუშაობისას, როდესაც უკვე მის განკარგულებაში არსებულ ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით დოქტორანტი ახალ, გადრმავებულ ცოდნას იძენს კონკრეტული მიმართულებით. რამდენიმე დოქტორანტის არსებობის შემთხვევაში გამოყენებული იქნება ჯგუფური მუშაობის მეთოდიც. ერთობლივი დავალებების შესრულება, ფუნქციების გადანაწილება, დოქტორანტებს ჯგუფური მუშაობის უნარს განუვითარებთ.

სწავლების სხვა მეთოდთაგან ვიყენებთ ანალიზისა და ახსნა-განმარტების მეთოდებს. ამათგან ანალიზის მეთოდი გამოიყენება კონკრეტული დავალებების შესრულებისას, ხოლო ახსნა-განმარტებითი მეთოდის გამოყენება გულისხმობს საკითხის ირგვლივ სემინარებზე მსჯელობას, მოცემული თემის ფარგლებში კონკრეტული მაგალითის დაწვრილებით განხილვას.

სწავლების მეთოდოლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, რომლის წილიც ძირითადად ასისტენტირების პროცესზე მოდის. სტუდენტს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალება ეძლევა. ასისტენტირება ავითარებს აუცილებელ უნარებს: სტუდენტთან ურთიერთობის უნარს, ცოდნის ტრანსფორმირების უნარს, მასალის პრეზენტირების უნარს, ცოდნის გადაცემასა და ა. შ.

სასწავლო პროცესი, რომელიც სემესტრებადაა დაყოფილი, პირველი სემესტრიდანვე ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევისთვის აუცილებელ სამუშაოსაც: ყოველი სემესტრის შემდეგ კვლევითი ნაშრომის გარკვეული ეტაპის ამსახველი მასალის ან კონკრეტული საკითხის კვლევაა წარმოსადგენი. თავად კვლევის მეთოდოლოგია შერჩეული იქნება კონკრეტული საკვლევი თემიდან გამომდინარე.

შედეგები

სადოქტორო პროგრამის სრული კურსის დასრულების და დისერტაციის დაცვის შემდეგ

- მივიღებთ ნაშრომს, რომელიც იქნება ახალი ცოდნა ხელოვნებათმცოდნეობაში;

- დოქტორანტი მოიპოვებს აკადემიურ ხარისხს - ჰუმანიტარული მეცნიერებების დოქტორი ხელოვნებათმცოდნეობაში.
- დოქტორს ექნება საფუძვლიანი, ღრმა და სისტემური ცოდნა ხელოვნების ისტორიაში, სამომავლო საკვლევი პრობლემატიკის გლობალური ხედვა;
- მას ექნება ხელოვნებაში მიმდინარე ისტორიული ან/და თანამედროვე პროცესების კვლევისა და გაანალიზების უნარი;
- ის ღრმად გააცნობიერებს ხელოვნების არსს, კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას და შეძლებს მოძებნოს სათანადო გზები და მეთოდები ცოდნის გადასაცემად.
- დოქტორი შეძლებს ქართული ხელოვნების გააზრებას მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში, კულტურული მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის არსში ჩაწვდომას, კავშირების დადგენას სხვადასხვა ხალხთა ხელოვნებათა შორის.
- შეძლებს საქართველოს, ევროპის, ისლამური ხელოვნების წარსული მხატვრული მოვლენების ინტერპრეტირებას, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. მათ განხილვას, საერთო ისტორიული და კულტურული მიმართებით, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს ინტერდისციპლინალურ ანალიზს.
- ხელოვნების თეორიისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდების ფლობა საშუალებას მისცემს მას იმუშაოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე; ის არჩევს მეთოდოლოგიას და ახდენს შეუსწავლელი ხელოვნების ნაწარმოების დათარიღებას, მხატვრული და ისტორიული ადგილის განსაზღვრას, შეფასებას.
- ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი შეძლებს გამოიყენოს ცოდნა პრაქტიკაში: ერთი მხრივ, გადასცეს ცოდნა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროში სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე მყოფ სტუდენტებს. მეორე მხრივ, სამეცნიერო-კვლევით სფეროში საქმიანობისას ანალიტიკურად მიუდგეს პრობლემას, დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს კვლევითი პროექტი, ასევე ზედამხედველობა გაუწიოს კვლევის მსვლელობას; აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით მას შეეძლება შექმნას ახალი ცოდნა, რაც აისახება მის სამეცნიერო პუბლიკაციებში.
- დოქტორს შეეძლება განახორციელოს ცალკე აღებული ხელოვნების ძეგლის ან ძეგლთა ჯგუფის მრავალმხრივი შესწავლა, საჭიროების შემთხვევაში არგუმენტირებული დათარიღება, საერთო ისტორიულ კონტექსტში განხილვა და ხელოვნების ისტორიაში ადგილის მიჩენა. მას შეუძლია განახორციელოს სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ან სამუზეუმო კოლექციის კვალიფიციური ექსპერტიზა.
- მას ექნება არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი მაშინაც კი, თუ მონაცემები რთული, არასრული და წინააღმდეგობრივია. ამ პროცესში ის შეძლებს გამოიყენოს ახალი მიდგომები, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რესურსები და დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება.
- ხელოვნების ისტორიისა და მისი კონკრეტული სფეროს საფუძვლიანი ცოდნა და კვლევის უნარი საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს შეაფასოს და გააკრიტიკოს არსებული ინფორმაცია, ასევე, დაიცვას მოპოვებული ცოდნა, ლოგიკურად დაასაბუთოს დასკვნები. ყოველივე მოგვეცემს სპეციალისტს, რომელსაც ექნება კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისა და სამომავლო პროექტების განვითარებას უნარი.

- ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს შეეძლება ხელოვნების ისტორიის სფეროში არსებული ცოდნა და ძირითადი იდეები საფუძვლიანად გაიაზროს და გაითავისოს, ამით ჩვენ შევინარჩუნებთ ხელოვნებათმცოდნეობის დარგში ცოდნის უწყვეტობას; მით დოქტორი იქნება ხელოვნებათმცოდნეობაში არსებული ცოდნის და გამოცდილების მატარებელი და შემნახველი.
- ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი გაიაზრებს თუ როგორ თავსდება მისი სამეცნიერო კვლევების სფერო საერთო ინტელექტუალურ სივრცეში; ეცოდინება როგორ ითანამშრომლოს მონათესავე დარგების სპეციალისტებთან ინტერდისციპლინარული კვლევის დროს.
- დოქტორმა უნდა შესძლოს მომავალი თაობების აღზრდა: დოქტორს ექნება ცოდნის ტრანსფორმირების უნარი. მას უნდა შეეძლოს მასალის გასაგები ფორმით პრეზენტირება, ცოდნის გადაცემა, სწავლება. მას უნდა შეეძლოს ცოდნის მიწოდება ყველა დაინერესებული პირისათვის: ნებისმიერ დონეზე (პროფესიული წრე, ფართო საზოგადოება).

სალოქტორო პროგრამის კვალიფიკაციის აღმწერი (დესკრიპტორი):

ცოდნა და გაცნობიერება

სრული კურსის გავლისა და დისრეტაციის დაცვის შემდეგ

- დოქტორს აქვს ხელოვნების ისტორიის ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც ეფუძნება ხელოვნებათმცოდნეობის დარგში დღეისათვის არსებულ მიღწევებს.
- ფლობს კვლევისათვის აუცილებელ მეთოდოლოგიას, იყენებს მას კვლევითი საკითხის შესაბამისად;
- ის აცნობიერებს პროფესიულ პასუხისმგებლობას, მისი დასკვნების მნიშვნელობას და შედეგებს;
- დოქტორი წარსული ეპოქებისა და თანამედროვეობის შემოქმედებით თავისებურებებს არსობრივად აცნობიერებს. ყოველივე მას საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, დამოუკიდებლად განსაზღვროს ხელოვნებათმცოდნეობაში პრობლემური საკითხები და მეორე მხრივ, განახორციელოს კვლევები.
- ყოველივე იქნება ხელოვნებათმცოდნეობით მეცნიერებაში არსებული ცოდნის გაფართოების საწინდარი, ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს სხვა კულტურების კვლევებით პროექტების განხორციელების, ახალი მეთოდების შემუშავების, არსებული ცოდნის ხელახალი, შესაძლოა კრიტიკული გადააზრების, ჯერაც დამოუკიდებელ საკითხებზე კი მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებული ცოდნის შექმნის შესაძლებლობა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- დოქტორი ფლობს რა ხელოვნებათმცოდნეობაში ფართო და ასევე, სპეციფიკურ, ღრმა ცოდნას, აცნობიერებს რა მეცნიერების დღევანდელ მდომარეობას, დამოუკიდებლად გეგმავს ახალი, პრობლემური საკითხის/საკითხების გამოკვლევას;
- მას შეუძლია უხელმძღვანელოს მკვლევართა ჯგუფს ან იმუშაოს ჯგუფში, კონკრეტულ საკითხზე, კვლევის პროცესში დაეყრდნოს როგორც არსებულ მეთოდოლოგიას, ისე მის მიერ შემუშავებულ ახალ მეთოდს და მიდგომას.
- დოქტორის საერთაშორისო, რეფერირებული პუბლიკაციები ასახავს ახალ გამოკვლევებს. ამდენად, მას შეუძლია: სამეცნიერო ნაშრომების წერა,

სამეცნიერო მოხსენების წარმოდგენა, აზრის ნათლად და ზუსტად ჩამოყალიბება, სხვადასხვა შეხედულებათა ინტერპრეტაცია, კონტექსტან დაკავშირება.

- სახელმძღვანელოების შექმნა, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის შექმნა.
- სალექციო კურსების მომზადება-წაკითხვა.
- დოქტორს აქვს უნარი ცოდნა გადასცეს სხვას, იქნება ეს სტუდენტი (საუნივერსიტეტო სწავლების ყველა – საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო – დონეზე), თუ სხვა სფეროს დაინტერესებული წარმომადგენელი.
- სამეცნიერო კვლევებისა და პედაგოგიური უნარ-ჩვევების ახალ და თანამედროვე კვლევის მეთოდებთან თანაზიარობა შესაძლებლობას აძლევს მას გაზარდოს ხელოვნებათმცოდნეთა მომავალი თაობა.

არგუმენტირებული დასკვნის უნარი

- კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით, შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება წარსული ეპოქების ხელოვნების ნიმუშებს.
- შეუძლია ახალი მიდგომების სინთეზი, რითაც ხელოვნების ისტორიის და თეორიის სფეროში ხელს უწყობს ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარებას;
- აქვს უნარი, პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება და საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს დამატებითი რესურსები.

კომუნიკაციის უნარი

- დოქტორი ფლობს კომუნიკაციისთვის საჭირო პრაქტიკულ უნარს. ამ უნარებს იგი გამოიყენებს როგორც პედაგოგი (სწავლების სხვადასხვა საფეხურზე და სხვადასხვა აუდიტორიასთან ურთიერთობისას) და როგორც მეცნიერი-მკვლევარი საკვლევ მასალასა და სამეცნიერო საზოგადოებასთან (სამეცნიერო წრეები, გამომცემლობები, სხვა პედაგოგები) ურთიერთობების პროცესში.
- წინამდებარე პროგრამაზე სწავლის წინაპირობაა უცხო ენის ცოდნა, რომელიც ღრმავდება სწავლის პერიოდში სპეციალური, უცხოენოვანი ლიტერატურის დამუშავებისას და სხვა სამეცნიერო აქტივობისას. ამდენად, კურსდამთავრებულს, რომელმაც დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა დოქტორის ხარისხი აქვს მინიმუმ ერთი უცხო ენის ცოდნა, რასაც კოლეგებთან, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, სემინარებსა თუ ვორკშოფებზე, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისას გამოიყენებს.
- დოქტორი იცნობს და ერკვევა თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში და შეუძლია მათი პრაქტიკული გამოყენება დარგისთვის სპეციფიკურ კონტექსტში, სასწავლო პროცესში და სამეცნიერო კვლევისთვის. შეუძლია თანამედროვე ტექნიკური საშუალებების შესაძლებლობების სხვებისთვის, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნის გადაცემა.

სწავლის უნარი

ხელოვნებათმცოდნეობის სპეციფიკის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და სწავლის პერიოდში მიღებული გამოცდილება გამოუმუშავებს

დოქტორანტს უნარს მუდმივად განახლოს ცოდნა არა მარტო ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროში, არამედ, მონათესავე, მისი კვლევისთვის საჭირო დარგებში. მას ექნება მზაობა მუდმივი საქმიანობისა და სწავლისათვის.

ღირებულებები

- სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული დოქტორი აცნობიერებს და სიღრმისეულად გაიაზრებს წარსული ეპოქებისა და თანამედროვედროვე ხელოვნების როლს და მნიშვნელობას ღირებულებათა სისტემაში, ესმის მხატვრული შემოქმედების ფასეულობა;
- ის თავისი მოღვაწეობით ერთი მხრივ, იკვლევს სხვადასხვა პერიოდის ხელოვნებას, როგორც საზოგადოების ღირებულებათა სისტემის ნაწილს, მისი, როგორც ღირებულების დამკვიდრების გზებს; მეორე მხრივ, გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა ცოდნის გავრცელებისა და დარგის შემდგომი შემოქმედებითი განვითარების საქმეში.
- ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი იმუშავებს გზებს, რათა ხელი შეუწყოს მხატვრული შემოქმედების, როგორც საკაცობრიო და ეროვნული კულტურული სისტემის ნაწილის გააზრებას და საზოგადოებაში მისი, როგორც ფასეულობისა და ღირებულების დამკვიდრებას.

სადოქტორო პროგრამის კომპეტენციები:

საგნის ცოდნა და გაცნობიერება (გააზრება):

- აქვს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის უახლეს კვლევებზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა, ერკვევა დამხმარე დისციპლინებში. აქვს ქართული ხელოვნების ისტორიის პრობლემატიკის სრულყოფილი და კვლევითი გზით მიღებული ცოდნა.
- ფლობს შედარებითი კვლევის მეთოდებს, რომელიც შეუძლია გამოიყენოს, როგორც კონკრეტული ძეგლის ან ხელოვნების ნიმუშის შესწავლისას, ისე მხატვრული მოვლენის ან მოვლენათა ჯგუფის შესწავლა-გაანალიზებისას.
- ღრმად გაიაზრებს ხელოვნების ცალკეულ მოვლენებს ზოგადკულტუროლოგიურ კონტექსტში;
- სრულიად ფლობს ხელოვნებათმცოდნეობის სპეციფიურ თეორიულ და კვლევით მეთოდებს. აქვს ხელოვნებათმცოდნეობითი დარგის განვითარების, სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომების ჩამოყალიბებისა და მათი არსის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია და აცნობიერებს მათ სპეციფიკას.
- შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა სახის რესურსები გნოსეოლოგიური და აქსეოლოგიური კვლევის თვალსაზრისით.
- მისი პუბლიკაციები დარგობრივ სფეროში მსოფლიო სამეცნიერო სტანდარტის დონეზეა.

პრაქტიკასთან დაკავშირებული კომპეტენციები:

- ეცოდინება ხელოვნების ისტორიის სწავლების თავისებურებანი და ცოდნის მიწოდება ქართული მასალის გათვალისწინებით.
- შეეძლება დამოუკიდებელი მუშაობა ლექციის, სემინარის მომზადებაზე.
- შეუძლია პროფესიულ დონეზე ამოცანათა დაგეგმვა და განხორციელება.
- ექნება ხელოვნებათმცოდნეობითი ძიებების სრულყოფილად ჩატარების და მოძიებული ფაქტების ანალიზის, სინთეზის, ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში წარმოდგენის უნარი. დამოუკიდებლად შეეძლება ქართული

ხელოვნების სფეროში წარელობითი ნაშრომის, როგორც სტატიის, ასევე მონოგრაფიის ხელოვნებათმცოდნეობითი მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გაფორმება.

- თანამედროვე ხელოვნებათმცოდნეობის სფეროში შექმნის ინოვაციური ხასიათის შედგენას და მის განხორციელებას.
- შექმნის ხელოვნების ნიმუშთა ესპერტიზას და ატრიბუციას.
- შექმნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რესტავრაცია-კონსერვაციისთვის კვალიფიციური ხელოვნებათმცოდნეობითი რეკომენდაციის და ასევე, საექსპერტო დასკვნის გაცემას.
- შექმნის დაგეგმოს ან მონაწილეობა მიიღოს გამოფენების, აუქციონების, მოწვობაში. დამოუკიდებლად შეიმუშაოს საექსპოზიციო კონცეფცია.
- შექმნის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საკითხებისადმი მიძღვნილ სხვა ნაშრომთა რეცენზირება, კომენტირება, შეფასება.
- შექმნის სახელმწიფოებრივი უწყების მიერ კულტურული პოლიტიკის შემუშავებაში კვალიფიციური რეკომენდაციების გზით მონაწილეობის მიღება.
- შექმნის შეუსწავლელ ან უცნობ ძეგლთა შესწავლა, მასზე როგორც პირადპირი, ისე ირიბი ინფორმაციის შეკრება, გააზრება, ძეგლის ისტორიულ კონტექსტში განხილვა, მისი სამეცნიერო მიმოქცევაში ჩაყენება. წერილობითი ნაშრომის გამოსაცემად მომზადება და შესაბამისი სამეცნიერო აპარატით აღჭურვა.

ზოგადი (ანუ გადანაცვლებადი) კომპეტენციები (უნარ-ჩვევები) :

- შეუძლია უცხოენოვან ლიტერატურაზე მუშაობა, მონაწილეობა დისკუსიებში როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე, აქვს პრეზენტაციის უნარი.
- ეფექტური და პროდუქტიული მუშაობა ჯგუფთან ერთად;
- შეუძლია კვლევითი სამუშაოს შესრულებისას შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამომუდავება;
- აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სათანადო უნარ-ჩვევები; შეუძლია მათი გამოყენების და პოტენციალის შესახებ ცოდნის გამომუდავება;
- შეუძლია პროფესიონალიზმის გამომუდავება საკუთარი დარგობრივი სპეციალიზაციის დარგში;
- აქვს კოლეგებთან მოლაპარაკების, შეთანხმების და მათ გარემოში საკუთარი მიზნის მიღწევის უნარი;
- შეუძლია საზოგადოებრივ მოვლენებში სწარფი ორიენტირების და ადექვატური თეორიული და პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღება.

პრობლემის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები

- უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა;
- მუზეუმებში ან ძეგლთა დაცვის ორგანიზაციებში კვლევითი ან ადმინისტრაციული საქმიანობა (ხელმძღვანელ პოზიციაზე);
- კვლევით-სამეცნიერო დაწესებულებებში სამეცნიერო მოღვაწეობა;
- სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში სახელოვნებო მიმართულებით ადმინისტრაციული ან სამუშაოს შესრულება (ხელმძღვანელ პოზიციაზე);
- ხელოვნებათმცოდნე-ექსპერტის რანგში მუშაობა (საბაჟო სამსახურში, აუქციონებზე, ბანკებში და ა.შ.).

- დამოუკიდებელი ექსპერტის ან მკვლევარის სტატუსით მუშაობა;
- დამოუკიდებელად პროექტის დაგეგმვა, ამოცანების განსაზღვრა და განხორციელება;
- სამეცნიერო ჯგუფში მუშაობა, როგორც კონკრეტული ამოცანის შემსრულებლის, ისე ჯგუფის ხელმძღვანელის რანგში.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სადოქტორო პროგრამის დოქტორანტები იყენებენ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ცენტრს. ამასთანავე, უნივერსიტეტში არსებობს ფილმოთეკა, გამომცემლობა „კენტავრი“, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“, ყოველწლიური კონფერენციები. შესაძლებელია მათი მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებზე, თემატურ ფორუმებზე.

უნივერსიტეტში არსებობს პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მის ფინანსურ სტაბილურობას. ფინანსური გეგმა ასახულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში.

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა

სწავლების ხანგრძლივობა – საქართველოს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ” ადგენს სულ მცირე 3 წლის ვადას. დოქტორანტურაში სწავლის ფორმატი მხოლოდ დღის დასწრებული სწავლებაა. რიგ შემთხვევაში დოქტორანტს მიეცემა დამატებითი ვადა კვლევის დასრულებისათვის.

დასახელება	მედიის კვლევა (კულტურა მედიაში)
მიმართულება	სოციალური მეცნიერებები
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	დოქტორანტიურის აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	სოციალური მეცნიერებების დოქტორი (მედიის კვლევები), PhD in Media Sciences
პროგრამის ხელმძღვანელი	ბიორბი ჩართოლანი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. ტ.+99532 999 606; მობ. +99577 500 326; e-mail: chartolani@gmail.com ; chartolani@hotmail.com
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	180 კრედიტი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	დოქტორანტობის კანდიდატს უნდა გააჩნდეს სოციალური, ჰუმანიტარული, ხელოვნების, კულტურის მეცნიერებათა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული პირის კვალიფიკაცია. სხვა კვალიფიკაციის მქონე მაგისტრების ან მათთან გათანაბრებული პირებისთვის, აუცილებელია, მედიასაშუალებებში ან “საზოგადოებასთან ურთიერთობების” სამსახურებში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი სტაჟი. დოქტორანტობის კანდიდატი უნდა ფლობდეს უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) 2 დონეზე მაინც. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის არ არსებობის შემთხვევაში კანდიდატები აბარებენ გამოცდას უცხო ენაში, ასევე ყველა კანდიდატმა უნდა გაიაროს გასაუბრება სპეციალობაში.
ანალოგია	NYU Steinhardt - Department of Media, Culture, and Communication - 239 Greene Street, 7th Floor, New York, NY 10003. Doctoral – Doctor of Philosophy in Media, Culture, and Communication. Erasmus Universiteit Rotterdam , Postbus 1738, 3000 DR Rotterdam, Faculty of History and Arts, Specialisation Media, Culture and Society. Ph.D. Program in Law, Society and Culture. The University of Exeter , The Queen's Drive, Exeter, Devon, UK EX4 4QJ Telephone: +44 1392 661000. Department of Sociology & Philosophy.
პროგრამაში ჩართული პერსონალი	დოქტორანტის საკვლევი თემიდან გამომდინარე, კონსულტანტად და საგნების პედაგოგებად მოწვეული იქნებიან დარგის კონკრეტული სფეროს პროფესორები შესაბამისი პროფილის მქონე უნივერსიტეტების ფაკულტეტებიდან და შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები.
დოქტორანტთა რაოდენობა	არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 6 დოქტორანტის მიღება

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება
(მიზანი, შინაარსი, მნიშვნელობა)

ახალი, სრულყოფილი საზოგადოების ფორმირება, ცივილიზებული, დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი, ზნეობრივად სრულყოფილი და ეთიკურად დახვეწილი საზოგადოების შექმნა, რომელიც ორიენტირებულია ლიბერალურ ღირებულებებზე და აღიარებს ადამიანის თავისუფლების პრინციპებს, შეუძლებელია კულტურული ფასეულობების განვითარების და კულტურული ღირებულებების პროპაგანდის გარეშე.

მასმედია ერის კულტურული პოტენციალის ამაღლებას, გემოვნების ფორმირებას და აზროვნების სისტემასაც განსაზღვრავს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მასმედიის საშუალებების მრავალფეროვნების, მისი უანრობრივი თავისებურებების თუ ტექნიკური მრავალფეროვნების გამო, შესწევთ ძალა, მოიცვან თანამედროვე კულტურის თითქმის ყველა სფერო და იქცნენ კულტურის, ხელოვნების და მეცნიერების არა მხოლოდ პროპაგანდისტებად, არამედ მემპტიანეებადაც. მათ შესწევთ უნარი შექმნან ფონდები და შეინარჩუნონ ხელოვნების უნიკალური ნიმუშები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა განსაკუთრებული და გამორჩეული ყურადღება უნდა დაუთმონ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს, იტვირთონ იმგვარი ექსპერტის და მაკონტროლებლის როლი, როგორც მათ დღეს პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში უკავიათ. მასმედიის დიდი ავტორიტეტის გამოყენება უნდა შესძლონ კულტურის სფეროში მოღვაწე ობიექტებმაც. აუცილებელია, თანამედროვე ჟურნალისტიკამ შეიძინოს ქართული კულტურის და ხელოვნების კვალიფიცირებული და კომპეტენტური შემფასებლისა და პროპაგანდისტის ფუნქცია. ამისათვის კი, პირველ ყოვლისა, საჭიროა კულტურის ჟურნალისტიკის სფეროს კვალიფიციური მკვლევარების მომზადება, რის სერიოზულ დეფიციტსაც დღეს აღინიშნება. ამის გამო, პრობლემა, რომლის შესწავლასაც ემსახურება ეს პროგრამა მეტად აქტუალურია თანამედროვე კულტუროლოგიასა და მედიაში, რამდენადაც შეეხება მედიის და კულტურის ურთიერთმიმართებას. მედია, ერთი მხრივ თავად წარმოადგენს კულტუროლოგიურ ფენომენს და, მეორე მხრივ, იყენებს კულტურას, მეცნიერებას, ხელოვნებას, როგორც საზოგადოებაზე ზემოქმედების მნიშვნელოვან იარაღს. შესაბამისად, საზოგადოებრივი აზრის, მისი გემოვნების წარმართვაში მედია პოლიტიკურ, ანალიტიკურ და სხვა უანრების პროდუქციასთან ერთად, იყენებს კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი ხასიათის პროდუქციასაც. საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში ამ პროდუქციას გამორჩეული ადგილი უკავია.

პროგრამა ინტერდისციპლინარულია და მოიცავს როგორც ჰუმანიტარულ (კულტუროლოგია) ასევე სოციალურ (ჟურნალისტიკა) მეცნიერებებს.

პროგრამის უმთავრესი მიზანია, ხელი შეუწყოს იმგვარი ნაშრომების შექმნას, რომლებშიც სრულყოფილად იქნება შესწავლილი როგორც უცხოური მედიის და კულტურის, ასევე ქართული მედიის საშუალებების და ქართული კულტურის ურთიერთმიმართების საკითხები.

პროგრამის კონკრეტული მიზანია უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები, მომავალი დოქტორები შეავსებენ თანამედროვე მედიასივრცეში კულტურის საკითხებზე მომუშავე მედიამკვლევართა არსებულ დეფიციტს. ასევე, ისინი შესძლებენ კულტურის ჟურნალისტიკაში არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ მოღვაწეობასაც. ამ სპეციალობის კურსდამთავრებულები იქცევიან კვალიფიციურ მედია-ექსპერტებად კულტურის სფეროში, რაც შესაძლებლობას მისცემს

საზოგადოებას ზუსტი და პროფესიულად გამართული შეფასებები მიიღოს მედიასაშუალებებში კულტურასა და ხელოვნებაში მიმდინარე მოვლენების ასახვის შესახებ.

სოციალურ მეცნიერებათა მომავალი დოქტორები, რომლებსაც უნივერსიტეტის ეს პროგრამა მოამზადებს, მედიისა და კულტურის ურთიერთმიმართების კვლევების საფუძველზე, შექმნიან ინტერდისციპლინარული ხასიათის თეორიულ ნაშრომებს, რომლებშიც აისახება სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ურთიერთგავლენის და ურთიერთგადაკვეთის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

თანამედროვე საზოგადოების შემსწავლელი მკვლევარებისთვის ამ ტიპის ნაშრომებს ექნება გამორჩეული მნიშვნელობა, რადგან მედია ეს დღეს ის უმთავრესი ინსტიტუციაა, რომელიც არა მხოლოდ ინახავს კულტუროლოგიურ მოვლენებს, არამედ თავად წამოადგენს კულტურის პროპაგანდისტს, ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური იდეების დამამკვიდრებელს, კულტუროლოგიურ ნიმუშთა შემქმნელს და კულტურის საშუალებით საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების საშუალებასაც.

მსოფლიოს მრავალ სახელოვნებო სასწავლებელში ამ ტიპის ანალოგიური პროგრამები იმის გამო არსებობს, რომ თანამედროვე მსოფლიოში სწორედ კულტურის და ჟურნალისტიკის ურთიერთობის მკვლევარები არიან მედიაში მახტვრულ-კულტუროლოგიური მოვლენის უპირველესი შემფასებლები. ისინი გვევლინებიან ხელოვნების და კულტურის საკითხებში მედიაექსპერტებად ბევრ სოლიდურ ბეჭდურ გამოცემაში თუ სატელევიზიო მაუწყებელში.

პროგრამის აქტუალობა და მნიშვნელობა

პროგრამის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, კარგად იკვეთება მისი აქტუალობა და მნიშვნელობა.

თანამედროვე მედია მრავალფეროვანი და განსხვავებულია. ასევე მრავალფეროვანია მასში კულტურის საკითხების, კულტუროლოგიური მოვლენების ასახვის ფორმები, კულტურის და ხელოვნების ნიმუშების გამოყენების მიზნები და ამოცანები.

ქართული მედიის მრავალწლიანმა გამოცდილებამ (როგორც ბეჭდური, ასევე აუდიო-ვიზუალური და ახალი მედიის) ნათლად დაგვანახა კულტურის უდიდესი როლი მედიის განვითარების და მისი ჟანრული სრტუქტურის ფორმირების საკითხებში.

ამ დიდი გამოცდილების მიუხედავად, მედია თითქმის არასდროს გამხდარა კულტუროლოგიური ასპექტების მხრივ კვლევის ობიექტი და შესაბამისად, ამ მიმართულებით თითქმის არ არსებობს კვალიფიციური მკვლევარების მიერ შექმნილი მნიშვნელოვანი ნაშრომები.

საქართველოში მედიას უმეტესად იკვლევენ როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ინსტიტუციას, მის პროპაგანდისტულ, ორგანიზატორულ, სოციალური მართვის და სხვა ამ ტიპის ფუნქციებს და იგი თითქმის შეუსწავლელია მხატვრულ-შემოქმედებითი ასპექტებით საზოგადოებაზე ზემოქმედების მხრივ. არ არის შესწავლილი მედია, როგორც კულტუროლოგიური ფენომენი, არ არის შეფასებული მედიაკულტურის ნიმუშები. მედიამ დღეს თავად იქცა ხელოვნების ახალი, თვითმყოფადი ნიმუშების შემქნელ და არც ეს ფენომენია სრულყოფილად შესწავლილი.

თანამედროვე მედიაკვლევართა მიერ არ არის სისტემატიზებული მედიის ისტორიის საკითხები. იშვიათია თეორიული კვლევები მოსახლეობის აზროვნების და გემოვნების, უბრალოდ ცხოვრების წესის ფორმირებაზე მედიასაშუალების კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების გავლენის შესახებ. ასევე, არ არის შესწავლილი თუ როგორ ზემოქმედებს დემოკრატიული და ლიბერალური საზოგადოების ფორმირების პროცესებზე მედიის სწორედ კულტურული, საგანმანათლებლო, შემცნებითი ფუნქციები.

ამდენად, მედიის კვლევის საკითხებში ამ სერიოზული თეთრი ლაქების ამოვსებისთვის პროგრამას მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია.

პროგრამით გათვალისწინებული სავარაუდო საკვლევი საკითხები

პროგრამის საფუძველზე შეიქმნება მნიშვნელოვანი ნაშრომები, რომლებშიც აისახება მედიის კულტუროლოგიურ საფუძვლები, ჟურნალისტიკის შემოქმედებითი მოღვაწეობის საკითხები, რეკლამის შემოქმედებით ბუნება, კულტურის და ხელოვნების საშუალებით მედიაპროპაგანდის და აგიტაციის საკითხები, ასევე ტელევიზიის, რადიოს, ბეჭდური მედიის ისტორიის, თეორიის და კრიტიკის საკითხები და სხვ.

მაგალითები:

- მედიის როლი კულტურის გლობალიზაციის პროცესში
- მედიაკულტურა როგორც საზოგადოების ფსიქოლოგიური მოდერნიზაციის ინტეგრატორი
- მედია და კულტურული ექსპანსია
- საქართველოს ტელევიზიის როლი XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კულტურის პროპაგანდასა და განვითარებაში.
- ტელევიზიის როლი ახალი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ფორმირების პროცესში (1990 – 2000 წწ.)
- ტელევიზია და თეატრი
- ქართული ტელევიზიების სტუდია
- საზოგადოებრივი ტელევიზიების კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქცია.
- მედიაფსიქოლოგიის როლი კულტურათა ინტეგრაციის პროცესში.
- ტელემედიის მიერ თანამედროვე საზოგადოებაში ახალ კულტურულ ფასეულობათა დამკვიდრების ფსიქოლოგიური ასპექტები.
- პოსტსაბჭოთა საზოგადოებაში დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრების მცდელობა ტელევიზიის კულტუროლოგიური და გასართობი პროგრამების საშუალებით
- ტელე და კინო პროპაგანდის როლი XX საუკუნის ბოლო ათწლეულის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ფორმირების პროცესში
- კულტურა, რელიგია და ტრადიცია მედიაში
- პოლიტიკური და რელიგიური იდეოლოგიის პროპაგანდის ფორმები ტოტალიტარული რეჟიმის ქვეყნების მედიაში
- ბეჭდური მედიის როლი საზოგადოებრივი გემოვნების ფორმირების პროცესში
- კულტურის გაშუქება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ მედიის საინფორმაციო საშუალებებში
- სატელევიზიო რეკლამის მხატვრულ-შემოქმედებითი ასპექტები

შედეგები

სადოქტორო პროგრამის სრული კურსის დასრულების და სადოქტორო ნაშრომის მომზადების შემდეგ, დოქტორანტურის კურსდამთავრებულებს ეცოდინებათ კულტურის და მედიის ურთიერთმიმართების მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის, ერთის მხრივ, მედია, როგორც კულტურის და ხელოვნების პროპაგანდისტი; მედია კულტურულ ღირებულებათა კონსერვატორი და კულტურის ბეჭდური თუ აუდიოვიზუალური არქივის შემქმნელი; მედია, როგორც კულტურის და ხელოვნების ორიგინალური ნიმუშების შემქმნელი; ხოლო მეორეს მხრივ, მედია, რომელიც კულტურის და ხელოვნებს ნიმუშებს აქტიურად იყენებს როგორც საზოგადოების სოციალურ თუ პოლიტიკური ცხოვრებაზე ზემოქმედების მნიშვნელოვან იარაღს.

ამ პროგრამის შედეგად შექმნილი სამეცნიერო ნაშრომები ხელს შეუწყობს ქართულ მედიაში არსებული უზარმაზარი მასალის სისტემატიზაციას, დიფერენციაციას და ანალიზს.

სადოქტორო პროგრამის წარმატებით გავლისა და საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულების შემდეგ, კურსდამთავრებულებს ექნებათ ფართე არეალის თეორიული ცოდნა, თეორიული და პრაქტიკული კვლევების წარმოების უნარი. დაეუფლებიან კვლევის ემპირიულ მეთოდებს და ტექნოლოგიებს და მიეცემათ პედაგოგიური მოღვაწეობის შესაძლებლობა. ასევე ისინი შესძლებენ: კვლევის დამოუკიდებლად წარმართვას როგორც სოციალური, ისე ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროებში; წარსულში მიღებული ცოდნისა კონსერვაციას; პედაგოგიურ მოღვაწეობას.

სადოქტორო პროგრამის კვალიფიკაციის აღწერი (დუსკრიპტორი):

ა) ცოდნა და გაცნობიერება - ინტერდისციპლინარული კვლევების (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები) საფუძველზე დამყარებული ცოდნის მიღება მედიის კვლევის სფეროში ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა.

კულტურის საკითხების კვლევის მეთოდების მედიაპროდუქტის ანალიზის საკითხებში გამოყენება კი შესაძლებელს ხდის მედიის, როგორც საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროს სრულყოფილი შესწავლისთვის. მსოფლიო გამოცდილება და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის თუ პუბლიკაციის გაცნობა კი საშუალებას იძლევა რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე სტატიების და პუბლიკაციების მომზადებისთვის.

ქართულ მედიაში მრავლად არსებული კულტუროლოგიური პროდუქტების თეორიული ანალიზის უნარი კი მრავალი ამ პროდუქტის ხელახალი გააზრების, თანამედროვე მოვლენებთან მისი მიმართების, მოვლენათა გადაფასების და სწორად შეფასებისთვის ახალი მეთოდოლოგიის დანერგვას უწყობს ხელს.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - პროგრამით გათვალისწინებული კვლევები წარმოებულ იქნება თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით. პუბლიკაციები მომზადდება საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალებისთვის მიმზიდველ თემატიკაზე. რადგან ამ პროგრამით გათვალისწინებული კვლევები არ წარმოადგენს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის ნაშრომებს.

პოსტსაბჭოთა სივრცის კულტურის და მედიის განვითარების ეტაპები განსაკუთრებით ამ ორი სფეროს ურთიერთმიმართების საკითხებში მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომებია დემოკრატიული საზოგადოების

მშენებლობის პროცესების დანერგებული ნებისმიერი მკვლევარისთვის. შესაბამისად, კვლევები შეიძენს საერთაშორისო ხასიათს.

გ) დასკვნის უნარი - მედიის და კულტურის ურთიერთობის საკითხებში დაინერგება რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის ახალი მეთოდები. გაკეთდება შესაბამისი დასკვნები. რადმენდაც ამ ტიპის კვლევები საკმაოდ იშვიათია თანამდროვე მედიის კვლევის სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კვლევის შედეგად სწორი დასკვნების გაკეთებას. ამ დასკვნებმა უნდა დანერგონ კვლევის ახალი სისტემები, სწორი ორიენტირები განსაზღვრონ დარგის შემდგომი სისტემატიზაციისთვის. პრობლემების ეფექტურად გადაჭრისთვის.

კულტუროლოგიური მედიაპროდუქტის ისტორიული განვითარების და თანამდროვე სახის ანალიზი მოვლენის ერთიანი პროცესების გააზრების და შესაბამისი დასკვნების გაკეთების შესძლებლობას მოგვცემს.

დ) კომუნიკაციის უნარი - რამდენადაც პროგრამა ინტერდისციპლინარულია და მის საფუძველზე შექნილი ნაშრომები საერთაშორისო ინტერესის სფეროებს განეკუთვნება, მკვლევარები შესძლებენ საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და სემინარებში მონაწილეობას მედიის და კულტურის საკითხებზე. ამავდროულად, რამდენადაც ქართული მედიაკვლევები არ მოიცავს ამ თემატიკისადმი მიძღვნილ ნაშრომთა დიდ რაოდენობას, აუცილებელი იქნება მკვლევარების სისტემატური ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთან გამოცდილების მიღების და გაზიარების მიზნით. უცხოელი მედიაექსპერტები და მკვლევარები დაეხმარებიან ქართველ მკვლევარებს საკვლევი თემატიკის მეთოდოლოგიის სწორად შემუშავებაში, მასალის სისტემატიზაციაში, სწორი დასკვნების გაკეთებაში და ა.შ. ამავდროულად, ქარველი მკვლევარების ნაშრომები უცხოელ მეცნიერებს შესძლებლობას მისცემს გაერკვნენ ქართულ სინამდვილეში მიმდინარე მოვლენებში, გაიზიარონ ქართული საზოგადოების მშენებლობის პროცესში მედიის როლი და მნიშვნელობა, ქართული კულტურის ზეგავლენა მედიის განვითარების ეტაპებზე და ა.შ.

ე) სწავლის უნარი - მედიის კვლევის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, მკვლევარები შესძლებენ ახალი იდეების გენერირებას და მიმდინარე პროცესებში სწორ ორიენტირებას. მიღებული ცოდნა მათ დაეხმარება არა მხოლოდ საკუთარი კვალიფიკაციის სრულყოფაში, არამედ მომავალი თაობების სწორად აღზრდაში და ახალი სპეციალიტების, მკვლევარების აღზრდაში. მედიის კვლევების თემატიკის მქონე გამოცემებში თუ მედიასაშუალებებში პრაქტიკული საქმიანობისთვის კი მიღებული ცოდნა მკვლევარებს პროფესიულად დახვეწილი პროდუქტის შემნის შესძლებლობას მისცემს. ისინი მედიის თეორიის და ისტორიის მკვლევარების გარდა, გახდებიან მედიაკრიტიკოსები, რაც მედიაპროდუქციის პროფესიულ და კვალიფიციურ შეფასებას გულისხმობს.

ვ) ღირებულებები - ეს მეტად მნიშვნელოვანი პუნქტია სადოქტორო პროგრამისთვის, რამდენადაც, ნებისმიერი მედიასაშუალებების საქმიანობა დაკავშირებულია საზოგადოებაში და სხვადასხვა სახის ღირებულებების შექმნის, დამკვიდრების და განმტკიცებისთვის. ამ ღირებულებათა სისტემის შექმნაში, მედიასაშუალებები განსაკუთრებით იყენებენ კულტურის და ხელოვნების სფეროებს და იმ მეთოდებს, რომლითაც კულტურა და ხელოვნება თავის მხრივ ნერგავს ახალ ღირებულებებს ან ინაჩუნებს ძველ ფასეულობებს.

ღირებულებათა სისტემა განსხვავებული იყო მედიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და სადოქტორო პროგრემის მიხედვით შექმნილი ნაშრომები სწორედ ამ ღირებულებების კვლევას ისახავს მიზნად.

ღიბერალურ ღირებულებებზე დამყარებული და დემოკრატიული ფასეულობების შექმნისკენ მისწრაფებული საზოგადოების ფორმირების

პროცესებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თუ რამდენად სწორად იქნება წარმართული მომავალი მკვლევარების კვლევის ობიექტები და ის მეცნიერული საფუძვლები, რომლებზეც უნდა გაკეთდეს შესაბამის დასკვნები. მომავალი მკვლევარების პასუხისმგებლობაა იმგვარი ნაშორმების შექმნა, რომლებიც არ იქნება რომელიმე გაბატონებული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ და შეფასებების კრიტერიუმები დაეფუძნება მოვლენის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მოძიებას და მათ ობიექტურ ანალიზს.

შესაბამისად, ქართველ მკვლევართა მიერ სწორად გააზრებული მეცნიერული შედეგები, რომლებიც ღრმად და საფუძვლიანად წარმოაჩენენ ქართული მედიის და ქრთული კულტურის თანაცხოვრების სწორ ღირებულებით ორიენტირებს, უდაოდ საინტერესო და აქტუალური გახდება ნებისმიერი ქვეყნის უცხოელი მკვლევარებისთვის და სამეცნიერო გამოცემებისთვის.

სადოქტორო პროგრამის კომპეტენციები:

საგნის ცოდნა და გაცნობიერება (გააზრება):

მედიის კულტუროლოგიური პროდუქციის შეფასების და ანალიზის უნარი
მედიის საშუალებით კულტურის და ხელოვნების ნაწამოებების პროპაგანდის და საზოგადოებაზე ზემოქმედების უანრების ცოდნა
მედიის საზოგადოების გემოვნების ფორმირების პროცესებში მონაწილეობის როლის განსაზღვრის უნარი.
მედიის და კულტურის ურთიერთობაში პოლიტიკური და სოციალური ასპექტების ხედვის უნარი.

პრაქტიკასთან დაკავშირებული კომპეტენციები:

მედიაგამოცემების და რედაქციების კულტურის და ხელოვნების რედაქციების მუშაობის პრინციპების ცოდნა.
მედიაში ხელოვნების ფორმების გამოყენების ტექნოლოგიებში გარკვევის უნარი

ზოგადი (ანუ გადანაცვლებადი) კომპეტენციები (უნარ-ჩვევები) :

მედიის და კულტურის ურთიერთობის საკითხებში ორიენტირების უნარი.
მედიაში კულტუროლოგიური პროდუქციის შექმნის ტექნოლოგიების ცოდნა ხელოვნების სხვადასხვა დარგის მედიაში ასახვის ფორმების ცოდნა.
მედია როგორც შემოქმედების პროდუქტის შეწავლის უნარი.

პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები

- უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა;
- კულტურის თემატიკის პერიოდულ გამოცემებში მუშაობა;
- მედიასაშუალებებში მუშაობა

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი იყენებენ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ცენტრს. ამასთანავე, უნივერსიტეტში არსებობს ფილმოთეკა, გამომცემლობა „კენტავრი“, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“, ყოველწლიური კონფერენციები. შესაძლებელია მათი მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებზე, თემატურ ფორუმებზე. უნივერსიტეტში არსებობს პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მის ფინანსურ სტაბილურობას. ფინანსური გეგმა ასახულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში.

ზოგადი ინფორმაცია	
დასახელება	ხელოვნების მენეჯმენტი
მიმართულება	ბიზნესის ადმინისტრირება
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	დოქტორანტურის აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	მენეჯმენტის დოქტორი (ხელოვნების მენეჯმენტი) The Academic Degree of Doctor in Business Administration - Art Management Doctoral degree in Business Administration sector - Art Management
პროგრამის ხელმძღვანელი	მირონ ტულუში, ეკონომიკის დოქტორი, სრული პროფესორი მობ. 899-29-88-56; ტელ.70-73-14 e-mail: mirtu@parliament.ge
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	180 კრედიტი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	დოქტორანტურაში მისაღებ კანდიდატს უნდა გააჩნდეს – სოციალური, ჰუმანიტარული, ხელოვნების, კულტურის მეცნიერებათა მაგისტრის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის - ხელოვნებისა და კულტურის სფეროს მენეჯმენტი, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული პირის კვალიფიკაცია. დოქტორანტურაში მისაღები კანდიდატი უნდა ფლობდეს უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) მინიმუმ B2 დონეზე. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის არ არსებობის შემთხვევაში კანდიდატები აბარებენ გამოცდას უცხო ენაში, ასევე ყველა კანდიდატმა უნდა გაიაროს გასაუბრება სპეციალობაში.
ანალოგია	კულტურის სფეროს მართვა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების ერთ-ერთი სამეცნიერო მიმართულებაა. http://www.phdportal.eu/students/browse/programme/19143/arts-management-and-cultural-policy-phd.html http://www.gestiondesarts.com/index.php?id=2031 http://www.universities.com/edu/Doctors_degree_in_Entertainment_and_Arts_Management_at_Drexel_University.html http://www.bbk.ac.uk/study/phd2011/artsmanagement/artsmaphd.html
პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი	ასოცირებული პროფესორი: ნინო სანადირაძე, (ასოცირებული პროფესორი), დოქტორანტის საკვლევი თემიდან გამომდინარე, კონსულტანტად და საგნების პედაგოგებად მოწვეული იქნებიან პროფესორები შესაბამისი პროფილის მქონე უნივერსიტეტების ფაკულტეტებიდან. პროგრამაში ჩაერთვებიან შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები.
დოქტორანტთა რაოდენობა	არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე შესაძლებელია 3-4 დოქტორანტის მიღება.

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება (მიზანი, შინაარსი, მნიშვნელობა)

ქართული კულტურის სფეროს განვითარება, რომლის აუცილებლობა არ შეიძლება მცირე ეჭვსაც კი იწვევდეს, დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების (თეატრის, კინოს და სხვა მიმართულებების მკვლევარების) ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით, პედაგოგიურ საქმიანობასა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან ერთად მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მის, მაღალპროფესიულ დონეზე მართვაზე. უპირატესად არაკომერციული სფეროს, მათ შორის კულტურის სფეროს მართვა მეტად რთული, უაღრესად სპეციფიკური და თავისებურებით გაჯერებული პროცესია, რომელიც უმაღლესი რანგის მენეჯერული თვისებების მქონე სპეციალისტების გარეშე წარმოუდგენელია. მთავარი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ კულტურის სფეროს მართვის უმაღლესი რანგის სპეციალისტმა დაკისრებული ფუნქცია წარმატებით რომ შეასრულოს, აუცილებელია, იგი, მართვის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლიან ცოდნასთან ერთად ღრმად იცნობდეს ქართული კულტურისა და ხელოვნების სფეროს, მისი მიმართულებების (თეატრი, კინო, სამუზეუმო საქმე და ა.შ.) განვითარების ისტორიას, თანამედროვე მდგომარეობას და პერსპექტივებს, აგრეთვე, ამ მხრივ, მსოფლიოში არსებულ მდგომარეობას. მას კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული დარგის სპეციფიკა და თავისებურებები, ფლობდეს ლიდერის უნარ-ჩვევებს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში, დღემდე, კულტურის სფეროს მართვის უმაღლესი რანგის სპეციალისტები, მათზე დიდი მოთხოვნის მიუხედავად, არ მზადდება. ამიტომ, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე კულტურის სფეროს მართვის სადოქტორო პროგრამის შექმნა და ამოქმედება მნიშვნელოვანი ღონისძიება იქნება.

სადოქტორო პროგრამის მიზანია მომზადდეს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, რომელსაც ექნება როგორც ზოგადად მართვის, ისე კულტურის სფეროს მართვის შესახებ ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, მართვის სფეროში კრეატიული იდეების გენერაციისა და მათი რეალიზაციის, შემუშავებული ნოვატორული იდეების პროგრესულობაში სხვების, პირველ რიგში კი სპეციალისტების დარწმუნების, მეცნიერული კვლევების განხორციელების, დარგში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ადეკვატური შეფასებისა და სათანადო მეცნიერული დასკვნების გაკეთების უნარ-ჩვევები, რაც ასახავს ჰპოვებს დოქტორანტის მიერ მომზადებულ საკვალიფიკაციო ნაშრომში და გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში.

პროგრამის კონკრეტული მიზანია შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის (ხელოვნების მენეჯმენტი) ხარისხის მქონე სპეციალისტების მომზადება.

დოქტორანტი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ საფუძვლიანად უნდა იცნობდეს არა მხოლოდ მართვის თეორიას და პრაქტიკას, აგრეთვე, ამ მხრივ მსოფლიოში არსებულ უახლეს მიღწევებსა და გამოცდილებას, არამედ, საქართველოში კულტურის სფეროს /მისი მიმართულებების/ განვითარების სპეციფიკასა და თავისებურებებსაც, რომელთა გონივრული სინთეზის საფუძველზე შეძლებს კულტურის სფეროს მთლიანად, ან მისი ამა თუ იმ მიმართულების მართვის დასაბუთებული მოდელის შემუშავებას.

პროგრამა მიზნად ისახავს დოქტორანტში განავითაროს მეცნიერული აზროვნების, აქტუალური საკითხების გამოკვეთის, მათი კვლევის, ახალგაზრდა თაობის აღზრდის, პედაგოგიური საქმიანობის უნარ-ჩვევები. მაშასადამე, საგანმანათლებლო პროგრამის უმნიშვნელოვანესი დანიშნულებაა კულტურის სფეროს მართვის საკითხებში კარგად გათვითცნობიერებული, მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერის, უმაღლესი სკოლის პედაგოგის და მენეჯერის მომზადება.

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში სწავლების უმთავრესი ამოცანებია დოქტორანტს შეუქმნას პირობები:

- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიული სრულყოფისათვის აუცილებელი სპეციალური დისციპლინების სიღრმისეული დაუფლებისათვის;
- სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიათა ათვისებისათვის;
- კულტურისა და ხელოვნების მართვის სფეროში აქტუალური პრობლემების გამოკვეთისა და მეცნიერული ანალიზისათვის;
- ანალიტიკური აზროვნების განვითარებისათვის.;
- თანამედროვე სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ხერხებისა და მეთოდების დაუფლებისათვის.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის წარმატებით განხორციელების განმაპირობებელი ფაქტორებია:

- შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელიც საფუძვლიანად იცნობს კულტურისა და ხელოვნების დარგის განვითარების ისტორიას, თანამედროვე მდგომარეობასა და პერსპექტივებს, აგრეთვე მართვის თეორიასა და პრაქტიკას;
- უნივერსიტეტში არსებული კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- საქართველოში კულტურის სფეროს /მისი მიმართულებების/ მართვის დოქტორის ხარისხის დაუფლების მსურველთა არსებობა;
- აუცილებლობის შემთხვევაში პროგრამის ზოგიერთი კომპონენტის საზღვარეთულ უნივერსიტეტებში გავლის, აგრეთვე სპეციალისტების მოწვევის შესაძლებლობა.

პროგრამის აქტუალურობა და მნიშვნელობა. საქართველოში ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის (ხელოვნების მენეჯმენტი) აკადემიური ხარისხის მქონე კადრების მომზადების აუცილებლობა განპირობებულია აღნიშნული კატეგორიის სპეციალისტებზე შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნით. კერძოდ, კი:

- თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში კულტურის სფეროს /მისი მიმართულებების/ როგორც არაკომერციული ისე კომერციული სექტორების განვითარების ინტერესებით;
- უმაღლეს სკოლებში კულტურის სფეროს მართვის ბაკალავრების, მაგისტრებისა და დოქტორების მომზადების საჭიროებით;
- კულტურის სფეროს ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად აუცილებელი მეცნიერული გამოკვლევებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

პროგრამით გათვალისწინებული სავარაუდო საკვლევი საკითხები

1. კულტურის სფეროს მენეჯმენტის შესახებ მსოფლიოში არსებული გამოცდილება, სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა მისი მართვა-რეგულირების საქმეში;
2. საქართველოში კულტურის სფეროს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის მდგომარეობის ანალიზი და სრულყოფის გზები (დინამიკაში კულტურის სფეროს ორგანიზაციების დაფინანსების საკუთარი და მოზიდული წყაროების სისტემური ანალიზის საფუძველზე, დაფინანსების მდგომარეობის გაუმჯობესების ქმედითი მექანიზმის შემუშავება);
3. საქართველოში კულტურის სფეროს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შეფასება და ქვეყანაში ამ მხრივ არსებული პრობლემების დაძლევის ღონისძიებების შემუშავება;

4. კულტურის სფეროს მართვაში დასაქმებული ადამიანური რესურსების ხარისხობრივი შემადგენლობის შეფასება და კადრების განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა;
5. ლიდერობისა და ხელმძღვანელობის სტილის ანალიზი და მათი გავლენა საქართველოს კულტურის სფეროს ცალკეული ორგანიზაციების საქმიანობაზე;
6. კულტურის სფეროს მართვის ეფექტიანობის შეფასება (როგორც მთლიანად, ისე ცალკეული ორგანიზაციების/ან მიმართულებების მიხედვით);
7. კულტურული პროგრამებისა და პროექტების მართვის მდგომარეობის ანალიზი და სრულყოფის მიმართულებები საქართველოში;
8. კულტურის პოლიტიკა საქართველოში, მისი პრიორიტეტების დასაბუთება;
9. საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის განვითარების მიმართულებები;
10. კულტურული რესურსების მართვის სრულყოფის საკითხები;
11. მარკეტინგული საქმიანობის ანალიზი კულტურის სფეროს ორგანიზაციებში, მისი სრულყოფის მიმართულებები და ა.შ.

სადოქტორო პროგრამის შედეგები

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები:

- ფლობენ მართვის საკითხების კვლევის უახლეს მეთოდებსა და ხერხებს, სისტემურ კვლევაზე დაფუძნებულ ღრმა ცოდნას, ფართო ფუნდამენტური, სამეცნიერო კვლევებისა და პედაგოგიური საქმიანობის უნარ-ჩვევებს, თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას საბაზრო ეკონომიკის პირობებში არაკომერციული და კომერციული სფეროების მართვის შესახებ;
- საფუძვლიანად იცნობენ კულტურის სფეროში არსებულ მიღწევებსა და სიახლეებს, ზოგადად მართვის, მათ შორის კულტურის სფეროს მართვის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებსა და პრობლემებს, ამ მხრივ არსებულ სრულ ინფორმაციასა და მასალებს, რომლებიც შექმნილი სიტუაციისათვის ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას იძლევა;
- შეძენილი ცოდნის საფუძველზე შეძლებენ ახალი, ნოვატორული იდეების შემუშავებას, ანალიზს, შეფასებასა და სინთეზს, კოლეგებთან, მეცნიერთა ფართო წრეებთან და ზოგადად საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარებას;
- სრულად აცნობიერებენ კულტურის სფეროს მართვის ძირითად პრობლემებს და მსოფლიოში არსებული მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით ამ მხრივ ქვეყანაში გასატარებელ ღონისძიებებს;
- მოამზადებენ როგორც თეორიული ისე პრაქტიკული სიახლეების შემცველ საკვალიფიკაციო (სადოქტორო) ნაშრომს, აგრეთვე სხვადასხვა სახის პუბლიკაციებს, რომლებშიც გაანალიზებული იქნება კულტურის სფეროს მართვის აქტუალური საკითხები;
- დააკმაყოფილებენ კულტურის სფეროს მართვის საკითხების საფუძვლიანად მცოდნე კადრებზე, როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, სამეცნიერო და პედაგოგიური სისტემის, ისე ეკონომიკისა და კულტურის სფეროების მოთხოვნას

სადოქტორო პროგრამის კვალიფიკაციის აღმწერი (დესკრიპტორი)

ზოგადი (ტრანსსფერული) კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება – სოციალურ მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც

არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაღრმავებული გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; ახალი კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;

დასკვნის უნარი - ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რაც ხელს შეუწყობს ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარებას; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;

კომუნიკაციის უნარი - ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;

სწავლის უნარი - უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში;

ღირებულებები - ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

დარგობრივი (პროფესიული) კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება - ზოგადად მართვის, აგრეთვე კულტურის სფეროს მართვის თეორიისა და პრაქტიკის ღრმა, სისტემური ცოდნა და გაღრმავებულად გაცნობიერება, რომელიც ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების, სიტუაციებისადმი კრეატიული მიდგომის საშუალებას იძლევა. საფუძვლიანად იცნობს მართვის სფეროში არსებულ მსოფლიო გამოცდილებას, მართვის ფუნქციებს, მიდგომებს, მეთოდებს, პრინციპებს, კომუნიკაციის საშუალებებს, გადაწყვეტილების მიღების (ალტერნატივების შეფასებისა და მათგან ოპტიმალური ვარიანტის არჩევის) რთულ მექანიზმს, ფლობს ლიდერისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს; სრულად აქვს გაცნობიერებული გაპროვინებული ფუნქციების მაღალი პასუხისმგებლობით, დროულად და ხარისხიანად შესრულების აუცილებლობა.

მართვის შესახებ მსოფლიო გამოცდილებისა და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის თუ პუბლიკაციის ძირითადი იდეებისა და შინაარსის გაღრმავებულად გაცნობიერება კულტურის სფეროს მართვის პროცესში შექმნილი სიტუაციების ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებისა და რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე სტატიების და პუბლიკაციების მომზადების საშუალებას იძლევა; მართვის მეთოდებისა და მიდგომების ხელახალი გააზრების, თანამედროვე მოვლენებთან მათი მიმართების, მოვლენათა სწორად შეფასებისთვის ახალი მეთოდოლოგიის დანერგვა;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება; კულტურისა და ხელოვნების კონკრეტული სფეროს ან ორგანიზაციის გაძღოლის სპეციფიკის სრულად ათვისება და წარმატებულ მენეჯერად ჩამოყალიბება, რაც აუცილებელია როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ საქმიანობისათვის; მეცნიერული კვლევების ხელმძღვანელობა, ამ თუ იმ პრობლემის დამოუკიდებლად დამუშავება;

მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სფეროს საკვანძო საკითხებთან დაკავშირებული ამოცანების დაგეგმვა და პროფესიულ დონეზე დამოუკიდებლად განხორციელება კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; მსოფლიო და ეროვნულ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ანალიზი და შეფასება, რაც აუცილებელია კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების ადმინისტრირების სფეროში სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. ორგანიზაციაში ან მართვის უფრო მაღალ რგოლში არსებული რისკებისა და კონფლიქტების დროული განაზღვრა და მათი რეგულირებისათვის ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად შემუშავება; სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კვლევების ჩატარება თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით. პუბლიკაციების მომზადება საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალებისთვის საინტერესო თემატიკაზე, რადგან ამ პროგრამით გათვალისწინებული კვლევის შედეგებით საზღვარგარეთელი მკვლევარების დაინტერესება ეჭვს არ იწვევს;

დასკვნის უნარი - რთული და დიდი მოცულობის ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; კულტურის სფეროს მართვის პრობლემების მაღალპროფესიულ დონეზე შეფასებისა და მისი გადაწყვეტის მიზნით, მრავალი ალტერნატივისაგან, ოპტიმალური ვარიანტის დამოუკიდებლად შერჩევის, შექმნილი სიტუაციის ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღების უნარი;

კომუნიკაციის უნარი - მომზადებული დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების წარდგენა აკადემიური საზოგადოებისა თუ სპეციალისტების წინაშე, ქართულ და უცხოურ ენებზე, დადგენილი სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; საკუთარი მოსაზრებების როგორც წერილობით ისე ზეპირად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით პრეზენტაცია. დისკუსიებში მონაწილეობის, წინადადებებისა და რეკომენდაციების სახით პრობლემის დამღვევის საკუთარი ხედვის წარდგენის უნარი. რამდენადაც სადოქტორო პროგრამის საფუძველზე შექმნილი ნაშრომები, ჩვეულებრივ, საერთაშორისო ინტერესის სფეროებს განეკუთვნება, მკვლევარები შესძლებენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით, მართვის საკითხებზე, საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობას. უცხოელი ექსპერტები დაეხმარებიან ქართველ მკვლევარებს საკვლევი თემატიკის მეთოდოლოგიის სწორად შემუშავებაში, მასალის სისტემატიზაციაში, სწორი დასკვნების გაკეთებაში და ამავდროულად, ისინიც შეიძენენ გარკვეულ ცოდნას საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის შესახებ;

სწავლის უნარი - სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა, მისი თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიული დაგეგმვის მაღალი დონე; სწავლის გაგრძელება ცოდნის შემდგომი გაღრმავებისათვის, კერძოდ კი იმ სიახლეების დასაუფლებლად, რაც მსოფლიოში ბიზნესის ადმინისტრირების (ხელოვნების მენეჯმენტი) სფეროში დანერგილია ან იწერება. კულტურის სფეროს მართვის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, დოქტორები შესძლებენ ახალი იდეების გენერირებას და მიმდინარე პროცესებში სწორ ორიენტირებას. სადოქტორო პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა მათ დაეხმარება არა მხოლოდ საკუთარი კვალიფიკაციის სრულყოფაში, არამედ მომავალი სპეციალიტების, აგრეთვე მკვლევარების აღზრდაში;

ღირებულებები - სადოქტორო პროგრამისთვის მეტად მნიშვნელოვანი პუნქტია, რამდენადაც, კულტურის სფეროს მართვის სრულყოფასა და ამ საფუძველზე დარგის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელ საზოგადოებაში სხვადასხვა სახის ღირებულებების შექმნის, დამკვიდრებისა და განმტკიცებისთვის. ლიბერალურ ღირებულებებზე დამყარებული და დემოკრატიული ფასეულობების შექმნის მისწრაფების მქონე საზოგადოების ფორმირების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმგვარი ნაშრომების მომზადებას, რომლებშიც დასკვნები და რეკომენდაციები გაკეთებული იქნება მოვლენებს შორის რეალურად არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ობიექტურ ანალიზზე დაყრდნობით.

საგანმანათლებლო პროგრამის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ დოქტორი შეძლებს კულტურის მართვის სფეროში ღირებულებებისადმი თავისი და მასთან ურთიერთობაში მყოფთა დამოკიდებულების შეფასებასა და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით ახალი ღირებულებების დამკვიდრებას.

სადოქტორო პროგრამის კომპეტენციები

დარგობრივი (ანუ პროფესიული) კომპეტენციები (უნარ-ჩვევები):

საგნის ცოდნა და გაცნობიერება (გააზრება):

დოქტორანტს უნდა შეეძლოს:

- მოწინავე იდეების გენერირება და მართვის პროცესში მათი ეფექტიანად გამოყენება;
- კვლევის მეთოდებისა და ხერხების კრიტიკული ანალიზი და მისი მისადაგება ქვეყნის კულტურის სფეროს მართვის სპეციფიკასა და თავისებურებებთან;
- მსოფლიოში კულტურის სფეროს მართვის შესახებ არსებული გამოცდილების ანალიზი და მისი გაზიარების მიზნით საჭირო ღონისძიებების შემუშავება;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვა;
- კულტურის სფეროს მართვის საკითხებზე სამთავრობო დონეზე დაგეგმილ ღონისძიებათა ექსპერტიზა, მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- კულტურის სფეროს მართვის პრობლემის გადაჭრისათვის ეფექტურ გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად მიღება.
- სხვების სწავლის პროცესის მართვა.

პრაქტიკასთან დაკავშირებული კომპეტენციები:

დოქტორს უნდა ჰქონდეს:

- კულტურის სფეროს ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით დაფინანსების ნებისმიერი არხით (მათ შორის ფანდრეიზინგული კამპანიის შედეგად) საჭირო ფინანსური სახსრების მოზიდვისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
- კულტურის სფეროს მართვის საკითხებზე სამთავრობო დონეზე დაგეგმილ ღონისძიებათა ექსპერტიზის, მოსალოდნელი შედეგების შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების უნარი;
- კულტურის სფეროს მართვის მსოფლიოში კარგად აპრობირებული მოდელების მაღალპროფესიულ დონეზე ანალიზისა და მათი საქართველოში დანერგვისათვის აუცილებელ ღონისძიებათა შემუშავების უნარი.

ზოგადი (ანუ გადანაცვლებადი) კომპეტენციები (უნარ-ჩვევები):

- საზოგადოების განვითარებაში კულტურის სფეროს როლისა და მნიშვნელობის დამსახურებულად წარმოჩენის უნარი;
- ეკონომიკის კომერციული და არაკომერციული სფეროების მართვის საკითხებში სწორად ორიენტირების უნარი;
- სახელმწიფო მართვის ფუნქციების, პრინციპების, მეთოდებისა და მიდგომების ცოდნა და მათი კულტურის სფეროს მართვის პროცესში გათვალისწინების უნარი;
- ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის მექანიზმის საფუძვლიანი ცოდნა და მისი კულტურის სფეროს განვითარებისათვის გამოყენების (მაგალითად, კულტურის სფეროს, მისი მიმართულებების დაფინანსების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით) უნარი.

პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები

დოქტორის პროფესიული საქმიანობის სფერო შეიძლება იყოს:

- უმაღლესი სასწავლებლები (პროფესორის თანამდებობა, ან რომელიმე სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელობა);
- სახელმწიფო მართვის უმაღლესი და საშუალო რგოლები – პირველ რიგში, კულტურისა და ხელოვნების მართვის სფერო (მაგალითად, კულტურის სამინისტრო, მისი ქვედანაყოფები), აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მთავრობის კანცელარია, ადგილობრივი თვითმმართველობები;
- კულტურისა და ხელოვნების სფეროთი დაინტერესებული როგორც სამთავრობო ისე არასამთავრობო, მათ შორის არაკომერციული და კომერციული ორგანიზაციები, მართვის უმაღლესი ან საშუალო რგოლის თანამდებობები;
- კულტურისა და ხელოვნების სფეროს ძირეულ რგოლებში – თეატრი, მუსიკალური სასწავლებელი და ცენტრები, კინოსტუდია, სამხატვრო აკადემია, მუზეუმი, გამომცემლობა და ა.შ. უმაღლესი ან საშუალო რგოლის თანამდებობები.

ზოგადად, ბიზნესისა და ადმინისტრირების დოქტორის (ხელოვნების მენეჯმენტი) პროფესიული საქმიანობის სახეებია: საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური, საკონსულტაციო-ექსპერტული, სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და სხვა სახის ხელმძღვანელ თანამდებობებზე საქმიანობა.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

დოქტორანტები იყენებენ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ცენტრს. ამასთანავე, უნივერსიტეტში არსებობს ფილმოთეკა, გამომცემლობა „კენტავრი“, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“, ყოველწლიური კონფერენციები. შესაძლებელია მათი მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებზე, თემატურ ფორუმებზე.

უნივერსიტეტში არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც განაპირობებს მის ფინანსურ სტაბილურობას. ფინანსური გეგმა ასახულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში.

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა

საქართველოს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ” ადგენს სადოქტორო პროგრამის სწავლების სულ მცირე 3 წლის ვადას. დოქტორანტურაში სწავლის ფორმატი მხოლოდ

დღის დასწრებული სწავლებაა. რიგ შემთხვევაში დოქტორანტს მიეცემა დამატებითი ვადა კვლევის დასრულებისათვის.

სადოქტორო პროგრამის რეზიუმე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა ხელოვნების მენეჯმენტში მოიცავს სამ პრიორიტეტულ კვლევის სფეროს – „კულტურის სფეროს მენეჯმენტის“, „კულტურის სფერო სახელმწიფო მართვის სისტემაში“ და „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ სფეროებს. პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდეგ დოქტორანტს ენიჭება აკადემიური ხარისხი მენეჯმენტის დოქტორი (ხელოვნების მენეჯმენტში) **The Academic Degree of Doctor in Art Management.**

